


652
1975/3



კულტურის მინარევი

პოეზია, პროზა

კ. გორგილაძე — საუბარი კით-	
ხეის ნიშანიან — პოემა	3.
ჯ. ჩატაგაძე — გალადა გოგო-	
ყვაოელ ეალიზმილზე	
ლექსი	12
გ. გორგილაძე — მარცხი	
მოთხოვბა	13
ნ. გალაზონია — ჩემი გზაწე-	
რილი / ლექსი	25
მ. ვარგანიძე — მინიატურები	
კატარა მონოლოგი	26
ოცნება ჩემს საყვარელი მსა-	
ხოგზი	30
რ. გამზათოვი — სონეტები თარ-	
ეგმნა გ. სალუქვაძემ	35

13/10

• ნ ა რ კ ვ ე ვ ი

ჭ. ზობივა — ფიქრის გორა	41.
-------------------------	-----

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-კოლექტიური
შურნალი

ზ ე რ ი ლ ე ბ ი

ჯ. ნაკაზიძე — ახალგაზრდული მოცულიდამითი	58
ა. სუხიულაძე — უცნობი ფუ-	
რცლები	70
პ. მხედლაძე — ხალხური მუსი-	
კალური საკრავები აჭარაში	77

საქართველოს საგვოთა
მუნიციპალიტეტის კავშირისა და
აჭარის გაცემის იურიდიკული
ორგანო

ზ ი გ ნ ი ს თ ა რ ი

ქ. სუხიულაძე, ვ. მეტრეველი — პატირიოლული ნაშროვი	89
---	----

ბ ა თ უ მ ი — 1975

იანვარი — თებერვალი

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. გარშანიძე (პ. მგ.
მღივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაწი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.
ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.I.75. საბჭედი 6, საგამომცემლო 5 თაბახი
შეკვეთის № 537 ემ 00763, ქილომეტრის ზომა $60 \times 90^1/_{16}$, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 20).

საუბარი კითხვის ნიშანთან

და, —

როგორც იქნა...

ბევრი ხვეწნის, დუდლუნის, დავის, —

ასე თუ ისე, დავალწიე კარისკაცს თავი.

მდივანი გოგო... ტელეფონი... გაშლილი წიგნი...

გულგრილი კდემა და ლაციცი ცხოვრების ნიჭთან...

სილრმეში, საღლაც... დახვეწილი სკამების იქით,

ღმერთო! — კითხვითი ნიშანი იჯდა.

ვინც, — სამარხებში დაფანტული ნივთივით გაცვდა,

ვინც, — ტრიბუნილან გვენახვება, გვიხმობს და გვიწვევს,

ვინც, — ერთნაირად მართალია ქვასთან და კაცთან,

კითხვის ნიშანი, —

თავის თავზე დასმული ისევ.

— მიცნობდეთ...

ზურაბ გორგილაძე... პოეტი...

— როგორ?!

— ლექსის მწერალი, პოეტი მეთქი...

— ა ჰ ა ა...

ჩაბრძანდით, მომახსენეთ, სასწრაფოდ ოლონდ,

როგორმე წუთებს დაგზოგავ თქვენთვის.

ღიმილი მომცა და თამაში დაუწყო თითებს.

— თქვენთვის, — უბრალოდ გართობაა დღეების ხარჯვა,

ჩვენთან კი წამიც იმუქრება და აღარ ითმენს,

რადგან წუთებით იზომება ეპოქის მაჯა.

რადგან წამწამის გაქანება სასახლეს უდრის

და ხელის ერთი გაქანება — ჩუქურთმას ქვაში,

და თუ მთხოვნელებს დავახარჯე ყოველი წუთი,

აშენებულა ქვეყანა მაშინ.

ქედლის საათზე უსულგულო გუგული თვლემდა,
ობობას სუნი ასღიოდა ამ საწყალ კოლოფს,
— იცით? — არაფრის სათხოვნელად არა ვარ თქვენთან,
მე საუბარი მინდოდა მხოლოდ.
თითქოს ქოფაკი გავარდა ველზე,
თითქოს სახნისმა ამოხლიწა ძირძველი ბელტი...
— ა, ბიჭო კაცი!
კაცი, ვისაც დღემუდამ ვეძებ,
ა, ბიჭო კაცი, — და ხორხოცით მომიჯდა გვერდით.
— ეჰ, აბა რა ვქნა...
მე ვინ მომცა ჯადო ან ხვითო,
ან უფლის წონა. ეჰ, ამაზე კამათიც არ ღირს,
ხალხი ჭირველ ბალოს მაგონებს, მუდამ რომ ითხოვს—
ძნელია... ერთობ გააძლო ხალხი.
ძნელია... ერთობ ამოკერო ამხელა სივრცე,
სივრცე, რომელიც უსასრულოდ ღელავს და დაობს,
ვიღაცა კარგავს, იმიტომ რომ ვიღაცა იძენს,
ვიღაცა იძენს, იმიტომ რომ იცხოვროს ძმაო.
მე შემიძლია მოვუსმინო ქარაოც ქარსაც,
მე შემიძლია მივაყურო გატრუნულ მინდვრებს,
ხალხს კი იმდენი უნდა მისცე, იმდენი ასვა,
ბრძოდ და ბოგანოდ იქცევა ვიდრე.
თვით უკმარიბაც გაუგონარ სიახლეს ბადებს,
კმაყოფილება ტლაპოსა ჰგავს, ტლანქსა და მქისეს,
როგორ, —
მონები ფუფუნებით, განცხრომით გყავდეს;
სვეტიცხოველი ააგო ისე?!
ანდა ვარძიას გასჭრიდი კლდეში?
ანდა ზარზმაში დარეკავდი დიდების ზარებს?!
ვეფხისტყაოსანს ვინ მისცემდა ქვეყანას ხელში
დიდი ჯვარცმის და გოლგოთის გარეთ.
ოოჳ, სასწაული ვნებებით მაგზნებს,
გველის გონება, კუს ბაჯანი, კალმახის ლორწო,
მე, სხვათა შორის, უქმებზე ვკითხულობ ლექსებს
და, სხვათა შორის, დიახ, თქვენი ლექსებიც მომწონს—
ხშირად კი, ხშირად, —
ხელში მრჩება ნალეჭი ცური,
ან უგერგილო მეზღვაურის ნასროლი კანჯო,
თამამად ვიტყვი, —
მაქვს პოეტის ტიალი სული,

შაგრამ დრო არ მაქვს პოეტივით, ვფლანგო და ვხარჯო.

არ შემაღაროთ ლამანჩელ რაინდს,

მე სხვა დღეების პერანგი და ბეგთარი მმოსავს,

მწამს, ვიქნებოდი საშუალო მწერალი მაინც,

ასე ზულუქი და ხელხვავი რომ ვიყო დროსთან.

ცხოვრება სხვაა, ნიჭი სხვაა, — ვით ორი კალთა,

ღვთისა და დედის, შეყუდრული საწუთროს ჩეროს,

დღეს ასე მესმის, არას ნიშნავს სირცხვილის გარდა,

რომ შეყვარებულ გოგოსავით ლექსები წერო.

სიცილით ვგვდები, ვხარხარებ და მელევა ქანცი,

მერე ვშმაგდები და უცნაურ საქმილოს ვეძებ,

როცა ეკრანზე ზვინისხელა გამოდის კაცი

და ცურცლისხელას კითხულობს ლექსებს.

ცხოვრება ძმაო,

შეხლა ძმაო,

შემოხლა ძმაო,

ჟინი და რისკი, რისკი და ჟინი...

როს სასწაული წინათგრძნობა ძუნწივით ავობს,

როს მიღიარდი ნათურებით ჩახახებს ტვინი.

ოცნებას — ყულფი, სიცოცხლე — მიზანს...

რა ღროს გულჩვილი ატირება, ქალური სევდა...

და როცა სულზე მიკოჭილი შიმშილობს ქისა,

უნდა გასწირო საკუთარი შვილიც და დედაც.

უნდა უარყო მეგობრის ხელი,

უნდა უარყო შიშის გრძნობა, — ობობას მახე,

რომ წარმავალი, შენი ნიჭით, ჯახირით შენით

ბედნიერების პატრონი გახდე.

თქვენ კი რა გიჭირთ, — კეთილ მუზებს ზეციდან ელით,

კალამი აგერ,

ქაღალდი აგერ,

შიდი და მზისკენ გადააგდე ღერლეტა ყელი,

შიდი და სწერე,

შიდი და აქე,

აპყევი ლანდებს, დაპყევი ხილვებს,

თუ გინდა მზის სხივს მოეჭიდე, თუ გინდა ხავსაა,

ხოტბა-დიდებას, მე შენ გეტყვი, დაგიშლის ვინმე,

ან დაგიჭერს და ციხეში ჩაგსვამს.

შეხუთე კლასში გამძულდა ლექსი,

მეხუთე კლასში, — მიმატება ვისწავლე როცა,

მას შემდეგ ვუფრთხი შიშველ ანკესს-ვითარცა თევზი

და ჩემს ანგარიშს ვასტორებ დროსთან.

ო, მაპატიეთ, თუ რამ გკალრეთ „საყვარელ მგოსანს“,

ბევრი ვეხეტე მეგობარო ეკლიან გზებზე,

ახლა ყველაფერს მონადირე ძალლივით ვყნოსავ

როგორც ლეშს, —

ისე პირს არ ვკიდებ დღევანდელ ლექსებს.

ხატი და ხატი... რჯული და რჯული...

წვიმა და წვიმა,

ფოთლები და ფოთლების სისქე,

ციხე და სურო,

კვამლი და სული,

და წინაპრებით ტრაბახობა ისევ და ისევ.

ეჰ, მაგონდება ზღაპარი ერთი, —

აქლემის ტვირთი უდაბნოში აჸკიდეს ვირსა,

მადლობა უფალს. — წინაპარის პატრონი გვეთქმის,

იმან კი რა ქნას, წინაპარი არა ჰყავს ვისაც.

იმან კი რა ქნას, ვასაც არ აქვს ღირსება ძველი,

ვის სულში კიდევ არ წრიალებს მადლი და ცოდვა.

როგორ,

გაფხეკილ ჭიბუებში ჩიყოს ხელი

და ლექსის სუნი მიიტანოს დაგეშილ ცოლთან?!?

დალახვროს ლმერთმა უამური ბორჯი და წესი,

რამდენ სასახლეს ააშენებს ოცნება ფუჭი?!

მე კი, მე მხოლოდ მაშინ მინდა წიგნიც და ლექსიც,

როცა ეს მძორი,

ეს ოხერი სავსეა კუჭი.

ფერად სამყაროს,

ფერად ლრუბლებს,

მინდვრებს ფერადებს,

როგორი რწმენათ და ხალისით მიჰყვება ბავშვი...

ნუ ჩამაყენებ, ჭეგობარო, წყალში ყელამდე,

თუ ჩამაყენებ, მომიკალი წყურვილიც მაშინ.

თავისუფალი მხოლოდ ქარსავით

ყველა ჩვენგანში მომხვეჭელის დემონი მეფობს,

მე შემიძლია, აი ახლა, გავხდე ყასაბი,

დავდგე დახლში და სისხლიანი ბეჭები ვკეპო.

თქვენ კი, იკადრებთ?..

არ იკადრებთ, — ოქვენს ფერმკრთალ თითვებს,

როგორ შებილწავთ ან მაზუთით, ან მლაშე სისხლია,

თქვენ ელოდებით, თქვენ ესწრაფვით, ზიხართ და ითმენთ,

და ბოლოს გრჩებათ, —

რა?! —

ჩვენდამი ბოლმა და ზიზღი.

აგერ ბატონო, აი, აგერ ზვარიც, ხარაჩოც,
რაღაც კეთდება, რაღაც ბუუტავს, რაღაცა ბრწყინავს,
თქვენ კი თახჩაში მოწრიალე თაგვებს დარაჯობთ,
ლომებს კი ტყეში ლიმილით სძინავთ.

გათავდა ძმაო სიონის ზარი...

ახლა ჩემს სულში სხვა ხმა გუგუნებს,
რაღაც შენდება, ემატება მარილი მარილს,
მაინც და შაინც რაც დაინგრა იმას უყურებთ.

არავინ არის ღმერთის ბადალი,

ცოდვა და მადლი მიიტანოს მოწყალე გულთან,
ასე თუ ისე, — ვიყოთ მართალი,

რომ ჩვენს მომავალს წარსული უნდა.

რად მინდა ძმაო დუღუკის ლექსი,

პეტეფი მოჰკლეს, ჯორდანო დასწვეს...

ასე მგონია, ჩვენს პოეტებს ქამანდას ვესვრი

და რუსთაველის აფორიზმით პრძანებას დავწერ.

შევკრთი და შევცბი... არ ველოდი ამნაირ მერებს,

ამ კაცის ასე შერკინებას, ფრაზების ლითონს,

— დავუშვათ, მოხდა... ეს ბრძანება დასწერეთ, მერე?

მერე როგორი იქნებით თვითონ.

მოწყურა თვალი,

მომუწა ტუჩი,

ზარმაცი მზერა მოატარა გაქმენდილ ოთახს,

არ ვიცი, იგი რას ფიქრობდა დაგმანულ გულში,

მე კი პასუხი დენთივით მქონდა.

სიჩუმე ჩუმად ეხვეოდა ნერვების მწვერვალს,

აზრი და სიტყვა გაურბოდა ეჭვების ფაცერს...

— „სჯობს სიცოცხლესა“ — დაიწყებდით ბრძანების
წერას,

თუ ყოვლადუხვი, — „რასაცა გასცემ“..

ფრთხილად მოირღვა მდუმარე ლოდი,

ფრთხილად დაგორდა... მერე უცებ ზათქით და რისხვით...

— აფსუს! რამდენი ვიგინდარა ჩვენს ნერვებს პოტნის

ყალბი ქართველის დამპალი სისხლით.

— იცით?

ვენახი თავისთავად ეხვევა ჭიგოს,

ლობე კი სარით ინარჩუნებს შნოსა და ძალას...
და ჩემს ადგილზე, თვით თქვენ რომ იყოთ,
ვითომ შიმშილით მოჰკლავდით ჭალაბს?!



შიშივით შევხტი.

შეარხია ეშმამ ეწერი,
გველმა ჩხრიალით დააგორა ბრჭყვიალა კენჭი,
პითეყანთროპის აქოთებულ ტყავში შევძვერი
და ადამიანს ვუმზერდი ეჭვით.

— „ნუთუ“?

ჩემს სულში გაზრიალდა ექო უსახო,
ქუხილის ღროს რომ დაორთქლილმა მინებმა იცის,
ვინ გამიგონებს?
ვის ავუხსნა?

ვის დავუძახო?
ან ვინ გაიყოფს ჩემთან ერთად ადამის სირცხვილს?
ნუთუ იმიტომ ამალლდა კაცი,
უხსოვარ ქვებზე ამომწვარი ხმით და პროფილით,
რომ მის გენებში მოეჩხრიკა ველური, ღაზვი,
სუნი და სული პირველყოფილი?!?

ფოთლებს და საგნებს გარკვეული პირობა აზის,
სახიერ დღეებს აყურადებს ენა და სმენა,
ვაი თუ მართლა მართალია ამ კაცის აზრი,
ვაი თუ მართლა გაბატონდეს ამ კაცის რწმენა.
ზის ჩემი ჭინკა ჩემი ცის და ბეთლემის ფერხთით,
ზის ჩემი ჭინკა, და უყურებს მტყუანს თუ მართალს,
ვაი თუ მართლა სასირცხოა ხელოვნის კვერთხი,
მტევნები ქვაში,
დროშა ხმაში, — ვაი თუ მართლა.

აქ,

ვიღაც, ისევ... მიწას მწყემსავს, ზილავს და ფოფნის,
იით თუ მტევნით მორცხვად დგება მამულის კართან...
ვაი თუ მართლა გადაედო ამ კაცის ჭორფლი
ცხოვრების ჩვენის ხასიათებს, — ვაი, თუ მართლა.

ბატონო! —

რატომ მიადექით თახჩაში თაგვებს,
ბატონო! —

რატომ გავიწყდებათ ლომების რიგი,
სინათლე აგერ, სიმართლე აგერ,

და ყოველგვარი გადატრული გადავდოთ იქით.
 წითელასავით გამოყრილი მამულის ტანზე
 საკუთარ სკამზე მზრუნველობას გადაჰყევთ ზედა...
 ჩემი ღლეების კაჭკაჭები, მოწყენით სავსე,
 ჯერ კიდევ ჩემი იმედების ღილეგში სხედან.
 თქვენ, როგორ გითხრათ, თუ რისთვის ვნანობ,
 თქვენ, როგორ იგრძნობთ, რა გემო აქვს კურცხალის
 მარილს,

თქვენ, ფაშვის გამო, ფართაშის და მარმაშის გამო
 შეგძულდათ ლექსი, — საქართველოს დროშა და გვარი.
 რას ერჩით პოეტს, — მზით გავსებულ ტყეების ჩიტებს,
 რას ერჩით პოეტს, — ბალების თუ ყანების მირონს,
 პოეტის სული დაპკანქალებს ქვეყანას კიდევ,
 ეს მნათე ბავშვი, უსასრულო და უნაპირო.
 პოეტის სული დაპფართქალებს ჭყლოპინა აკვნებს,
 ეუვანი ველის, ტოროლა ცისკრის...

პოეტი ერთხელ ყასაბეგმა ხარივით დაპკლეს,
 თქვენი პერანგიც შეიღება პოეტის სისხლით.
 ველებზე გარბის, და სიცოცხლის მინდვრებში გარბის
 ბობოქარ ბოგირს გადასული უბელო კვიცი,
 ვა! — პოეტის წყალობაა ძველი და მძლავრი,
 თქვენ რომ ქართველი კაცი გქვიათ, ესეც და ისიც.
 ზაგრამ ჩვენს სახელს, ჩვენს ღირსებას, ჩვენს

ქართველობას

თქვენ ახურდავებთ, აქუცმაცებთ სარდაფის ობით
 და სიხარულად, სიყვარულად, მღერად, მხნეობად
 იუდას ბნელი ბალღამი გყოფნით.

თქვენთვის უცხოა სიყვარულის ლურჯი დროშები,
 ლოდის ნაური,

იის კვამლი,
 ირმების მთვარე...

და მძუან ძლვენით, და წუმპეში ნახულ გროშებით
 თქვენ ფეხმსუბუქი ქალებისგან ყიდულობთ ალერს.

— ო, ერთი წუთით, დამშვიდლით, იცით?

თქვენ სიმართლესთან ახლოს დგახართ, ოღონდაც კართან,
 მე მიმაქვს ძლვენი, რა ტქმა უნდა, და არა ქინძი,
 ფეხმსუბუქ არა, რა თქმა უნდა, საყვარელ ქალთან,
 ქალთან, რომელმაც კარგად იცის თავისი ფასი,
 ქალთან, რომელსაც კარგად ესმის ვისთან და როგორ,

თქვენ კი ლექსების ბედოვლათი ბაღაგი ასვით
იაფი სუნით შეზავებულ კოჭლამაზ გოგოს.

დიფირამბებით აუქავეთ სისხლი და სული

ქარაოც სტულენტს, გაფცქვნილ არტისტს, ჭუჭყიან
მიმტანს,

მე კი ალყაში მივაბიჯებ ჭორის და შურის,
ერთს ვაწიოკებ, მეორეს ვიტან.

ლამაზი ქალის სხეულს და ალერსს

მხოლოდ და მხოლოდ განძი ამხობდა,

ვინ უჩუმდება, მეგობარო, ღღეს ლამაზ თვალებს
და მითუმეტეს, ლამაზ ლაყბობას.

ასეა... დიახ... მხოლოდ ასე, ძმაო და შვილო,

ნუ ჩქარობთ, მალე მყვირალობის გადავა ბური.

— თქვენ ჩართალი ხართ, — წუთისოფლის გატანას
ცდილობს,

სუსტი — მუქარით, უტვინო — ფულით.

ამ გავეშებას, განივთებას და ფუფუნებას

კიდევ ჰო, მაგრამ ლირსებით რომ გვიწოდებთ ხელებს?!

ვინ მოგცათ ქვეყნად ქვეყანაზე ფიქრის უფლება
და ხალხზე ფიქრის უფლება.

— დაწყნარდით, ასე ნუ იღრუბლებით,

მრევლი წმინდანობს, მღვდელი კი ცოდავს,

ხალხმა და ხალხის ნებამ მომცა მე ეს უფლება,

ხალხზეც ხომ უნდა ვითიქრო ცოტა.

და ადგა იგი ჩახურული და იდუმალი,

უაზრო კედლებს შეპარვოდა გვიანი ბინდი.

— გთხოვთ, მაპატიოთ გულახდილი ეგ საუბარი.

— არაფერია, —

გართობისთვის მაღლობა დიდი.

შემომაყარა პირზე ქვიშანი

ჩვენი ღლების მოამაგე ქართველის ჯიშმა,

ოჳ, მომაშორეთ ეს ბერბათი კითხვის ნიშანი,

ხვალ უნდა შევხვდე ძახილის ნიშანს!

* * *

წუთისოფელში ისევ სოფელს მიუვშურუბი,

ისევ მოვუსმენ მოჩურჩულე ჩრდილების ზღაპარს,

საღაც ნელიად მიჭრიალებს ბინდში ურემი,

საღაც კოფოზე ნაღვლიანად ღიღინებს პაპა.

საღაც, —

ბურძგლა ბიჭის წაუბმია ხბოსთვის ბაწარი,
მიჰყავს, ჯიუტობს... ისევ მიჰყავს, ჯიუტობს ისეც...
მე აქ პოემის დასტამბვაც კი ვერ მოვასწარი,
კითხვის ნიშანი კაბინეტით გამიქრა ისე.

ბალადა ბობოყვათელ ქალიშვილზე

და-ძმა ჰურიე და მურად ანანიძეები
ერთად იმრძოდნენ დიდ სამშულო
ომზი.

ველზე დაუსტვინა ტყვიამ,
ვარდი შეატოკა უცებ.
მწარე კვნესა მოწყდა ნიავს,
დედა! — გაფითრებულ ტუჩებს.

ძირში ჩამოვარდა დილა,
სიო გაინაბა ფრთხილი...
კორდზე დაგაწვინეს რბილად,
სისხლი ჩამოგბანეს თბილი.

დედა, მომეფერე, მცივა,
მკერდზე მიმიხურე ისევ,
ნანა დამიმღერე ტქბილად,
შავი სიკვდილისგან მიხსენ.

იქნებ გამოსტაცო ბურანს
სული ქარებთან რომ დაობს.
სად ხარ, მომეხმარე მურად,
ჩემო საყვარელო ძმაო.

საით გადაფრინდა ორბი,
ქარი ასე რატომ ავობს!..
ვიღაც შეშლილივით მორბის,
— დედას რაღა ვუთხრა, დაო!

როგორ ამოვილო ხმაი,
როცა შენზე მკითხავს დედა,
— ბიჭო, სად დატოვე დაი,
ჩემი სიხარული ერთა.

მიწა გაგითხარეს დნეპრთან
და მზე გაიყინა წამით.
მერე დაიქუხეს ერთად,
მერე ცა დაინგრა ლამის.

ნაღმის ნამსხვრევების ელვა
ირგვლივ არემარეს ხევდა,
და იმ გამარჯვებას ერქვა
შენი ლიმილი და სევდა.

და იმ გამარჯვებით დღესაც
გზე და სიყვარული ხარობს,
შენი გული ახლაც ფეთქავს,
შენი სული ახლაც დაობს.

დარჩი ბაღში ლამაზ ვარდად,
თითქოს ამოსული გუშინ,
ახლა გაზაფხულის კართან
მამულს ეხუტები გულში.

მიხეილ გოგიძეაპე

მ ა რ ც ხ ი

სიზმარი ქუჩის ხმაურმა გაუწყვიტა. რომელიღაც დანჯღრეულმა ავტომანქანამ დაღმართი კისრისტებით ჩაათავა. თენგიზმა ფანჯარას გახედა, მთებიდან ქალაქში განთიადი ეშვებოდა.

მხარი იცვალა. ლამენათევმა ისევ დაძინება სცადა. ანაზღალ შეწყვეტილი სიზმარი მოაგონდა. აუდიტორიაში პროფესორი დაფასთან იდგა და დაცინვით ეუბნებოდა, ეჭ, შე უმწიფარო მეცნიერო, ხუთი წელია. ჯახირობ და აქამდე ზოგადი ტრანსცენდენტური ფუნქციის ინტეგრალი ვერ ამოგიხსნია. პროფესორი დაფასთან მივიდა, ფორმულა დაწერა და უმალვე მის ამოხსნას შეუდგა. პირველი დაფა ფორმულებით თვალის დახამატებაში გაავსო, შემდეგ მეორე, მესამე, მეოთხე დაფაც დასჭირდა, დაფებით დაფარული მთელი კედელი პროფესორმა ბოლომდე ჩაათავა, უკანასკნელი წერტილი ხმაურით დაუსვა, ცარცი დააგდო, თითები ჩვარზე შეიწმინდა და აუდიტორიიდან უსიტყვოდ გავიდა.

უცნაური სიზმარი იყო, თითქოს ფორმულის დასაწყისიც ახსოვდა და მისი გაგრძელებაც. თითქოს კი არა, ნამდვილად ასე იყო, იქნებ გონება ძილშიც განაგრძობდა მუშაობას და მიაგნო ტრანსცენდენტური ფუნქციის ზოგად ხასიათს?

თენგიზმა ფოსტლებში ფეხი წარგო, საბანი მოიხვია და საცვლების-ამარა საწერ მაგიდას მივარდა. ცდილობდა ყოველი ასო, პროფესორის მიერ ამოხსნილი მთელი ფორმულა მეხსიერებაში აღედგინა და ქალღზე გადაეტანა. როგორც კი საწერ მაგიდას მიუჯდა, სიზმარეული ფორმულა გონებაში ისე აირია, რომ რაიმე სისტემაში მისი თავმოყრა შეუძლებელი გახდა. ამას თენგიზისთვის გული არ გაუტეხია, იგი გატაცებით ჩაიძირა ინტეგრალებში, გადაავიწყდა პროფესორი, სიზმარი, გარემო. რომელიღაც ალგებრულ ფორმულას ჩაეჭიდა, ჩაეჭიდა და ბოლომდე არ

მოეშვა. როცა ფონს გავიდა, ნახა, რომ ეს იყო ინტეგრალის ნაცნობი ალგებრული ფუნქცია. არ გაღიზიანებულა, ფორმულებით აჭრელებული ფურცლები გვერდზე გადააწყო და ახლის წერას შეუდგა, არცახალ ცდას მოჰკილია შედეგი, რედუქციის ფორმულებში აღმოჩნდა ჩაძირული.

გაღაენცული თენგიზი შიმშილმა მოადგინდა. საათს დახედა, შუადღე გამხდარიყო. აღგა, ელექტროჭურა ჩართო, სანამ ქურა ტაფას გაახურებდა, ჩაიცვა, ლოგინი ნაუცბათევად გაასწორა, შემდეგ ტაფაზე თხლად დაჭრილი ძეხვი დააწყო, რამდენიმე კვერცხი დაახალა, კარალიდან პური გამოიღო და ღარიბულ სუფრას მგლის სიხარბით დააცხრა.

დანაყრებულმა ახალი ძალა იგრძნო, ბრძოლის ახალი სურვილით აღივსო. ერთხელ კი შეპლიმა კედლიდან მაცქერალ ლამაზი გოგონას სურათს და ისევ საწერ მაგიდას დაუბრუნდა.

დაუბრუნდა და მაშინვე ჩაიძირა ინტეგრალის ურთულეს ფორმულებში. მისთვის სხვა სამყარო აღარ არსებობდა, მის ცნობიერებამდე არც ქუჩის ხმაური აღწევდა, არც ფანჯრის მინის წკრიალი, რომელზეც ცერისოდენა სეტყვას დავლური გაეჩაღებინა. დრო კი შეუმჩნევლად მიიპარებოდა.

— მომეცით სინათლე! — ჩაბნელებულ ოთახში გაისმა ჭაბუკის მოზეიმედ მუღერი ხმა. იგი ჩამრთველს მივარდა, ელექტრონის გაჩახჩახებულ შუქზე ქვეცნობიერი შიშით შეპყრობილმა ერთხელ კიდევ გადამოწმა ფორმულებით დაფარული ფურცლები და კვლავ მოზეიმე ხმით დაიყიდა:

— არის, არის! ინტეგრალი ტრანსცენდენტური ფუნქციის ზოგადი ხასიათით ამოხსნილია!

გამარჯვების სიხარულით აღგზნებულმა ჭაბუკმა ფურცლები ხელში აიტაცა და ისეთი ბუქნა გააჩალა, მანსარდმა ზანზარი დაიწყო.

— თენგიზ! — ბუქნასა და უაზრო ბგერების ორომტრიალში შეიჭრა შეშფოთებული ხმა.

კარის ზღურბლზე ლამაზად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი იდგა, იგი გაოგნებული შეპყურებდა თმაგაწეწილ, საკინძეჩახსნილ, უცნაურად აცუნდრუქებულ ვაუს.

— თენგიზ, როგორ შემაშინე, — უფრო ახლოდან დააკვირდა, — კარგად ხარ?

— ოკ, ხათუნა, რა დიდი ბრძოლა მოვიგე, შეუპოვარი, მრავალწლიანი. იი, — ფურცლები ცხვირწინ აუფრიალა, — ჩემი მონაბოვარი.

— ღმერთო ჩემო, რა არ ვიფიქრე, რად გინდა ინტეგრალი, შენ თუ შეიშალე?

— აბა, რას ამბობ, ამან მათემატიკურ სამყაროს ილავი გაუწყვიტა, მე დღეს გამარჯვებული ვარ. — აღგზნებულ ვაუს სურვილი დაეუფლა ქა-

ლიშვილისათვის ალერსი გამოეტაცა.

— რა დროს ეგ არის, — ხათუნამ ნაბიჯით უკან დაიწია, — ათი წუთი დაგვტჩა.

— საღ მიგეჩქარება?

— ასეც ვიცოდი, გუშინ ოპერის ბილეთები ხომ აიღე?

— ოჭ, სულ გადამავიწყდა, ინტეგრალია დამნაშავე, ახლავე, ახლავე ჩავიცვამ.

იგი კარადას მიეფარა. საღერლელაშლილი დაწვრილებით ყვებოდა მათემატიკურ აზროვნებაში თუ რა აღილი უჭირავს ინტეგრალებს, რომ გისმა შესწავლამ და ამოხსნამ კაცობრიობის პროგრესს, ფიზიკას, მექანიკას რაოდენ შეუწყო ხელი მათემატიკურ სამყაროში...

— ოჭ, თენგიზ, — განერვიულებულმა ქალიშვილმა შეაწყვეტინა, — ნუთუ ვერ ხედავ, რომ შენს მათემატიკურ სამყაროს გარდა სხვა ცხოვ-რებაც არის.

— მაპატიე, ხათუ, ჩემი ინტეგრალები ყელში ამოგივიდა, მაგრამ უნდა გამიგო. ახლა ისე ვარ აღფრთოვანებული, რომ შემეძლოს, ჩემს სიხა-რულს ქვეყანას გავაგებინებდი.

— ეგ სხვა დროს, ქვევით მანქანა გველოდება. როგორ მეჯავრება თეატრში დაგვიანებით მისვლა.

— აი, მეც მზად ვარ, — თენგიზი კარადის შირმას მოშორდა. მას გაცვეთილი პალტო ეცვა და ძველი ქუდი ეხურა.

ახალგაზრდებმა კიბე სიჩრილით ჩაათავეს, ავტომანქანაც სწრაფად წავიდა, მაგრამ მაინც დააგვიანდათ. თეატრის დერეფნებს ნეონის მკრთალი შუქი ანათებდა, პარტეტრში ფეხაკრეფით მონახეს ადგილები, დასხდნენ და დამშვიდდნენ. სულგანაბულ დარბაზს „კარმენის“ უვერტიურა და-ჟფლებოდა.

სცენაზე სიყვარულმა ფრთები გაშალა. მოწვეულ იტალიელ კარმენს ქართველმა ხოსემ ღირსეული პარტნიორობა გაუწია. პირველი მოქმედება დამთავრდა, სიამოვნებისაგან გარინდულმა დარბაზმა ერთბაშად იქცა. თენგიზმა ხათუნას გადახედა. ქალიშვილს ლამაზ სახეზე ნეტარების შუქი გადაფენოდა, სცენის მხარეს ოდნავ გადახრილი, თავდავიწყებით უკრავდა ტაშს.

ხავერდის მძიმე ფარდა დაეშვა. დარბაზი უთვალავი ნათურების ჩახახა შუქით აივსო. თენგიზი წამოდგა და ხათუნას მქლავს ხელით შეეხო.

— გავისეირნოთ.

ქალიშვილი გონის მოეგო, ჯერ დარბაზს გადახედა, შემდევ ალერსიანი თვალებით ვაჟს მიუბრუნდა, შეხედა და... ელდანაცემს სახიდან ერთ-ბაშად გაუქრა ღიმილი.

— დაჯექი, ჩეარა დაჯექი! — გადაფითრებული ნერვიულ ცახცას

ველარ იჭერდა, იგი ვაჟს გადაეფარა და აიძულა სავარძელში ჩამჯდარიყო.

გაოგნებული თენგიზი ვერ მიმხვდარიყო, ასე უცბად რა მოხდა. იგი ძალასა და ბრძანებას დაემორჩილა.

— ოჯ, შე ინტეგრალებით გამოთაყვანებულო, სინათლის — ჩაქრობაშ.

დე ფეხი არ მოიცვალო!

ხათუნამ გაფართოებული თვალებით ზიზლი შეაფრქვია და გაქრა.

თენგიზმა ტანსაცმელზე დაიხედა. ნათურების შუქზე მუხლთან შარ ვალზე დაკერებული ფერადი ნაჭერი სავსე მთვარესავით მოჩანდა. მას მთელ ტანში ციებიანივით გასცრა, ინსტინქტურად მუხლებს იდაყვებით დაეყრდნო, რომ ცხიმიანი საჭმელებისაგან დალაქიანებული და დაკერებული შარვალი დაეფარა. აჩქარებამ, სიხარულმა შარვლის გამოცვლა გადავიწყა.

თენგიზი თავისთავს სინანულით გამოუტყდა, რომ ასეთი მარცხი პირ ველად არ მოსვლია. ჭშირად ისე ჩაინთქმება საქმეში, რომ ველარ ამჩნევს ირგვლივ რა ხდება. ეს შარშან შეემოხვა, მაშინაც ფორმულებს ებრძოდა. ლექციაზე წასვლის წინ გასაუთოვებლად შარვალი მოამზადა, სანამ უთო გახურდებოდა, რომელილაც ფორმულას ჩაუჯდა. მთელი საათი გასულიყო. გონს მოსულმა ლექციაზე დაგვიანების შიშით უმალვე უთოს წაავლო ხელი, წაავლო და შარვალიც შეიწირა, ერთადერთი კოსტუმის შარვალი, რომელსაც თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. თავისუფალ ღრო რაღაც ნაჭერი გამონახა და თვითონ დააკერა, სახლში მაინც გამოვიყენებო. შესაფერი ნაჭერი მაინც მოეძებნა, რაც ხელში შეხვდა ის დააკერა. ახლა სკამზე მილურსმულივით პარტერში ეულად ზის და მუხლებზე ხელი იფარებს.

სახლში დაბრუნებულმა, უნებურად ხათუნას სურათს ახედა. ორეული როდი უბრაზდებოდა. პირიქით, მშვიდი, ალერსიანი თვალებით შემოჰყურებდა.

— ბოლოს და ბოლოს რა მოხდა, ქვეყანა ხომ არ დამიქცევია, შარვლის გამოცვლა დამავიწყდა. — სურათს პირიქით შეედავა.

მშვიდი, ალერსიანი ხათუნა პირველად ნახა ისე გალიზიანებული. ნერვიულობისაგან სახე უთოთოდა. განა თენგიზი ნაკლებად განიცდის ამას, მაგრამ რა ექნა...

თენგიზი ცხოვრებას არ გაუნებივრებია, დედა აღრე გარდაეცვალა, მამა ომში დაეღუპა, დაობლებულს მეურვეობას ბიძა უწევდა. უნივერსიტეტში სწავლის ღროს ბიძა იმდენს უგზავნიდა, ბინის ქირად და თავის გასატანად ყოფნიდა. მომვლელი არავინ ჰყავდა, რომ თბილი კერძი დაეხედრებია, სადაც წაახელებდა, იქ დანაყრდებოდა, შიმშილს, ხშირად, თავაუღებლივ შრომა უქარწყლებდა. გახდა. მიმზიდველ, ფერმიხდილ სახეზე დამჭანცველი შრომა და გაუხარელი ცხოვრება აღბეჭდოდა.

უნივერსიტეტის დამთავრების წინ პროფესორმა შესთავაზა კათედრულება დარჩენილიყო. ბიძამ თავისი წილიდან თბილისში ბარნოვის ქუჩაზე ერთი ოთახი უყიდა, ოთახი კი არა მანსარდი. თენგიზი იმითაც კმაყოფილი იყო, რომ საკუთარი კუთხე გაიჩინა, ყოველთვიურად ბინის ქირისკაფა დახდაზე არ ფიქრობდა.

ასპირანტურამ უფრო დაძაბული შრომა მოითხოვა. მორელი ბისი საბრძოლო საშუალება იყო ნიჭი და ენერგია, რომელსაც ანგარიშმიუცემლად ხარჯავდა. გვიან ღამედე ბიბლიოთეკაში მუშაობდა, რასაც იქ ვერ ასწრებდა, სახლში აგრძელებდა. მის ოთახში ხშირად დილამდე ენთო შუქი.

— ეს ბიჭი მწვერვალებისაკენ მიდის, ენერგია თუ ეყო, გვასახელებს, — სამეცნიერო საბჭოზე განაცხადა პროფესორმა, როცა თენგიზის ერთ-ერთ ნაშრომს იხილავდნენ.

ასპირანტურა წარმატებით დაამთავრა. იმხანად შეხვდა ხათუნას, მეგობართან წვეულებაზე გაიცნო. მხიარული და ხალისიანი ჩათურა სილამაზეს მატებდა სუფრას. წვეულების შემდეგ სახლში გააცილა. მეორე დღეს ოჯახში ეწვია. დრო გადიოდა, ცხოვრება თავისი გზით მიღიოდა. თენგიზი გრძნობდა, რომ როგორც კი ფორმულებს თავს დააღწევდა, გული ხათუნასთან მიუწევდა, შეხვდებოდა და განშორება უძნელდებოდა.

თენგიზს ცხოვრებაში ყველაფერი აკლდა: ფული, კარგი ბინა, მეგობრული და ნათესაური სითბო. მისთვის არავის ეცალა, არც თვითონ იყო სხვაზე გადაყოლილი. თანატოლები ცხოვრებას სხვა თვალით უყურებდნენ, ამქვეყნიურ სიამოვნებას არ იკლებდნენ. იყვნენ ზომიერნიც, რომლებიც მეცნიერებასაც უხდიდნენ ხარკს და დროსაც უზრუნველად ატარებდნენ. თენგიზი უფრო კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. მისი ერთადერთი გატაცება იყო მათემატიკური მეცნიერება. ურთულესი ფორმულების ამოხსნა მეტ სიამოვნებას ანიჭებდა, ვიდრე ლხინში გატარებული სალამ. გაურბოდა წვეულებებს, მოჭარებებულ ხარჯებს. ესეც არ იყოს, თენგიზი ვერ ეგუებოდა გაჭიანურებულ ლხინს, როგორც კი დანაყრდებოდა, მოუსვენრობა იპყრობდა, წასვლის მიზეზს ეძებდა. იქ, მანსარდში წიგნები, ფორმულები ელოდა.

შემდეგ გამოჩნდა ხათუნა, ხალისიანი, ალერსიანი. ქალიშვილს ცხოვრების თავისებური საზომის ჰქონდა. იგი ფუქსავატი არ ყოფილა, თუმცა, ცდილობდა მოდას არ ჩამორჩენოდა. უყვარდა შრომისმოყვარე, საქმით გატაცებული აღამიანები, საკუთარი თავის მიმართაც მომთხოვნი იყო, კონსერვატორიაში წარჩინებით სწავლობდა. მშობლები პედაგოგები ჰყავდა, რომელთაც იცოდნენ შრომის ფასი, ადამიანის ფასი, ცხოვრების დანიშნულება.

ხათუნამ გარდატეხა მოახდინა თენგიზის ცხოვრებაში. იგი შეიჭრა ვაჟის სულში და ფაქიზი ხელებით იქ ბევრი რამ თავისებურად დაალაგა.

უპირველეს ყოვლისა, თენგიზს მუშაობის რეჟიმი დაუწესა. — დასვენება რკინის მანქანებსაც სჭირდება, პო და, ჩემო კარგო, ამ შენს ბუღრულგანა-ში განუწყვეტილი მუშაობით ქანცი გაგეცლება, ველარც მეცნიერებას და-ეუფლები და მეც დამკარგავო, უთხრა.

თენგიზს მანამდე მანსარდი მუდამ არეული ჰქონდა, ორ დღეში ერთ-ხელ თუ დაგვიდა, ლოგინის გულდაგულ გასასწორებლად დროს არ ჰყარ-გავდა, პერანგებსაც იშვიათად იცვლიდა, რაც ებადა ისე გაუჭიყიანდებო-და, რომ უკანასკნელ დღემდე ვერ ახერხებდა მრეცხავთან წაღებას. ხა-თუნას გამოჩენას წესრიგი მოჰყავა, ეზოდან მრეცხავი თვითონ ამოდიოდა, თეთრეულიც მიჰქონდა და სახლსაც ალაგებდა.

თენგიზი „ლამაზ მბრძანებელს“ მორჩილად დაჲყვა, მასთან ერთად ქალაქში დასეირნობდა, რამდენჯერმე ფუნიულიორის პლატოზეც ავიდ-ნენ ფეხით, სეირნობილან დაბრუნებულთ ხათუნას ოჩახში მსუყე საჭმე-ლებით უმასპინძლდებოდნენ.

თენგიზის მორჩილმა, დამყოლმა ხასიათმა, მისმა უანგარო და ხალა-სმა გრძნობამ, სპეციალობით ფანატიკურმა გატაცებამ მიიზიდა ხათუნა. მან მიზნად დაისახა საზოგადოებისათვის თენგიზი წარედგინა სულ სხვა-გვარი, არა მეცნიერებით გაბრუებული და ცხოვრების ყოველდღიურობას მოწყვეტილი, ახლომხედველი ადამიანი, არამედ გონებაგახსნილი, ცხოვ-რების ფერხულში ჩაბმული მეცნიერი, რომელიც ალღოს აუღებს ყველა-ფერს, რაც მის ირგვლივ ხდება.

ასე, თანდათან, შეჩვევას შეთვისება მოჲყვა, შეთვისებას სიყვარუ-ლი. ქალიშვილი აღარ ფარავდა, რომ მან ცხოვრების თანამგზავრად ხე-ლოვანი კი არა, მათემატიკოსი აირჩია.

ერთხელ თენგიზმა ოქროს ძეწკვი და მედალიონი ჩამოჰკიდა ყელზე. საჩუქრების მაღაზიაში წაჭყდა, მოეწონა, მთელი თვის ხელფასი გადაი-ხადა. ფული რა სათქმელია, ხათუნასათვის სულსაც არ დაიშურებდა. ხა-თუნამ მადლობის ნიშნად ვაჟი მწველი ალერსით დაასაჩუქრა, მედალი-ონი უკან დაუბრუნა და უთხრა, ნიშნობის დღეს მომიტანეო. საჩუქარი მთელი წელი უჯრაში ჰქონდა ჩაკეტილი, ნიშნობის დღე აქამდე ვერ გა-დაეწყვიტათ, ხათუნა არ ჩქარობდა.

თენგიზი იცნობდა ხათუნას ხასიათს, იცოდა მისი გადაწყვეტილება, შორეულად აღარ მიაჩნდა კარს მომდგარი ბედნიერება, ამიტომაც დარწ-მუნებული იყო, რომ ოპერაში მომხდარ შემთხვევას ხათუნა აპატიებდა, ისევ აავსებდა სითბოთი და ალერსით.

— ნუ მებუტები, ნუ მიბრაზდები, ჩემი ამბავი ხომ იცი, რა უნიათოცა გარ, ჰო და შევრიგდეთ, მომავალ კვირას ნიშნობა გადავიხადოთ. როცა შენთან ვიქნები, მეტ ყურადღებას მომაქცევ, ასეთი მარცხი არ მომივა, — სურათს ხმამალლა გამოელაპარაკა, შემდეგ ისევ საწერ მაგიდას დაუ-

რუნდა და ფორმულებში ჩაიძირა, ხვალ პროფესორისათვის ლამაზალ
გაღაწერილი უნდა ეჩვენებინა.

თენგიზის ნაშრომი გახმაურდა. ახალგაზრდა მეცნიერი ეროვნად შეტ-
აქეს კათედრაზე და საბჭოს სხდომაზე. პროფესორმა ვრცელი სტატია მო-
ამზადა, რომელშიც გაანალიზებული იყო თენგიზის მიერ მიგხებული გზის
მიშვნელობა, აღმოჩენა ახალ პერსპექტივებს სახავდა დრეკაუზობის სევ-
რცითი თეორიის სფეროში. სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს, რომ ეს
წარმატება საქმარისი იყო საკანდიდატო ხარისხის მოსაპოვებლად.

მაგრამ ამ წარმატებაზე უფრო სწრაფად გახმაურდა ის, რაც ოპერაში
ჭალახდა, უცნობებიც კი ხითხითებდნენ ანეგდოტად გავრცელებული
შემთხვევის გამო.

— თენგო, რასაც შენზე ამბობენ, მართალია? — ერთხელ ჭეეკიოხა
კოლეგა.

— რაო, რას ამბობენ?

— ოპერაში უკანალზე დაკერებული შარვლით იყო. შარვალი ისე
დალაქიანებულ-აჭრელებული ჰქონდა, კლოუნი ეგონათ და მთელი ღარ-
ბაზი ხარხარებდათ.

თენგიზს ყურადღება არ მიუქცევია მოცლილთა გაზვიადებული ყბე-
ლობისათვის. იგი ოპერიდან ისე გამოვიდა, არავის შეუმჩნევია, დაკერე-
ბული შარვალი ეცვა თუ ახალი. მხოლოდ ვერ გაეგო, ხათუნამ ხალხს რა-
ტომ მისცა ლაყბობის საბაბი. განა წინასწარ ვერ განსაზღვრა, რომ ამით
საკუთარ თავს მიაყენა ჩრდილი? იქნებ ოპერიდან სახლში ნააღრევად
დაბრუნებულმა ხათუნამ ეს შემთხვევა ცხელ გულზე დედას გაუმხილა,
დედამ მეზობლებს და ასე მოედო მთელ ქალაქს?

ასე იყო თუ ისე, თენგიზს კვლევა-ძიება არ გაუმართავს. მას ახალი,
უფრო დიდი უსიამოვნება ელოდა. ათიოდე დღის შემდეგ ნაცნობებმა
უთხრეს, რომ ხათუნა გათხოვდათ. პირველად ეს ცნობა თენგიზს ჭორი
ეგონა, უფრო სწორად, მას არ უნდოდა დაეჭერებია ეს. ვერც წარმოედ-
გინა ხათუნას გარეშე ცხოვრება. ხათუნამ მის არსებაში ისე გაიდგა ფეს-
ვები, მის სულში ისე გადაახალისა ყველაფერი... ხათუნასთან დაახლოე-
ბის შემდეგ ცხოვრება მისთვის მიმზიდველი, შინაარსიანი, სიხარულითა
და სიამოვნებით აღსავსე გახდა... ნუთუ ყველაფერი დროებითი იყო და
ნააღრევით თოვლივით გაპქრა!

სახლში დაბრუნებულმა საშინელი სუსტი და მარტოობა იგრძნო. მა-
შის დაკარგვის შემდეგ პირველად ვერ შეიკავა ცრემლი.

სევდას რომ მოერია, უფრო სალად შეაფასა მდგომარეობა. თურმე
უმნიშვნელო შემთხვევას შესძლებია ყველაზე ახლობელი აღამიანები
გათიშოს. რატომ წავიდა? აღბათ იმედი ვერ გაუმართლა, ასეთი წინდახე-
რული აღამიანები მოუფიქრებელ და ნაუცდათევ ნაბიჯს არ გადადგამენ,

როგორც ჩანს, ხათუნას გადაწყვეტილება რომელილაც ცხოვრებისეულ კანონზომიერებასთან არის დაკავშირებული... „ინტეგრალებით გამოთაყვანებულოთ“, მოაგონდა ხათუნას სიტყვები, სიბრაზისაგან აცახცახებულმა, ოპერაში რომ მიახალა. შეიძლება მართლაც გამოთაყვანებულია და სხვები პირდაპირ არ ეუბნებიან? რა გასაკვირია ასეთმა დაძაბულმა შრომამ აღამიანი გამოთაყვანებამდე მიიყვანოს. განა გამოთაყვანებული ამჩნევს თავის გამოთაყვანებას? მაგრამ ვის დაუჭეროს, ვისი განსაზღვრებაა უფრო საჩწმუნო, პროფესორის, რომელიც მისი შრომის შედევით აღფროვანებულია, თუ ქალიშვილის, რომელსაც სპექტაკლები, კინოვარსკვლავები, უზრუნველი ცხოვრება უფრო იზიდავს, უიდრე მათემატიკური, ან საზოგადოებრივი პრობლემები?

ხათუნას ორეულთან პოლემიკა დიდხანს არ გაგრძელებულა. წამოდგა, ხათუნას სურათი კედლიდან ჩამოხსნა, შემდეგ შალში გაეხვია, საწერ მაგიდასთან მოიკალათა... დარღისათვის ძალიან ცოტა დრო რჩებოდა, ამიტომაც მწუჟხარებას ხანგრძლივად არ ეძლეოდა. თავაუღებელი მუშაობა იყო მისი ცველაზე დიდი მკურნალი.

გამოხდა ხანი.

თენგიზმა მძიმელ განიცადა ზოთუნას დაკარგვი. უფრო გახდა, ზოგჯერ სევდიანი ფიქრები ისე შემოაწვებოდა, რომ უძნელდებოდა მეცნიერებასთან და ცხოვრებასთან შეუპოვარი ჭიდილი, დაპკარგა თვითკონტროლი, წვერს კვირაში ერთხელ თუ გაიპარსავდა. აღარც პერანგს იცვლიდა ხშირად. მრეცხავმა ახალი ბინა მიიღო და სხვა უბანში გადასახლდა. მრეცხავის წასვლა დააჩნდა თენგიზის ოთახს, მის ტანსაცმელს. ახლა თვითონ რეცხავდა, თვითონ ალაგებდა, კერძებსაც თვითონ ამზაღებდა.

ახალ სასწავლო წელს შესამე კურსის ერთ-ერთ ჯგუფთან სემინარული მუშაობა დაავალეს. დაფასთან ქალიშვილი გამოვიდა. მან ურთულესი მაგალითი ისე თავისუფლად ამოხსნა, თითქოს უმარტივეს არითმეტიკულ მოქმედებასთან ჰქონდა საქმე.

— თქვენ რა გქვიათ? — ჰქითხა კმაყოფილმა თენგიზმა.

— თინათინი.

— ყოჩალ, თინათინ, დაბრძანდით!

ქალიშვილს თვალი გააყოლა. რატომლაც თავისთავს გაუმხილა, რომ თინათინი ხათუნაზე ლამაზია და რაც მთავარია, მას მათემატიკა უყვარს. შემდგომში თენგიზმა თავისთავს შენიშნა, რომ რატომლაც მიუხაროდა თინათინის ჯგუფში.

მეგობრებმა, კოლეგებმა შეამჩნიეს, რომ თენგიზის სულში კვლავ მოხდა რაღაც გარდატეხა, წვერს ყოველდღე იპარსავდა, გაქათქათებულ პერანგს იცვამდა, ახალი კოსტუმი და პალტოც შეიძინა.

ასე გავიდა ორი წელი. ვაჟს ქალისათვის სიყვარული არ გაუმხელია,

რაღა საჭირო იყო იმისი თქმა, რაც უთქმელადაც ნათელი გახდა. თინა-
თინმა თენგიზის სულიდან გამოდევნა ყველა სხვა ქალი, ხათუნაც კი წარ-
სულის მერთალ მოგონებად გადაიქცა.

თენგიზი ოცდარვა წლის იყო მათემატიკურ მეცნიერებათა ქანდაღა-
ტის ხარისხი რომ მოიპოვა. დიდი სუფრა არ გაუშლია, პროთესორები არ
დაუპატიჟებია, ხელგაშლილობის საშუალება ჯერ არ ჰქონდა. ათიოდე
შველაზე ახლო მეგობარმა გაიზიარა მისი ლხინი.

იმავე წელს უნივერსიტეტის პროფესიონელში უთხრეს, ოროთახიან
შინას გაძლევთ, მეუღლე რომ გყავდეს, სამოთახიანს მოგცემდითო.

თენგიზი არ დაბნეულა, პროფესიონელის თავმჯდომარეს სთხოვა მის-
თვის ხუთი დღის ვადა მიეცა.

ხუთი დღის შემდეგ თენგიზმა თინათინთან ერთად სამოთახიან ბინაში
ახალმოსახლეობა აღნიშნა.

ორმოცი წლის თენგიზმა საღოქტორო დისერტაცია დაიცვა, მან
დრეკალობის სივრცით თეორიაში კვლავ ახალი სიტყვა თქვა. შემდეგ კა-
თელრა ჩააბარეს. მიუხედავად ასეთი დატვირთვისა, თენგიზს ახლა უა-
ზისათვის, მეუღლისათვის, შვილებისათვის მეტი დრო რჩებოდა, ძველე-
ბურად აღარ იყო მძიმე ფიქრებში ჩანთქმული და თავაუღებელი მუშაო-
ბით გადაქანცული. ცასაც ამჩნევდა, მზესაც და აღამიანებსაც. მისთვის
ცხოვრება უფრო მორჩილი, გამგონი და დამყოლი გახდა.

* * *

იმ დღეს პირველად შევიდა მეორეკურსელებთან. ჩანთა კათედრაზე
დასდო, დაფები შეათვალიერა, შემდეგ სტუდენტებით სავსე აუდიტორი-
ას გადახედა, გადახედა და გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა. შეა
მერჩე მჯდომბ ქალიშვილი როგორ ჰგავდა ხათუნას, მაღლა ავარცხილი,
შაგულდაგულოდ ჩახვეული წაბლისფერი თმა, ტანზე შემოსალტული ქი-
შმირის კაბა, გულთან ამოქარგული ვეებერთელა ვარდი, სწორედ ისევე,
როგორც ეს ხათუნას უყვარდა. ეგ შავი სადაფის ყელსაბამიც ხომ ხათუ-
ნასია. ოც წელზე მეტი რომ არ იყოს გასული, იფიქრებდა, ლექციის მო-
სასმენად ხათუნა ან მისი ტყუპისცალი მოსულა.

ქალიშვილმა პროფესორის დაუინებულ გამოხედვას ეშხიანი შავი
თვალები მოარიდა, ხელჩანთიდან ცისფერი აბრეშუმის ცხვირსახოცი
ამოილო და რატომდაც სახეზე მიიფარა.

თენგიზმა ცხოვრებაში პირველად, იგრძნო, რომ ლექციის წაკითხვის
განწყობილება არ ჰქონდა, სურვილი სძლევდა საღმე შორს წასულიყო,
თუნდაც ფეხით აჲყოლოდა მამადავითის მთას, მოგონებებისათვის გზა
მიეცა.

შესვენების დროს უცნობი გოგონა კათედრასთან მიიხმო.

— თქვენ რა გქვიათ?

— ხათუნა.

— დედათქვენს?

— იმასაც ხათუნა ჰქვია.

— გასაგებია, — თავისთვის ჩაილაპარაკა. ისევ დააკვირდა. ახლა შე-
ნიშნა გადასალტცლ წარბებს ზემოთ დედისეული ორი პატარა ხალი.

სტუდენტებს შორის ჩურჩული ტალღასავით დაირხა, მაგრამ ამისა-
თვის პროფესორს ყურადღება არ მიუქცევია, ტკბილმა მოგონებებმა მკე-
რდში რაღაც მიძინებული გამოაცოცხლა.

— მამა სად მუშაობს? — ისევ გამოელაპარაკა.

— მამა გარდაიცვალა.

— დედისეულ სახლში ცხოვრობთ?

— დიახ.

რა არ ხდება ცხოვრებაში. ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ ასეთ
სცენას არ ელოდა. ეტყობა, ხათუნას რაღაც სპექტაკლი გაუთამაშებია,
იგივე კაბა, იგივე ვარდი, არც მძივი დავიწყებია, შვილისათვის თმაც ისე-
ევე ჩაუხვევია, როგორც თვითონ იხვევდა. რაღაცას მანიშნებს, მაგრამ
რას? ხომ არ მეძახის? ახლა რაღა აზრი აქვს ჩვენს შეხვედრას? ერთობა?
სიანცემ შეიძყრო?

სახლში დაბრუნებული ერთ ადგილს ვერ პოულობდა. განვლილი და
განცდილი ისე ცხადად წარმოუდგა, თითქოს გუშინ მრმხდარიყო. წინა
კვირას საწერ მაგიდას ალაგებდა. უჯრაში საგანგებოდ შენაბულ პატარა
კოლოფს შეახო ხელი. გახსნა, ოქროს ელვარებამ შემოანათა...

კოლოფი ჭიბეში ჩაიდო, ქუჩაში გამოვიდა და ტაქსს დაელოდა.

ხათუნას ბინაში კარები უმალვე გაუღეს, ისეთი შთაბეჭდილება შეე-
შენა, თითქოს ხათუნა კარს უკან ელოდა. ქალს ცოტალა აკლდა გადახვე-
ოდა, აღგზნებული და რაღაც შინაგანი გამოძახილით აფორიაქებული ჩან-
და. თენგიზს ორთავე ხელი დაუჭირა, დარბაზში შეიყვანა და სავარძელ-
ში ჩასვა. ის ხელები ახლა უფრო მგრძნობიარე, უფრო თბილი ეჩვენა, ალ-
ბათ ეს ხანგრძლივი განშორებით, ხანგრძლივი ნატვრით არის გამოწვეუ-
ლიო, გაიფიქრა პროფესორმა. თავს რომ მოერია, ხათუნას დააკვირდა.
ოც წელს თავისი კვალი დაემჩნია ქალისათვის. ახალი მთვარე მკრთალი,
ნატიფი და ოვალურია, შემდგომში იგი ივსება, უფრო ცეცხლოვანი
ხდება, შუქიც ემატება და მიმზიდველობაც. ხათუნა სავსე მთვარეს დამ-
სგავსებოდა. მის სხეულში სიცოცხლე ზეიმობდა, ნორჩი სინატიფე ქალურ
სიჯანსაღეს, ვნებიან სიმწიფეს შეეცვალა, იგი უფრო მიმზიდველი, უფრო
ხელმისაწვდომი, უფრო ამაღლვებელი ჩანდა. ქალი საზეიმოდ იყო ჩაც-
მული.

— ვიცოდი, რომ მოხვიდოდი.—ქალმა ღიმილი და სითბო შეაფრქვია-

— ხმა ძალიან გვიან მომაწვდინე.

— მაინც ხომ მოგაწვდინე. რაც იყო, იყო, მტრები არასდროს ვკუ-
ფილვართ, რატომ უნდა ვებუტებოდეთ ერთმანეთს?

— არც კი შეცვლილხარ.

— გულს მიკეთებ? იმდენი რამ გადამხდა, შევიცვალე კი არა, ემ... —
არ დაუმთავრებია, ორმად ამოიხვნეშა, — შენ ჭალარა მოგძალებია, —
თმებში ხელი შეუცურა.

— ხუთი ათეული წელი დამაწვა მხრებზე.

— ახლა უფრო მიმზიდველი ხარ, — სიცილი მოერია ქალს, — ღმე-
რთო ჩემო, მაშინ რა გაუთლელი იყავი, ცოტა არ იყოს, მოსაწყენიც,
საუბრის თემას ვერ პოულობდი, თვალები წიგნებისაკენ გეჭირა.

— ეს წინათ იყო, ახლა, წარმოიდგინე, ოჯახურ წვეულებებზე მე
და ჩემი გოგონა ისეთ კონცერტს ვმართავთ, სიამოვნებით გვისმენენ.

— შენ და სიმღერა?

— როცა საიმისოდ მოვიცალე, გამოირკვა, რომ ხმაც მქონია და
სმენაც.

ხათუნას თვალებში სევდა ჩაუდგა.

— არ უნდა დამექარებე, მაგრამ რაღა დროსია.

თენგიზმა კოლოფი გახსნა და მედალიონი ყელზე ჩამოჰქიდა.

— შენ გეკუთვნის, როგორც ჩანს, ამ შეხვედრისათვის შემოვინახუ.

— გმაღლობთ, თენგიზ. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ოპერაში მარც-
ხი შენ კი არა, მე მომივიდა. — ცრემლმორეული წამოდგა, სუფრის გაწ-
ყობას შეუდგა.

თენგიზმა ბინა შეათვალიერა. აქ არაფერი შეცვლილიყო, მამისეულ
ავეჯს სიძველის ელფერი დასდებოდა. ფუფუნებისაღმი სწრაფვა მრავალს
იძყრობდა, მაგრამ იგი ისეთი ურჩხული იყო, მასთან ბრძოლა ყველას რო-
დი შეეძლო.

ხათუნამ კონჭაკი, ნამცხვრები და შავი ყავა გამოიტანა. იგი ზოგჯერ
სტუმარს სითბოჩამდგარი თვალებით შეჰყურებდა, ზოგჯერ იმ აღამიანის
სინანულით, რომელმაც დაკარგული ნივთის ფასი დაკარგვის შემდეგ გაი-
გო.

— რატომ მიმატოვე, ისეთი ნაბიჯი რამ გადაგადგმევინა?

— არ ვიცი. ძალიან ბეჭრი მარცხი მოგდიოდა, ვიფიქრე, სამუდამოდ
ასეთი დაბნეული და თავმოუყრელი რომ დარჩეს, რაღა მეშველება მეთ-
ქი. მართალი გითხრა, არც ჩემს მეგობრებს მოსწონდი. ოპერაში მომხდა-
რმა კურიოზულმა შემთხვევამ ჩემი მერყეობა გადაწყვიტა. საკუთარი
გრძნობის საწინააღმდეგოდ გიური ნაბიჯი გადავდგი, მამის მდგომარეო-
ბით განებივრებულ უქნარას გავყევი. დრომ ჩვენს შორის ნაკრალი გააღ-
რმავა, მე სიცარიელე შემრჩა ხელში.

განვლილი და განცლილი ფურცელ-ფურცელ გადაფურცელ, მეხსიე-

რებას ყველაფერი სათუთად შემოენახა.

თენგიზს სურვილი სძლევდა რაც შეიძლება ღიღხანს დარჩენილობის, ჭაბუქური, უცნაურად იკრებდა ძალას, უცნაურად აფორიაქებდა სულის მიძინებულ სიმებს.

ბოლოს, როგორც იქნა, თავს მოერია. წამოდგა იგი სიყვარულითა და მაგარი სასმელებით აღვზნებული.

— მიღიხარ? — შეეკითხა ხატუნა.

— მივ-დი-ვარ. — დამარცვლით გასცა პასუხი.

ქალს თვალები ცრემლით ავსებოდა, მამაკაცის ხელი ხელში ეჭირა, განშორება უძნელდებოდა.

— მოხვალ?

— ნულარ გავაღიზიანებთ ძველ ჭრილობებს.

კიბე მარდად ჩაირბინა. მას სული ბედნიერებით ჰქონდა ავსებული, მარტო იმის გაფიქრება, რომ იგი ხანგრძლივი განშორების შემდეგაც ქალს გატაცებით უყვარდა, ნეტარებას გვრიდა.

ჩ ე მ ი გ ზ ა ჭ ვ რ ი ლ ი

არა, არ წყდება ჩემი გზაწვრილი,
არც კეძალები.
რა მეჩქარება,
გულში კვლავ მიზის ძველი ყმაწვილი,
ძარღვებში დაქრის ქარიშხალებად.

მესაფლავენო!
ხმალი ჩააგეთ,
გაუშვით ხელი ბარსა და ნიჩაბს,
მე ულეველი მაქვს სიჭარმავე,
სათქვენო კაცის პირი არ მიჩანს.

თუმცა ბუნების ვარ მკვიდრი შვილი,
ამაოდ ფიქრობთ — კვირაძალია.
მე სიცოცხლისთვის ვარ გაჩენილი
და სასიკვდილოდ არა მცალია!

განია ვაგშანიძე

მ ი ნ ი ს ტ ე რ ე ბ ი

კუპარა მონოლიზი

„განა ღირს გახსენება? იქნებ არა!“ ჩამძახის იდუმალი ხმა. მართლაც ენაზე რა მოსატანია ჩემი ადრინდელი ამბავის თუნდაც ერთი მარცვალი. ეს მით უმეტეს, რომ მაშინ ყმაწვილი ვიყავი, მიამიტი ბავშვი. ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა იყო „დედა ენა“, არ ვიცოდი რა იყო მრავალჭირნახული ჩემი მშობლიური ანბანი. მაგრამ ის დღეები ჩემს გონებასა და სულში აღმოჩენილია ვარსკვლავთა ნათებად და ჩემს სულს პმატებს რაღაც ისეო რასმეს, რასაც ვერავინ მიბოძებს, ვერავინ მაპოვნინებს ისევაც. იმ დღე-თა ხსოვნა ჩემს გულს შეჰვარვია და შიგ სამარადისოდ ჩასახლებულა.

დიახ, პატარა ბიჭი ვიყავი, ჯერ კიდევ ხელთ არ მეჭირა იაკობ გოგე-ბაშვილის დალოცვილი „დედა ენა“, ჩვენი მშობლიური ტკბილი საგალო-ბელი.

დედაჩემი ძალიან ადრეული ასაკისა გარდავიდა წუთისოფლიდან... და მე ვიზრდებოდი დედულეთში, ბიძასთან. იმ სოფელში სკოლა აზლად გახსნეს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მედრესის, ამ სამუსლიმანო სასწავ-ლებლის, ნახევარი სკოლას დაუთმეს, ხოლო ნახევარი ხოჯის განკარგუ-ლებაში დარჩა.

სკოლა გახსნეს და... ერთ დღეს ქალი მასწავლებელიც ეწვია სო-ფელს, გვარად ჩიჩუა. დაბინავდა დედაჩემის ბიძაშვილის ოჯახში, რაღვან იქ ბინის ხალვათობა იყო — მასწავლებელს მყუდრო და ფართო ბინა მოუხდებაო.

წარმოიდგინეთ სოფელი, საღაც მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა არა თუ რომელიმე მანდილოსანმა, არცერთმა მამაკაცმა არ იცოდა. წარმოიდ-გინეთ დახავსებული, ბნელით მოცული ადამის წლის სასახლე, საღაც

შეხვალთ თუ არა, შეძრშუნდებით, აღელდებით და ოქვენდაუნეპურად
წამოიყვირებთ: — ნუთუ არა ჰყავს პატრონი ამ სასახლეს?

ასეთ უპატრონო სასახლეს მოგავინებდათ ჩემი დედულეთი. დიახ,
არ ჰყავდა პატრონი არც სოფელს და არც კაცს.

ასეთი იყო ჩემი მხარის ყველა სოფელი. უამმა ულმობელმა წართ-
ვა მას ჭეშმარიტი ქართული სოფლის სამო სურნელება და ნათელი იერი.
წართვა მას მისი საყვარელი „დედა ენა“ და სიბრძნე, მამაპაპური, სულ-
ჩადგმული მშობლიური ასოებით.

ასეთი იყო ჩემი დედულეთიც.

და ჰეროდებდა, მწარედ ჰეროდებდა ბედი კაცისა.

იმ ლუსკუმ წყვდიადში ანგელოზივით მობრძანდა სულნათელი მას-
წავლებელი ქართველი ქალი, მობრძანდა და თითქოს გაანათა სოფელი:
მე არ ვიცი, რა დავარქვა იმ დღეებს, იმ წუთებს, რომელთა მოგონება
ახლაც ძალიან მაღლვებს, სიამოვნებასაც მგვრის და მწუხარებასაც.

დიახ, დაუვიწყარი იყო ის წუთები, ის დღე, როცა ჩემს დედულე-
თში შემოცქრიალდა ახალგაზრდა ქალი მასწავლებელი. ვის არ მოხიბლა
ვდა იგი კოხტა ჩაცმულობით, სისუფთავით, დახვეწილი ვარცხნილობით,
ზრდილობით, თავაზიანობით. იმ დალოცვილმა უმაღვე თავი შეაყვარა
სოფლელ მანდილოსნებს, ყველა მოხიბლა უბრალოებით, ალალი გულით,
გაუშინაურდა ყველას, ზოგს დას ეძახდა, ზოგს ბიცოლას, ზოგს კიდევ დე-
დას. ეს ხნოვანების მიხედვით. თავს ევლებოდნენ, ჰკოცნიდნენ, ეხვეოდ-
ნენ, ანგელოზს ეძახდნენ. სოფლის ალალ მანდილოსნებს ხომ ძლიერი და
უზარო, და-ქმური სიყვარული მამა-პაპიღან დაჲყვათ.

მასწავლებელი ქალი მართლაც რომ ხატი იყო იმა სოფლისა... და
პირველი ჩირალღნის აღმნთები, პირველი „დედა ენის“ შემომტანი. ეს
იყო ახალი დროის წმინდა ნინო, მშობლიური ანბანის პირველი მასწავლე-
ბელი. მასწავლებელმა ერთ დღეს ქალაქიდან ამოიტანა საქმაოდ მოზრდი-
ლი წიგნი; თვითონ თქვა, ანთოლოგიაა, აქ კარგი რამეები სწერიაო. აბა
ჩვენ რა ვიცოდით, თუ რა იყო ანთოლოგია და არც არავის უთხოვია, გა-
გვიძარტეთო. ბავშვები კი ხმას როგორ ამოვიღებდით, გვრცხვენოდა.
მასწავლებელმა მასპინძელ გოგონას გულოს უთხრა, ამ წიგნში კარგი
ლექსებია, მაგრამ უპირველესად ერთი ლექსი ზეპირად უნდა შეგასწავლო
და ისიც მოკლე დროში, ორ-სამ დღეშით; თანაც უჩევენა გადაკეცილი გვე-
რდი, თავში ავტორის სურათი რომ აღებეჭდათ. გულომ კითხვა არ იცოდა
და უცებ შეცბა, გაწითლდა, ნაწნავებს წვალება დაუწყო. გოგონას გუმანს
მიუხვდა მასწავლებელი და დაუყვავა: ნუ გეშინია, გენაცვალე, ჩემო გუ-
ლო, ამ ლექსესაც შეგასწავლი და სხვა რამეებსაც. მალე წერა-კითხვაც გვ-
ცოდინება. და როცა მე აქედან წავალ, ვთქვათ თბილისში, იქ ხშირად წე-
რილებს მომწერ.

რამდენიმე დღის შემდეგ ვინახულე გულო და ვკითხე, აბა მითხარი რა ლექსი შეგასწავლა მასწავლებელმა მეთქი... და მაშინ ამ წერა-კითხვის უცოდინარმა გოგონამ გალობასავით ზეპირად აღმოთქვა „სამშობლო ხე-ვსურისა“. ურუანტელმა შემიპყრო, ცრემლი მომერია, იქნებ იმიტომ, რა-ტომ მეც არ შემასწავლა ის ლექსი პატივცემულმა მასწავლებელმა მეთქი. მერე კი ჩემდაუნებურად ავტირდი... და ჩემი ცრემლები არ იყო მხოლოდ ბავშვური, მიამიტური თავშეუკავებლობა, დიახაც, რომ არა. მეგონა, მა-სწავლებელი მალე სადღაც წავიდოდა და კვლავ ჩემი ბედის ვარსკვლავს, გველეშაპი გადაყლაპავდა... და რატომ არ ამიჩუყდებოდა გული, და რა-ტომ არ ვიჯავრებდი, რად არ აღმომხდებოდა გულიდან ოხვრა! მე გულს ვეღარ ვიმორჩილებდი, უკვე ხმამაღლა ვქვითინებდი.

გულო წლოვანებით ჩემზე უფროსი იყო, შევეცოდე, თავზე ხელი გა-დამისვა და მოფერებით მითხრა, ნუ გეშინია შენი ჭირიმე, სულ მალე ჩე-მთან ერთად შენც იძლერებ ამ ლექსო.

გულომ სოფელში სახელი გაითქვა — ყველგან გალობდა ამ ლექსს, ხმაც საამო ჰქონდა გულოს, ამ კეთილ და მიამიტ გოგონას; თითქოსდა სწყუროდა სიამოვნების ანკარა წყაროდ ქცეულიყო და ყველა მას დასწა-ფებოდა. ზოგჯერ განგებ გაჯიუტდებოდა — არ ვიტყვიო, ან დამავიწყდა სიმღერის შუაწელის ერთი სტრიქონიო, მაგრამს გულოს არ მოეშვებოდ-ნენ, ჭირს მოსჭამდნენ, რას არ შეპპირდებოდნენ ძღვნად და... და მერე კი ამოიდგამდა ენას, მდაბლად ტკბილი ხმით აღიღინდებოდა — „საღაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი“. ვინ არ უგდებდა ყურს — ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა. განსაკუთრებით ქალები იყვნენ გა-ტაცებულნი ამ ლექსით. მე სინანულით შევყურებდი საცოდავ დედებს, ამ საბრალო ქალებს, ისლამის მიხრწნილ ბრჭყალებში სული საშინლად რომ ეხუთებოდათ, და ქართულ წიგნზე ხელის მიკარება დიდ ცოდვად მი-აჩნდათ; ალაპი გაგვიწყრებაო; დიახ, შევცქეროდი ამ საყვარელ ადამია-ნებს და ვგრძნობდი, როგორ აღტაცებით უსმენდნენ გულოს, ჩემს გუ-ლოს... და ისინიც უნებურად იზეპირებდნენ ამ საყვარელი ლექსის პწყა-რებს და გულოსთან ერთად თავდავიწყებით მღეროდნენ, გალობდნენ...

ახ, დედებო ჩემნო, მშობლიური ენის სასოებით შემნახველნო,
თქვენ თუ არა, ვინ შთაგვაგონებდა აკვანში ტკბილ იავნანას,
ვინ შეგვასწავლიდა დედა ენას! მადლობა თქვენ დედებო
ჩემნო, მადლობა თქვენ!

ახლა რომ დავფიქრდები, და ახლა რომ მოვიგონებ იმ დღეებს, მო-
ვიგონებ ყოველნაირად დაბეჩავებულ იმ ჩემს დედებს, მოვიგონებ პირ-

ველად სკოლის გახსნას სოფელში, ანგელოზივით ლაშაზ მასწავლებელ
ქალს, მობრძანებულს ჩემს დედულეთში, პირველად მან რომ გვაწიცერა
„დედა ენას“, ისეთი დიდი აღტყინება შეძიპყრობს ხოლმე, რომ გულს
რალაც დიადის აღმოთქმა სწყურია, მაგრამ არ ვიცი კი რისი! ღმერობა
მომცეს შეწევნა და მათქმევინოს ის, რასაც ასე ძალუმად გაუდგამს ფეს-
ვები ჩემს სისხლსა და ხორცში.

მე, იქ, დედულეთში შევისწავლე პირველად „სამშობლო
ხევსურისა“.

მე, იქ, დედულეთში ჩავიხედე პირველად დედაენაში,

მე, იქ, დედულეთში წავიკითხე პირველად „ბედი ქართლისა“
და „განთიადი“,

მე, იქ, ავმღერდი პირველად...

ის სანუკვარი დღეები ჩემი სულია, მარადი თანამგზავრია
და საოცნებო სიზმარეული დღეებია, აღმაფრენის დღეები, მაგრამ კოშ-
მარული დღეების გახსენებაცაა. მე ეხლაც არ მასვენებს ის მიამიტური,
ალალი გულის აღტყინება, როცა სოფლელი ბავშვები ერთად ვგალობ-
დით ჩვენს საყვარელ ლექსს.

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორთავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა.

მერე და მერე ეს სიმღერა მთელ სოფელს მოედო, მერე და მერე ერ-
თი სოფლიდან მეორეში გადაინაცვლა, მესამეში და ასე შემდეგ, რაღგან
მთასა და ბარში, ყველგან მშობლიური სკოლები გაიხსნა, ყოველ სოფელ-
ში „დედა ენა“ შეფრინდა და ვინ არ მღეროდა, ვინ არ გალობდა „დედა
ენის“ საყვარელ ლექსებს.

მერე და მერე ასე ამღერდა მთელი ის მხარე, სამხრეთ საქართველოს
რომ ვუხმობთ. ვგულისხმობ გადმორმა მხარეს, სადაც წითელი ილარი
ფრიალებდა. ეს მხარე კი არ გალობდა ცალკე, მისთვის, სადმე კუთხეში
მიყუჟულად, არამედ თავისი ნორჩი, მაგრამ ომახიანი ხმა, შეუერთა დე-
დასაქართველოს მშობლიურ ტკბილ ხმას... და ისმის ომახიანად ერთიანი
საქართველოს მარად უკვდავი სიმღერა.

და, შენ იცოცხლე მარადისად, შენ გაგიმარჯოს ჩემო საყვარელო,
ჩემო მშობელო ქვეყანავ!

ოშნება ჩემს საყვარელ მსახიობზე



მე როცა მარტო ვრჩები, ხშირად ვოცნებობ ჩემს საყვარელ მსახიობზე. თითქოს მესმის მისი ლაუგარდისფერი კაბის შრიალი. თითქოს მისი ხმა წერიალებს ჩემში და რაგინდ უგუნებოდ ვიყო, მაწყნარებს, მამშვიდებს, მახალისებს. თითქოს იმედია ჩემი, ფიქრია ჩემი, საამო ოცნება ჩემი. მე იგი მიყვარს, მიყვარს. ვეტრფიალები, და მერე როგორ, როგორც აღმოსავლელი. ფანატიკოსი მიჯნური მიჯნურს. იქნებ ქალია და მიტომ მიყვარს? არა. განა ცოტაა ქალი მსახიობი ჩვენს ქვეყანაში? რატომ უველა არ მიყვარს, ან არ მიყვარს ისე, როგორც ჩემი მსახიობი ქალი? მე იგი მიყვარს ისე, თითქოს სულით ვეხები მის სულს. არ ვიცი, გრძნობს თუ არა იგი ამას. დაე, მან არ იცოდეს, რომ მე გული მისკენ მიმელტვის. შენ მეუბნები, გამიჯნურებული ხარ და ის არისო, სიყვარული ბრმა არისო. არა მეგობარო, მე ბრმა ვიყავი და თვალები მან ამიხილა, მა5 მაპოვნინა ჩემში სიბრძნე. მე მიყვარს იგი, როგორც... არ ვიცი რაღა დავუშატო. „ლამაზი“? ჰო, სილამაზე განა ოცნება არაა ყოველი აღამიანისა; ლამაზმა ყოველდღე უნდა ლოცოს ბუნება, რომ ასე ღვთიურად დააჯილდოვა. ერთი მოხუცებული მეზობელი ქალი მაგონდება, ოთხმოცდათს მიღწეული იქნებოდა. შავი იყო, გეგონებოდათ ზანგის ჭიშისაო. ქვიშით და საპნით იხეხავდა სახეს, მაგრამ არაფერი შველოდა. ამაზე იტყვიან, არ გათეორდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო. სარკეში ხშირად იჭვრიტებოდა და ჩიფჩიფებდა: ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი ვიყავი, განა ახლაც ვერ მატყობთ ამას? უნდოდა ეთქვათ — არც ახლა ხარ ცუდი, ვიღაცა ახლაც დაგატანს თვალსო, მაგრამ ამ კეთილ გულისგამხარებელ სიტყვებს არავინ იმეტებდა და გული უკვდებოდა დედაბერს, სახე მოელუშებოდა.. მერე სარკეს პირდაბენილი მიაშტერდებოდა. „ახ, ჩემი ახალგაზრდობის თეთრო კბილებო, ვინ არ იყო ჩამწვარი შენში, რომელი ახალგაზრდა არ ნატრობდა, რომ დასწავებოდა ჩემს ტუჩებს, რომ ჩემს თეთრ კბილებს შეხებოდა“, გაივლებდა გულში და ერთს, გულამოსკვნილად ამოიხსრებდა. ამბობენ, მართლაც ჰქონია კარგი კბილები. ასე რომ, ღმერთს მთლად არ გაუწიორავს, სილამაზის რაღაც ნაფცვენით დაუჭილდოვებია და ალბათ ბედიც თეთრმა კბილებმა გაუხსნაო. მშვენიერ ახალგაზრდას გაჰყოლია ცოლად, თუმცა შვილი არ ჰყოლია. და ახლა ქვრივი ზის მარტოკა ეზოში... და ვის ელოდება ვინ იცის.

მე მყავლა კიდევ ერთი მეზობელი, რომელსაც ულვაშას ეძახდნენ, რაღგან ვეხება აგრეხილი ულვაშები ჰქონდა. ხშირად იპარსავდა წვერს და ილამაზებდა, იკოხტავებდა თავს. არც ის გახლდათ იმ მოხუც ქალზე ნაკლები ხნისა, მაგრამ მისი უბედურება ის იყო — ქვრივი იყო და უშვილ-

ძიროც; ეტყობოდა, ვიღაცას აწონებდა თავს. ვინ იყო ნეტავ ის? ამდენი
კი აღარ ვიცი, მაგრამ ეს ორი მოხუცი რომ სილამაზეს ასე ეარშიყებოდა
და ვარსკვლავებზე გათამაშება სურდა, რაღაც ეჭვს ბადებდა, იქნებ ისინი
ერთმანეთს თავს აწონებდნენ, იქნებ ერთმანეთი მოსწონდათ. იტყვიან,
გული არ მოხუცდებაო, იმასაც იტყვიან, ყველა ხეიბარს თავისი ტოლი
მიჯნური ჰყავსო, ესე იგი, ფერი ფერს და მადლი ღმერთსო. ჰო, ამ ორ
მიხრწნილს, საუკუნის კარებს რომ უკაკუნებდნენ, რაღაც სუნთქვა რომ
ერთმანეთისაკენ მიუდიოდათ, ეს მეც მიგრძვნია ყმაწვილს. და მაშინ მი-
ფიქრია სილამაზეზე, ლამაზ გოგოზე, ლამაზ ბიჭზე. და მეც სარკისაკენ გა-
ვჩცეულვარ. თურმე ყველა სილამაზეს ეტრფის. ყველას უნდა, იყოს ლა-
მაზი. ვგრძნობდი ამას და მეც მინდოდა ვყოფილიყავი ლამაზი, ამიტომ
კოხტად გავისწორებდი ხალათს, კოხტად შემოვირტყამდი ქამარს... და
მერე ჰერი, ჰერი ჩევნი სოფლის მინდვრისაკენ, სადაც სალამობით თავს
იყრიდნენ გოგო-ბიჭები და კუკუ-მალულობას თამაშობდნენ. რას იზამ,
ბავშვობიდანვე ვერ გავექეცი სილამაზის ტრფიალს და იგი მომყვება დღე-
საც მბრძანებლად. ეს ტრფიალი მარადიული მცნება ყოფილა და მარტო
მე კი არა, ყველას ეკუთვნის.

ნამეტანი გამიგრძელდა საუბარი. ჰო, იმას მოგახსენებდით, ჩემი სა-
ყვარელი მსახიობი ლამაზია, ცერიალა თვალებით, იქნებ ამიტომ მიყვარს,
იქნებ ამიტომ მიმიდის მისკენ გული და გონება. აბა, ერთი წუთით წარმო-
იდგინეთ, რომ მოულოდნელად თავს წამოგვადგეს ვეფხვი, ხომ ლამაზია
ვეფხვი, მაგრამ მის დანახვაზე უეცრად გული წაგვივა, უნებურად ვიყვი-
რებთ — მიშველეთო, მაგრამ როცა ვეფხვი ცირკის გალიაშია გამომწყვ-
დეული, ხომ მივდივართ გალიასთან ახლოს და მოთილისმული ვუცქერით
ვეფხვს, სილამაზის და ძალოვანების ამ მეფეს და თითქოს მარტო სილამა-
ზის გამო გვიყვარს ვეფხვი... და უნებურად გვაგონდება შოთა რუსთავე-
ლის სტრიქონები:

რომე ვეფხვი მშვენიერი სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს.

მაგრამ ერთი ეშმაკმა გაალოს გალიის კარი, სულ დაგავიშულება ვეფ-
ხვის სილამაზე, და მისი მძლავრი ტორები, დალებული ხახა სიძლვილით
და შიშით შეგაძრწუნებს. აი, ხედავთ ჩემს ცდუნებას, სილამაზემ უჩინარი
ფრთხები გამომასხა. და შორს გადამაფრინა, ჩემი გზა დამაკარგვინა, ჩემი
ფრთოსანი ოცნება წამართვა. და ისევ მინდა-დავიბრუნო, ისევ მინდა თვა-
ლებში შევხედო ჩემს საყვარელ მსახიობს. არა, ჩემი მსახიობი სულაც
რომ არ იყოს ლამაზი, მაინც მეყვარება. ბედნიერი კია ჩემი თვალები,
რომ იგი ლამაზია და თვალები ცქერას არ იშლიან. რაღაც სიამოვნებას
ვგრძნობ და მიხარია. განა ყველა ლამაზი მიყვარს? მე ვიცნობ ერთ ქალს,
ბარებ სახელსაც გეტყვით — მზეხა ჰქვია. ლამაზია მზეხა, მაგრამ მე იგი

მძულს. მზეხა სახელი მიყვარდა და ამ ქალის გამო შემძულდა. რატომ? ოჲ, ამას იმდენი მიზეზი აქვს, რომ ჩამოთვლა გამიჭირდება. არა, ერთს კი ვიტყვი. ვიტყვი კი არა, სხვები ამბობენ, ბოროტიაო. შენ ბეკითხები, რას ნიშნავსო ეს? ეს ბევრ რაიმეს ნიშნავს და ნუ შემიჩნდი, ნუ მაძალებ თქვიო. არ მინდა ვინმეს სიცუდეზე ვილაპარაკო და ნერვები ავიშალო. არა, შენ ისე შემომიჩნდი, რომ სხვისი ნათქვამი უნდა გავიმეორო. ერთი მეზობლის მეუღლე ჰყვებოდა: საწყალ მის მეზობელს, ესე იგი, მზეხას მეზობელს ბიჭი მოუკვდაო. იმ ცხონებულს ვან არ მისტიროდა. მზეხა კი შურით გაიძახოდა — რა ძვირფას კუბოში იწვა, ღმერთმანი, იმ კუბოს ლირსი ჩემი ბიჭი თუ იქნებოდაო; თქვა და კინალამ ენა მოიკვნიტა, უცებ დაუმატა — ღმერთო, დღეგრძელჰყავი ჩემი ბიჭი, და მორწმუნესავით ხელები ცისკენ აღაპყრო. ახლა თქვი შენ, განა შურიანი და ბოროტი არ არის მზეხა?! რად მინდა ასეთი ქალის სილამაზე!

ესე იგი, გინდა თქვა, მეუბნები შენ, მარტო სილამაზით ადამიანს ვერ შეიყვარებო. არა, რა თქმა უნდა, მეგობარო, მაგის თქმა მინდოდა. მაშ, იქნებ ტანალია და მიტომ მოგწონს — გამომცდელად მეკითხები შენ. ჩემი საყვარელი მსახიობი მართლაც მაღალია, ლერწამივითაა აშოლტილი ლაუვარდებისაკენ. მოიცა, ერთი შენიშვნა მაქვს: „ლერწამივით აშოლტილი“ ბანალური გამოთქმაა და არ მინდა ჩემს საყვარელ მსახიობს ასეთი ბანალური შეღარება ვაკადრო, უნდა მოვიფიქრო რამე. მოდი, ამაზე მერე იფიქრე, მეუბნები შენ, შუა წყალში ნუ მტოვებ, ნაპირზე გამიყვანეო. კარგი, ჩემო მეგობარო, ამაზე მერე ვიფიქრებ, ერთი სიტყვით მაღალია ჩემი საყვარელი მსახიობი... რა თქმა უნდა, მე მაღალი ადამიანი მომწონს, თუმცა მე თვითონ... როგორ გითხრა არ ვიცი, თუმცა მე თვითონ მაღალი არ გახლავარ. მაგრამ ჩემი მსახიობი თუ იმიტომ მიყვარს, რომ მაღალია, მაშინ ყველაზე უფრო ის ქალი უნდა მიყვარდეს, ყოველდღე ოქტომბრის ქუჩაზე გამოპრანჭული რომ დაიარება და კუდს (უკაცრავად ამ გამოთქმისათვის) ბოლოქანქარა ჩიტივით აქანავებს, ხოლო ჩქარჩქარა გადაისვამს ხოლმე თმაზე ხელს, რომელსაც ხან წითლად, ხან თეთრად, ხან ვეფხვისფრად და ხან შაშვისფრად რომ იღებავს, გიუი ტრფიალია მოღისა. ჰა, შენ ამბობ, მოდას გადაყოლიაო? რაც გინდა ის დაარქვი, ერთი სიტყვით, ხომ გაიგე რაც გითხარი? კიო, თავს მიქნევ შენ. ჰოდა, მე სულაც არ მიყვარს იგი, და არ ვიცი რატომ, საამისო მიზეზი არაფერი მაქვს. ერთხელ კინოში გამაცნო მეზობელშა ქალმა და მის შემდეგ სალამს ვასწრებ, უფრო კი, მე არ მსურს მივესალმო, მაგრამ ქალი მესალმება და არ მივესალმო, სხვა რომ არ იყოს რა, უხერხულია. ჰოდა, მე იგი არ მიყვარს. „ღმერთო, ბატონო ნუ გასწირავ ამ ფერთა მოყვარულ ქალს, ისიც ხომ ადამიანია, მიეცი დიდი გული ვინმეს და შეიყვარე იგი“ — ბევრაჯერ გამივლია გულში. გავიდა ხანი და გავიგე, მას უკვე შეიყვარებული ჰყავს,

დადიან ერთად. ერთხელ გამაცნო კიდეც. ხედავ, მე რომ არ მიყვარს, აი, ვიღაცამ შეიყვარა იგი. შეიყვარა იგი სიმაღლისათვის, თუ სხვა რამ ღირ-სებისათვის, არ ვიცი. მე ის მინდოდა მეთქვა, სიმაღლისათვის რომ შემუ-ვარებოდა ჩემი მსახიობი, მაშინ უპირველესად იმ ქალს შევიყვარებდი.

შენ მაძალებ, მაინც და მაინც მითხარი, რატომ გიყვარსო. წადი და ორ-სამჯერ ნახე ის სპექტაკლები, რომლებშიც თამაშობს ჩემი მსახიობი, და მაშინ მიხვდები, თუ რატომ მიყვარს, გეუბნები მე. შენ ჯიუტად იქ-ცვი, არ მეშვები. მეუბნები, ბევრჯერ ვუყურე, მაგრამ გულზე არ გამქა-ჩებია, მე პატარა გოგონა უფრო მომეწონა, შეყვარებულის როლს რომ თამაშობსო. ჰო, ვისი იყო ის პიესა? ღმერთო, დამავიწყდა... მეუბნები შენ. გატყობ, რომ ცრუობ, მეც არ გზოგავ და გლანძლავ: ყეყეჩი ხარ, სულე-ლი, სრულებით არა გაქვს თეატრალური გემოვნება. შენ ყურს არ მიგ-დებ, თითქოს არ გაგიგონია, მაინც და მაინც გინდა გაიგო რატომ მიყვარს ჩემი მსახიობი? ამ უჭიულს ჩემი თავი გამიჯნურებული ჰგონია: როგორ, მე ამ ხნის კაცი გავუმიჯნურდები ქმრიან ქალს? რა სულელი და ეჭვიანია ეს ჩემი ამხანაგი! არ მაძლევს მოსვენებას, თქვიო. შენ გინდა გაიგო რა-ტომ მიყვარს ჩემი მსახიობი? მაცალე და გეტყვი, შე კაცო. მაცალე, ვო-ცნებობ, იქნებ მოვუხმო ღვთიურ ელინურ მუზას და ელინურ კითარაზე ვიგალობო მისი ქება-დიდების ლექსი. ვეუბნები და თან მეღიმება, მინდ-მომშორდეს, რადგან მუზა მეწვია, ღვთიური მუზა...

ვშორდებით ერთმანეთს. მაღლობა ღმერთს, რომ აბეზარი მოვიშორე. მე ვგდები ზღვის სანაპიროზე და ვწერ, და ვწერ... ვშლი, ვწერ... და ბო-ლოს სტრიქონები ჩემს სულში სიმებად აწკრიალდნენ, გამახალისეს, გა-მაცოცხლეს, ამამღერეს, ამაგალობეს. მე მომწონს, კვლავ ვამოწმებ... ვაი თუ სხვას არ მოეწონოს? სხვას რას დავეძებ, ჩემს მსახიობს თუ მოეწო-ნება, მე ბეღლიერი ვიქნები. გადავათეთრებ, ჩავდებ კონვერტში და გავუ-გზავნი. რა ვქნა, პოეტი ვარ და სხვა უკეთესი საჩუქარი არ გამაჩნია. აკი დალოცვილი ილია ჭიგჭავაძე ამბობდა: „პოეზია მაღლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა... რჩეულთა. მაღლია, მაგრამ ამასთანავე ტვირ-თოც არის, რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდან სისხლის შეუ-წყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს“... და მე ვდებ კონვერტში ამ ლექსს, სათუთად გადათეთრებულს. და ვუგზავნი ჩემს საყვარელ მსა-ხიობს. ხელში მიგეცაო, მეტყვი შენ. არა, ეს არ შემიძლია, რატომღაც მე-რიდება. ასე სჯობს. მაგრამ ასე რატომ თრთის სული ჩემი? ჰა, იმიტომ — მოეწონება თუ არაო. იქნებ იფიქრებს სიყვარულს ვუხსნი, და ეწყინება, ეს როგორ გამიბედაო. იქნებ კიდეც უარესი თქვას, თვებედი ყოფილაო. რა ვქნა, კი არ მინდოდა ასეთი გამომსვლობა, მაგრამ აბა როგორ გამოვ-თქვა გულის გუმანი? მომწონხარ, როგორც მსახიობიო, ეს შშრალი, უბ-რალო სიტყვებია და ვის მოეწონება. მე მინდა გულით ვაგრძნობინო, გუ-

ლით. ეჭ, რა ეჭვიანია ადამიანი, თორემ უფრო უკეთესი მეგობრები ვიქ-
ნებოდით, მერე რაა რომ მიყვარს ჩემი მსახიობი, რატომ უნდა გამიბრაზ-
დეს მისი მეუღლე, მას რომ უყვარს, ის სიყვარული სხვაა, ჩემი სიყვარუ-
ლი კი სხვაა, „შუა უდევს დიდი ზღვარი“, და-ძმასავით გიყვარსო, ვიღაც
მკითხავს. ამას არ ჰქვია ეს სახელიც. მე მიყვარს, როგორც მსახიობი და
როგორც ადამიანი; აქ რაა გაუგებარი. ოჭ, რამდენს ვეჭვობ. იქნებ არავინ
არაფერსაც იფიქრებს და ამაოდ ვჭვარტლავ ჩემს სულს ეჭვებით.

მე სამი დღით გადავიყარები ქალაქიდან. და როცა დავბრუნდები,
შენ უკვე მიღებული გექნება ჩემი ლექსი. ჰო, სახელ-გვარი რომ არ მიმი-
წერია, როგორ მიხვდები რომ იგი ჩემია? ხელწერით იცნობ? ოჭ, თუ ვერ
ამოიცანი და ესეც საჯავრო გამიხდა, მაშინ მეტრეჭერ შევთხავ შენზე
ლექსს და გამოგიგზავნი, მაშინ ხომ დაუკვირდები ჩემს ხელწერას? მიხ-
ვდები, უეჭველად მიხვდები... არც ახლა გამოგეპარება, რადგან ერთ შენს
ნაცნობ ქალთან წამომცდა — ამა და ამაზე ასეთი და ასეთი ლექსი დავ-
წერე მეთქი. თუმცა მეტი არაფერი მითქვამს, მაგრამ ესეც გასაგებია.

შენ უკვე წაკითხული გექნება ჩემი ლექსი, მე დაგიცდი იმ ქუჩის
მოსახვევში, სადაც შენ ჩაივლი, რადგან თეატრში რეპეტიციაზე აუცი-
ლებლად ხომ უნდა მიხვიდე. ჰო, ვიცი, რომელ სპექტაკლში თამაშობ...
და ეს სპექტაკლი რომელ დღეს გადის. დიახ, მე იმ ქუჩის კუთხეში დაგი-
ცდი, შენ ჩაივლი, შემხედავ და გამიცინებ. მე დავუკვირდები შენს ღი-
მილს, ამ ღიმილში ერთ ნაპერწყალს ვიცნობ, რომელიც მხოლოდ მე მე-
კუთვნის როგორც ადამიანს, როგორც მგოსანს. იმ ნაპერწყალს მომანა-
თებ... და მერე ფეხჩქარა შეუხვევ თეატრისაკენ. მე კი ოცნებათა ბურუს-
ში გავეხვევი და შენთან ერთად ვარსკვლავებისაკენ გავთრინდები, რად-
გან შენ ვარსკვლავი ხარ ჩემი ქალაქისა.

მე შენ მიყვარხარ, რადგან შენ უფრო შემაყვარე ჩემი მამულ-დე-
ლული, ჩემი ქვეყანა.

მე შენ მიყვარხარ, რადგან შენ შემაყვარე ადამიანი.

მე შენ მიყვარხარ, რადგან შენ შემაყვარე ნესტანის თბილი ცრემლე-
ბი, რადგან შენ უფრო შემაძულე ქაჯეთის ციხე — ბოროტების საბუდარი.

მე შენ მიყვარხარ, რადგან უფრო შემაყვარე ქალი და პოეზია.

მე შენ მიყვარხარ...

მაღლობა ოცნებაო ჩემო, ზღაპრული მშვენიერების ბინაღარო. და
თვით მშვენიერებათა ღვთაებავ!

ჩასერ გამზათოვი

ს ო ნ ი თ ა ბ ი

ზოგჯერ მგონია, აღარასდროს და არც ერთ სტრიქონს
არ დავწერ ისეთს, რომ სიყვარულს მაღლს არ სწირავდეს.
სხვაგვარი ლექსი არც მეწეროს აქამდე თითქოს —
დავხევ და ბუხარს შევუკეთებ, რომ აბრიალდეს.

ჩემი გზა უკვე რა ხანია მთის კალთას მოსდევს,
სიცოცხლის ძაფი არვინ იცის, როდის გაწყდება.
ერთი სიცოცხლე მერგო, მაგრამ თუნდ ბევრიც მქონდეს,
მე კარგად ვიცი, სიყვარული მათაც გაწვდება.

რაც უნდა მოხდეს, არ ვივიწყებ წამითაც არსაღ —
ჩემი სიმღერა სიყვარულის ცეცხლით ენთება.
ღრო იწურება, გასავლელი ცოტაღა დარჩა
და წვრილმანისთვის ახლა ლექსი არ მემეტება.

მთიელო ჩქარა — ჭირნახული გარეთ არ დაგრჩეს,
რთველი ილევა და ზამთარი მოგადგა კარზე.

* * *

დამკვიდრებული ძელთაგანვე ჩვენში წესია:
როს სიძის სახლში დედოფალი წასვლას ინებებს,
უკან მისდევენ და გზადაგზა კენჭებს ესვრიან,
ხოლო შინ მისულს გოლეულით უმასპინძლებენ.

მეფე-დედოფალს ახლობლები და მეზობლები
აგრძნობინებენ, იყავითო იმის მცნობელი,
რომ ცხოვრებისგან არაერთხელ გელით კოპები
და მაინც ძალზე ტკბილი არის წუთისოფელი.



ძველ ჩვეულებას, რომ შემორჩა ჩვენს ყოფას დღემდის,
ვიგონებ მუდამ და ყოველთვის სიკეთედ ჩავთვლი.
მეუღლევ ჩემო, მე მგონია, ცხოვრებას ჩვენთვის
არ დაუზოგავს არც კოპები და აღარც თაფლი.

ეს თაფლი როგორ გვიტკბობს ხოლმე ამ წუთისოფელს,
რომელიც ზოგჯერ გვიმუხთლებს და არ გვაკლებს კოპებს.

* * *

შენ მეუბნები: „მთავარია, თავს გაუფრთხილდე“.
ჩემო კეთილო, დღენიაღაგ მარიგებ ასე.
საკმაო ხანი ვიცხოვრე და ვიცხოვრებ კიტეც,
თუმცა არასდროს მიზრუნია საკუთარ თავზე.

წინათ რამდენი მეგობარი მყავდა ერთგული,
მაგრამ საკუთარ მეგობრებსაც ვერ გავუფრთხილდი.
წავიდნენ ისე, არც კი იყვნენ დაღვინებული,
ჯერ კიდევ მაშინ, როცა სატრფოდ, ალბათ, არც მთვლიდი.

ზრუნვას და გარჩას ჭვეყნად თავი ვინ დააღწია,
ვინ გაქცევია მწუხარებას, ტკივილებს, ტანჯვას
და დროს, რომელმაც ჩვენ მოვალედ გადაგვაქცია.
რომ იჩქარის და გვითვალთვალებს, დროს როვორ ვხარჯავთ
თავს მიხედეო, ნუღარ მეტყვი, რად მინდა აჯა? —
შენ რომ გიყურებ, მშვიდად მიცემს ყოველთვის მაჯა.

* * *

თმას შეისწორებ დაღვრემილი, ბაგეთა თრთოლვით.
მოიღუშები და ჭალარის შეჰყურებ ერთ ხანს.

მწვანე ტოტს შვენის შემოდგომის პირველი თოვლი,
ნუ დალონდები, ნუ დამალავ, ნუ ჩამოფერთხავ.

თავის დროზე ხომ შემოდგომაც უნდა მოვიდეს,
ვერ შეაჩერებ, რა აზრი აქვს გაჭიუტებას?
ზეებს ფოთლები ჩამოცვივდეს, მოთვოს კიდეც,
შემოდგომური ფერადებიც მიწას უხდება.

არც მე ვიქნები ახალგაზრდა აღარასოდეს.
რა ვუყოთ მერე, დრო მოვიდეს და გაგვათეთროს.
თავაწყვეტილი, სუსხიანი ქარბუქი ქროდეს.
გულში ის ცეცხლი კიდევ დაგვრჩა, წინათ რომ ენთო.

გვამშვენებს წლები, სხვანაირი დაგვკრავს იერი —
როგორც არასდროს, ახლა ისე ხარ მშვენიერი.

* * *

მრავალს შევუნდე, გულში არ მაქვს წყენა მე მათი,
მეც მაპატიეს, ჩემგან რამე სწყენიათ ოდეს.
შემოდგომაზე თუმცა ბალებს ფეხით ვთელავდი,
გაზაფხულობით მთავაზობდნენ ნამიან ფოთლებს.

ეს გულუხვობა და სიკეთე ვერ დავაფასვ,
მაგრამ გაზაფხულს შურისგება არ უფიქრია.
ჩემს გასახარად იგი წელსაც ტურფად ხასხასებს,
სითბოს ტოტები ყვავილებით დაუფიფქია.

შენ კი თვითეულ შეცოდებას მიწონი მისხლით
და განაჩენიც ნაჩქარევად გამოგაქვს ჩემთვის.
გულკეთილობა არ გაქლია, ხარ ქების ლირსი,
ჰაშ, რად არ ისმენ, პატიებას როდესაც გვედრი?

ნუ გავიწყდება, ჩემო, დიდი ცოდვაა ისიც,
შეუნიშნავი რომ არ გრჩება ნაკლი თუნდ ერთიც.





ტრფობა იმგვარი ინსტიტუტი არის ეგება,
რომელშიც სწავლას ზოგიერთნი გულს ვერ უდებენ,
სადაც დარდი და სიხარული შეუსვენებლად
დღისით და ღამით საგანგებოდ წვრთნიან სტუდენტებს.

მეც თავსატეხი ბევრი წიგნის ვფურცლე გვერდები
და ერთი აზრი ჭეშმარიტი ვირწმუნე მტკიცედ,
რომ ყველანაირ საიდუმლოს სწავლით ვერ ვწვდებით,
ხელმოცარულთა მაგალითზე ცოდნას ვერ ვიძენთ.

ამაოდ დავშვრი — ბევრ რამეს ვერა ვხვდებოდი,
თავს ვერ ვაღწევდი ხათაბალას. ენა მებმოდა.
წავიბორძიქე არაერთხელ, ხშირად ვცდებოდი
და ყველაფერი პირუკულმა მელანდებოდა.

გამოგიტყდებით, ცუდი მქონდა მუდამ მოსწრება,
თუმც ინსტიტუტში გავატარე დღე და მოსწრება.

* * *

მოხდება ხოლმე, სიწყნარეს და დუმილს ვჯერდებოთ.
რადგან სადავო აღარა გვაქვს ჩვენ არაფერი,
ხელით ნიკაპზე დაყრდნობილი ცეცხლს ვაშტერდებით
ანდა ზღვისპირზე მოლივლივე ტალღებს გავცქერით.

ხმასაც არ ვიღებთ და დრო გადის ასე ტაატით.
არ ვლაპარაკობთ არც საქმეზე, არც ზღაპრულ ბალზე,
თითქოს ვშიშობთ, რომ ძველისძველი ჩვენი კამათით
გამოვალვიძებთ უზრუნველად მძინარე ბავშვებს.

და აი ახლაც სიტყვის დაძვრა არ გვინდა არც ერთს,
მაგრამ დღეს ჩვენი მდუმარება ბევრ რამეს იტევს —
სამყაროს მთლიანს, გულში ჩუმად რომ მოვათავსეთ.
ყველაფერს, რისი გამოხატვაც არ ძალუძთ სიტყვებს.

მთის მდინარენი ბარისაკენ ხმაურით ქრიან,
მაგრამ დრო მოვა და ისინიც შეწყვეტენ ჩხრიალს.

კედლის საათი ითვლის წამებს შეუსვენებლად
 ჩემი დღეებიც იმთავითვე დათვლილი ჰქონდა.
 მისი წიკწიკი მომესმოდა წარმტაც ბგერებად,
 მეუბნებოდა: „ჯერ ადრეა, დაიცა ცოტა!“

მისი წიკწიკი მომესმოდა უნეტარესად,
 შევყურებდი და სიხარულის მესხმოდა ფრთები.
 „წიკწიკ, დაიცა, შემოვივლი ნახევარ წრესაც
 და პაემანზე დაბარებულ სატრფოს შევხვდები“.

საათი ისევ დღე და ღამე დროს ზუსტად ითვლის.
 მორჩილებს კანონს, მორჩილებდა როგორც თავიდან
 და ის სიმღერა, რომლის პანგზე ოცნებებს ვშლილი,
 კაეშნად იქცა და უეცრივ გული დაბინდა.

განშორებებით მოშხამული დღეები მიღის
 და მესმის: „წიკწიკ, გაზაფხული უკვე წავიდა“.

* * *

ლამაზ ქალიშვილს მომღერალმა ელდარე ლავმა
 დაადგა თვალი და გაგზავნა კიდეც ნიშანი.
 ქალი სხვას შერთეს დანიშნული არ შეებრალათ —
 დედაც და მამაც გულქვა იყვნენ პატარძლისანი.

შემდეგ ქორწილში მიიწვიეს გაწბილებული,
 მგოსანს ღვინოში ჩაუწვეოთს ჩუმად სამსალა.
 არ დაუკარგავს მას სიდინჯე მართლაც ქებული —
 მზაკვრობას მიხვდა, მაგრამ ყანწი მაინც დაცალა.

იგი მოიქცა ისე, როგორც ითხოვს აღათი,
 არ გადავიდა უფროსების ნებას ამგვარად.
 ამბობენ, ზღურბლთან მიაღწია თურმე ტატით,
 მერე მოწყვეტით დაეცა და აღარც ამდგარა.

ასე მგონია, განწირული მგოსნის საღარად
 ყანწს ვეწაფები, თუმცა ვიცი, ვკვდები ღალატით.

* * *



დაღესტნის მთების მომღერალი მყავდა მშობელი.
დიდხანს იცოცხლა და დატოვა ლექსი მრავალი —
ახლობლების და ხუნძახელთა ამბის მთხრობელი.
წერდა, ვინ იყო ავი და ვინ — კაცის წამალი.

და აი ერთხელ კარს მოაღგნენ ბერიკაცები
და ესე უთხრეს: „მართლაც ძნელი დასაჭერია —
იმაზე, ვინაც იმსახურებს ქებას სავსებით,
მაგ შენს ლექსებში ერთი სიტყვაც არა წერია“.

მაგრამ მამაჩემს საკუთარი ჰქონია აზრი,
ბრიყვი არისო, ცოლის ქებას, რომელიც იტყვის,
იმაზე, ვინაც ცოლს გალანდლავს, კაცი არ ითქმის.
...მე კი ამდენ ხანს ცოლზე ლექსის წერაში დავშვრი.

რაც მიმღერია, საამაყოდ ყოველთვის ვთვლიდი
და რომ მართალი იყო მამა, ახლალა მივხვდი.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.

შოთა ზობე

ვ ი ძ რ ი ს გ მ რ ს

ვინც სოფელში შობილა და გაზრდილა, უთუოდ ეცოდინება რა არის ქელებურ ბუხართან გატარებული დეკემბრისა და იანვრის ღამეები, ყევარი ხარით მოტანილი მუხის ვეებერთელა ჭირკი ბუხარში, ყაყაჩოსავით მოღაულაუე ნაკვერცხლები, იქვე შორიახლოს თხუთმეტსულიანი ოჯახის კეცივით მიპიწყინებული დიდი თეთრი კვახი, იქვე გაფენილ დათვის ტყავზე წამოგორებული, თავქვეშ ბალიშამოჩრილი ბაბუა, ხელში წალდის-ოდენა ჩიბუხით, გარშემორტყმული დიდი ჭალაბით — შვილებით, რძლებით, შვილთაშვილებით.

მართლაც რომ ტკბილია ბუხართან გატარებული ზამთრის ღამეები, ასევე ტკბილია ალი ბაბუას მონათხრობი ზღაპრები. გუშინდელივით მახსოვს როგორ გამობერტყავდა ჩიბუხიდან ნაცარს, მერე ჩიბუხს იქვე სათუთუნე ქისასთან დადებდა და მოუხსნიდა თავს ზღაპრების გუდას. ჩემს წარმოდგენაში ზღვასავით უძირო იყო ეს გუდა, რადგან ბაბუა ალის ზღაპრები იწყებოდა, და არ ვიცი სად და როდის მთავრდებოდა. ის კი მახსოვს, ბებია რომ მეტყოდა მეორე დღეს — ისე დაგეძინა, გასაღვიძებლად ვეღარ გაგიმეტეო და ჩემს წილ კვახის ნაჭერს მომცემდა.

ბაბუა ალის ზღაპრების მოქმედი პირები, უმთავრესად მეფეები და მათი ქალიშვილები, რაინდები, მზეთუნახავი ქალები, დევები და ბაყბაყ-დევები, შინაური და გარეული ცხოველები იყვნენ. ბევრი მათგანის ბედითა თუ უბედობით ცრემლი მიღვრია. ისიც მახსოვს, როგორ გამამხნევებდა ბებიაჩემი — რა გატირებს, შვილო, ეს ყველაფერი ბაბუაშენის მოგონილიაო. ალი ბაბუას ზღაპრებში ერთმანეთს ებრძოდა კეთილი და ბორტი, მდიდარი და ღარიბი, დიდი. და პატარა, ლამაზი და მახინჯი, ჭკვიანი და სულელი, ძლიერი და სუსტი... ეს ბრძოლები უმთავრესად სიკეთის გამარჯვებით მთავრდებოდა.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა წამოვიზარდე და ალი ბა-

ბუას ზოგიერთი ზღაპარი „დედა ენაში“ ვიხილე. მარტო ზღაპრები კი არა და ბებია სანთურს არაერთხელ მოუთხრობია „იავნანამ რა ქნა?!“ მან წერა-კითხვა არ იცოდა და ჩემთვის ახლაც გამოუცნობ გამოცანად რჩება საიდან იცოდა ეს ყველაფერი.

ოჯახში ყველაზე პატარა მე ვიყავი და, ბუნებრივია, ყველაზე მეტად ბებიას ვუყვარდი. სამაგიეროდ მეც ყველაზე მეტად მიყვარდა იგი და მისგან მოწოდებული ტკბილეული. ბებია სანთური ღვთისნიერი ქალი იყო. ასე მეგონა, ქვეყნად ყველა სიკეთე მისგან იწყებოდა. მთელი სოფელი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მის მიმართ მოკრძალებული იყო და პატივისცემით ეპყრობოდა. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ თავად იყო ყველაზე მეტად მოკრძალებული და სხვათა პატივისმცემელი. ჩვენს ოჯახში შემოსულ ბავშვსაც კი უყურადღებოდ არ დატოვებდა, ყველასთან და ყოველთვის თავაზი და მოკრძალება ეხატებოდა. სამოცდაათ წელს გადაცილებულს გული საქმისაჟენ ერჩოდა. — სიბერეს დაუდგა თვალები თვარა, ამ ცხელ დღეს უქმად რა გამატარებინებსო, — იტყოდა ხშირად.

ჩვენი სახლიდან ორასი მეტრის დაშორებით ჭა გვქონდა. ზაფხულობით მთელი სოფელი ამ ჭიდან ეზიდებოდა წყალს. სოფელში შემოსული სტუმარი ისე არ წავიდოდა, ამ ჭის წყალი რომ არ დაელია. მახსოვს, ზაფხულის პაპანაქება იყო. მამა ყანიდან დაბრუნდა, დაღლილი სეჭვზე გულაღმა წამოწვა და ჩაილაპარაკა — ახლა ერთი ჭიქა ცივი წყალი მთელ ქვეყანას მიღირსო. ბავშვებმა ერთმანეთს გადავხედეთ და ამით დამთავრდა ყველაფერი. ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ოთახში ბებია სანთური შემოვიდა და მარჯვენა ხელკავს წყლით სავსე ვეება თუნგი ჩამოხსნა. ეს იყო ჩემი პირველი და ყველაზე დიდი უხერხულობა, რომელიც დღემდე დამამახსოვრდა და არც არასოდეს დამავიწყდება.

ბებია სანთური ხშირად მქითხავდა, — დიდი კაცი რომ გაიზრდები, რას გააკეთებო. მე პასუხი მჟად მქონდა: დიდი რომ გავიზრდები, ექიმიბას ვისწავლი, შენს გულისფრიალს ვუმკურნალებ და საერთოდ, ჩვენს სოფელში ავადმყოფობას არ გავაჭაჭანებ მეთქი.

— მე კი მინდა, შვილო, ექიმი კი არა, ინუინერი გამოხვიდე, — მეტყოდა იგი — ხომ ხედავ, როგორი გვალვაა, ახლა რომ ჩვენს სოფელს სარწყავი წყალი ჰქონდეს, სოფელი ვერ აჯობებს დუნიაზე... კარგი ინუინერი რომ გამოხვიდე, ბარათაულის ღელიდან დიდ რუს გამოიყვან და მიწას წყურგილს მოუკლავ. დარწყულებული მიწა სოფელს მოსავალს და სიკეთეს მისცემს, ტყეც გაიზრდება, ჩვენი ჭის წყალიც იმატებს და აღარც ციება იქნებათ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ მიეცა დავიწყებას, მაგრამ ბებია სანთურის კეთილი გული და სოფლის ხვალინდელ დღეზე ფიქრი არასოდეს დამავიწყდება.

იმედი ვერ გავუმართლე ბებია სანთურს, ინუინერი ვერ გამოვედი,

გავშვობისღროინდელ ექიმად გახდომის გულუბრყვილო ოცნებაზეც მაღვა ავიღე ხელი. თვითონ გულისფრიალმა იმსხვერპლა.

მართალია, ბადიშმა ვერ გაუმართლა, მაგრამ სამაგიეროდ შვილის შვილის შვილებმა ივარებეს. ერთ-ერთი მათგანი — თემური თბილისში ეუფლება მკურნალის პროფესიას. ახლა სოფელს ექიმებიც ჰყავს და ინ-ჟინრებიც. სოფლის თავკაცებმა საფუძველი ჩაუყარეს ცეკვა-ვარჯანაულის არხის მშენებლობას. იგი დაარწყულებს ცეკვის, ვარჯანაულის, ჭალის, წყაროთის და ახალდაბის ნაყოფიერ მიწებს. დარწყულებული მიწა კი სოფელს სიკეთეს მისცემს, ჭის წყალიც იმატებს და ტყეც აშრიალდება.

* * *

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა კახაბერს გავცდი და მანქანაშ გეზი აჭარისწყლის ხეობისაკენ აიღო. ჯიბეში მწერალთა კავშირის შემოქმედებითი მივლინება მიდევს და შუახევის რაიონში მიმეჩქარება. დღეს ძალიან ლამაზი, შეიძლება ითქვას, რომანტიკული დღეა. ამ დილით, როცა ნინოშვილის ქუჩით ჩავუარე ზღვის ნაპირს, პანსიონატ „ბათუმისა“ და ტურბაზის მიღამოები უცხო თვალით რომ მენახა, თავი ზღაპარში მეგონებოდა. მარტო შემოღომის კი არა, საერთოდ თვეებს შორის ყველაზე ლამაზი და კარგია ოქტომბერი, მაგრამ წელს რაღაც არაჩვეულებრივი, ზღაპრული ოქტომბერია. ეს იგრძნობა ზღვის სანაპიროზე, კახაბრის ველზე, უფრო აჭარისწყლის ხეობაში... ეს იგრძნობა მთაში და ბარში, სოფელში და ქალაქში, ყველგან, სადაც ბუნება და მისი უმშვენიერესი ქმნილება — ადამიანი შეთანაწყობილად მოქმედებენ.

აწვესის ხეობაში რომ შევედროთ და მთებს ავხედე, უნებლიერ გამახსენდა სიმონ ჩიქვანის სიტყვები — „მთები აწვდილან, როგორც ლოცვები და ზღვა გართხმულა, როგორც ვედრება“. შეუძლებელია მოვლენის უკეთესად დანახვა და გადმოცემა. თავისი ცხოვრების მიმწუხრზე შექმნა პოეტმა ქართული პოეზიის ოქროს ფურცელი „შემოღომის დღეები აჭარაში!“ აღბათ, მაშინაც ასეთი შემოღომა იყო, როცა პოეტი ამ სტრიქონებს წერდა მეთქი — გავუმხილე ჩემს გვერდით მჯდომ პოეტ მამია ვარშანიძეს.

მამია კვერს მიკრავს. მართლაც ულამაზესი ხეობა გვაქვს. ჩვენმა პოეტებმა საკადრისადაც შეაქეს. სიმონი, გოგლა, დიღებული გალაკტიონი... მამია წუთით გაირინდა. ისევ მე დავარღვი დუმილი. მოვიგონე აღგილი მისი „ხიხანის არწივებიდან“, აჭარისწყლის ხეობას რომ უმღერა. თითქოს არ გაუგონიაო, ისე ჩაილაპარაკა, — ჩვენი კინოს და ტელეოპერატორები ჯერ კიდევ ვალში არიანო. ვიგრძენი, მისი ფიქრი ახლა შორს მიფრინავდა და დუმილი ვარჩიო.

კახაბერი, აჭარისწყალი, მახუნცეთი, დოლოგანი, ქედა, ზვარე, წონა-არისი, გობრონეთი, ცხმორისი, დანდალო, ხიჭაური, შუახევი... გზა ბათუ-მიდან შუახევამდე — ეს არის ულამაზესი ხეობა ულამაზესი სოფლებით, თითოეული მათგანი ღირსია ქებათა-ქებისა, მაგრამ ჩემს შემოქმედებით მივლინებას სხვა მიზანი აქვს, უნდა ვეწვიო ჭვანელ და ოლადაურელ კო-ლმეურნეებს, ათასჯერ ნანახი და გავონილი კიდევ ერთხელ უნდა გავზომო საკუთარი თვალით, შემდეგ კი მოვუთხრო მთელ საქართველოს. შუახევი ახალგაზრდა რაიონია, 1952 წელს გაჩნდა საქართველოს რუკაზე, მაგრამ შუახეველთა წარმატებები კარგადაა ცნობილი.

უკვე შუახევში ვართ. მე ვემშვიდობები მამია ვარშანიძეს, რომელსაც ახლა ხიხაძირში მიეჩარება თავის „ხიხანის არწივებთან“ შესახვედრად.

შუახევი.

ეს არის მთებს შორის, მთების გულში ზოლივით გაჭრილი ხეობა, ზო-გან — კლდოვანი, ზოგან — მწვანით შემოსილი. მისი წარსული თუ გაინ-ტერესებთ, უნდა მოუსმინო, როგორც აქაურები ამბობენ, „ძელ კაცებს“. მათ კარგად ახსოვთ წარსულ დღეთა სიღუხვირე, ისინი გეტყვიან ღინჯი, ძარღვიანი აჭარული დიალექტით, თუ რანი ვიყავით და როგორ ვცხოვ-რობდით წარსულში. გეტყვიან, როგორ ეურჩებოდა ხალხი სოციალურ ჩაგვრას და როგორ ეწერებოდა „მევლუდას“ თუ სხვა ფირალების რაზმ-ში, გეტყვიან ილიას ხელაძის, უკვე გაზღაბრებულ ამბავს. იგი აუგანყდა ძველ აღათ-წესებს, სოციალურ უსამართლობას, მეფის კანონებს და გა-ფირალდა. მალე ილიასი მევლუდ დიასამიძის რაზმს შეუერთდა და მათთან ერთად ებრძოდა მეფის მთავრობის მოხელეებს. ეს ბრძოლა სტიქიური იყო და დამარცხდა. მევლუდ დიასამიძის რაზმელები შეიძყრეს და გაასა-მართლეს. ასეთივე ბედი ეწია ფურტიოელ ილიას ხელაძესაც. აი რას მო-გვითხრობს ამ სასამართლო პროცესის შესახებ ქართული ლიტერატურის კლასიკის დაჯით კლდიაშვილი, რომელიც სასამართლოზე თარჯიმანი იყო.

„...დამცველი თხოულობდა სასჯელის შემცირებას.

სასამართლოს წევრთა თათბირის დროს ივანენკომაც ასეთი აზრი წა-რმოთქვა, მასაც ჩვენსავით სწადდა ილიასა სიკვდილს გადაერჩინა. მაგრამ აქ საჭირო იყო სხვანაირი მოქმედება.

— ამ საცოდავს, ბუნების შვილს, ჩვენი განაჩენით, რომელშიაც თუ არ იქნება მისი სიკვდილით დასჯა, ჩვენ ვერას გზით ვერ ვუშველით, — თქვა ივანენკომ, — მთავარმართებელს გავაჯავრებთ მხოლოდ; გოლიცინი ისე მოიქცევა, როგორც მოიქცა მევლუდას შესახებ: განაჩენს გაგზავნის პეტერბურგში და გადასწორებინებს მისდა ნებისად ჩვენ მიერ გამოტა-ნილ შეღავათიან განჩინებას. ჩვენ ილიასას მხოლოდ დავლუპავთ. მე გთხოვთ გამოვიტანოთ სიკვდილით დასჯის განაჩენი და ამით მომეცით სა-

შუალება ვიხსნა იგი უბედურებისაგან; გაძლევთ პატიოსან სიტყვას, მივიღო ყოველივე ზომა, რომ გოლიცინი შევაჯერო, დავიყოლიო, ამ საცოდავ ყმაწვილს ააცდინოს სიკვდილი. მე დაწვრილებით, სავსებით დაუუხატავ, გვაცნობ ილიასას საქმეს და იმედი მაქვს მივაღებინებ ჩემს შუალებობას...

ჩენ დავთანხმდით; ივანენკომაც შეასრულა თავისი დანაბირები, მაგრამ მხეცს სისხლი სწყუროდა და არაფერი შეისმინა. გოლიცინის ბრძნებით ბათუმის ოლქის უფროსმა ილიასა წაიყვანა აჭარაში: ქედაში შეჰქარეს მრავალი ქალი, კაცი, ბავშვებიც კი და ილიასა საჭაროდ ჩამოახრჩეს:

— ასე დაისჯება ყოველი, რომელიც კანონს დაარღვევს და სამართლს გადააბიჯებს! იცოდეთ ეს! — გამოეცხადა ხალხს, რომელსაც გული უდუღდა, რომ მშვენიერი ბიჭი, უდანაშაულო, მართალი, ძალლივით ჩამოჰკიდეს.

სახრჩობელამ და საპყრობილებ ვერ ჩაჰქლა მებრძოლი სული. მთასევით ზვიადი, ზვავივით მარდი და ფიცხია აჭარის მთებში გაზრდილი კაცი, უყვარს სიმართლის დაცვაც და სიმართლის გამოტანაც. ასეთი კაცი მომხდურს როგორ მოუხრიდა ქედს, თავს როგორ დააჩაგვრინებდა, ბატონად როგორ გაიხდიდა. და თუ აჭარა ოდით ფარი იყო საქართველოს სამხრეთით, ფარის ნახევარი მთიანი მხარეც იყო. ამიტომ დასჭირდა მტერს მეტი ცეცხლი და მახვილი განსაკუთრებით აქ. შუახევის ბევრ სოფელში არის უბანი, რომელსაც „ნაომარი“ ჰქვია. ძველი კაცები იტყვიან, ამ ადგილს ჭალიქედი ერქვა. თურქი რომ მოვიდა, სისხლისმღვრელი შეტაქება მოხდა და მწვანე ჭალა სისხლმა შეღება. ამის შემდეგ ხალხმა ჭალიქედს ნაომარი შეარქვაო.

ძალადობამ ვერ გაიტანა თავისი. ხალხის უტეხი სული სიცოცხლესა-სავით უფრთხილდებოდა მიწაში ვაზის ფესვებს და სულში დედაენის ნათელს.

შუახევის სოფლებს ბევრი ლხინიც ახსოვს და შავი დღეც, მტერიც მოსულა და მოყვარეც.

ნამდვილი მოყვარე კი 1921 წლის 17 მარტს მოვიდა. ეს იყო მე-18 ცხენოსანთა დივიზია, რომელსაც ლეგენდარული დიმიტრი ჟლობა მეთაურობდა. მან გაღმოლახა გოდერძის უღელტეხილი და აჭარის მრავალტანჯულ მიწას სანუკვარი თავისუფლება ახარა. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. ნახევარი საუკუნე მთელი ეპოქა მთიელი გლეხკაცის ცხოვრებაში. თავისუფალი შრომა ხალხის სამსახურში ჩადგა. რაიონს ახლა შესანიშნავი ინტელიგენცია ჰყავს, რომელიც სოფლის კეთილდღეობისათვის იღვწის და თვალი არ უჭირავს ქალაქისაკენ. პედაგოგები და ექიმები, ინჟინერები და აგრონომები მხარში უდგანან გლეხკაცობას. ბევრი

შუახეველი სპეციალისტი მეცნიერულ-საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა რესპუბლიკის ქალაქებში.

მაგონდება 1966 წლის შემოდგომა. აჭარის მთავრობამ ბათუმელი მწერლებთან ერთად, ჯერ კიდევ ახალბედა პოეტი, მე-5 კურსის სტუდენტი, შუახევში მიმდევლინა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე მონაწილეობის მისაღებად. სიტყვითაც გამოვედი და გენიალური პოეტისადმი მიძღვნილი ლექსიც წავიკითხე. იმდენი ხალხი შუახევის რაიონის ცენტრში არასდროს არ მინახავს. პოეტის იუბილე კი არა, ეს იყო ეროვნული სახალხო ზეიმი. დიდს თუ პატარას, ყველას ღიმილი ეფინა ბაგეზე და რუსთაველის სტრიქონებს ჩურჩულებდა. შუადლისას თამარის ციხესთან მიტინგი გაიმართა ღია ცის ქვეშ. სასიამოვნოც და ამაღლელვებელიც იყო კოლმეურნე ქალების გამოსვლები. ყველა თავის სიტყვას პოეტის სტრიქონებით ამთავრებდა.

ახლა, როცა „ფიქრის გორას“ შევუდექ, სათქმელს და დასაწერს რაღამილევს, მაგრამ უმჯობესია სოფლის გამრჩე ადამიანებს სიტყვა მივცეთ და მოვუსმინოთ.

* * *

შუახევის რაიონის პარტიულ კომიტეტში ჩემი სტუდენტობის მეგობრები მუშაობენ. ჯერ იოსებ ხიმშიაშვილი მოვინახულე, რომელიც რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებას ხელმძღვანელობს. მალე ლევან ტაკიძე შემოვიტოდა.

პირველი მდივანი ვიკითხე.

— ერთი საათის წინ ნაღვარევში წავიდაო, მითხრეს.

— ხვალ შაბათია და ჩემი ვიზიტი, რაღა თქმა უნდა, ორშაბათამდე გადაიდო მეთქი, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— ახლა ჩვენთან შაბათი და კვირა არ არსებობს. მოსავლის აღების დროა, ყოველთვის მზიანი დღეები ხომ არ იქნება. ჯერ წლის მოსავალი უნდა დავაბინაოთ, მერე კი შაბათიც იქნება, და კვირაც. ხვალ დილის რვა საათიდან მდივანი კაბინეტში იქნება, ოლონდ შუადლის შემდეგ, როგორც ყოველთვის, რომელიმე კოლმეურნეობაში წავაო — მეუბნება იოსები.

მეორე დღეს მდივანი ცხრის ნახევარზე მართლაც კაბინეტში დაგვჭვდა. მე და ლევან ტაკიძემ კაბინეტის კარი რომ შევაღეთ, გაშლილი გაზეთი გვერდზე გადადო და შეგვეგება.

მიხეილი გვესალბრა რაიონის მოწინავე აღამიანებზე, მევენახებზე, მეცხოველებზე, მეთამბაქოებზე... ისინი ნამდვილი გმირები არიან. გმირულმა შრომამ ლენინის ორდენის კავალერი გახადა ზულეიხა ფუტკარა-ძე, შრომის წითელი ღროშის ორდენი აქვს სევიე დავითაძეს.

თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანისათვის საპატიო ნიშნის ორდენით
დაჯილდოვდა ჭვანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, სო-
ციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სულთან ქარცივაძე.

რაიკომის მდივანი გვიხსნის თუ როგორ მძიმე და შრომატევადი დარ-
გია მეთამბაქოეობა. ერთი კილოგრამი ხმელი თამბაქოს მისაღებად საჭი-
როა 13 კილოგრამი ნედლი თამბაქო. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რამ-
დენჯერმე უნდა გაითოხნოს და შეიწამლოს. შემდეგ კი საჭიროა 6-7-კერ
შეტეხვა, ანგმსვა, გაშრობა, კავზე გატანა, დახარისხება, დაბარდაგება და
ჩაბარება... ამ საქმეში უმთავრესად დაკავებული არიან ქალები, სწორედ
მათ იყიდულ ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელ წელს 747 ტონა ხმელი
თამბაქოს ნაცვლად ქვეყანას მისცენ 820 ტონა. დღეს რაინონი სამართ-
ლიანად ამაყობს სახელოვანი ქალებით, — განაგრძობს მდივანი, — ძველი
ადამ-წესებით შებოჭილნი სულ მოკლე დროში კომუნიზმის შუნებელ
მოქალაქეებამდე ამალლდნენ.

სიტყვა ახალგაზრდობაზე ჩამოვუგდე.

— ახალგაზრდობაზე ლაპარაკი საჭიროც არის და სასიამოვნოც — ამ-
ბობს იგი. — ყოველ ახალ თაობას თავისი რცხები და მიზანი, თავისი სა-
ფიქრალი და სატკივარი აქვს. ყველას ღრმად სჯერა და სწამს, რომ მხოლ-
ოდ მისი რწმენაა ყველაზე უფრო საიმედო და წრფელი, მხოლოდ მისი
საქმეა მართალი. ყოველ მათგანს აქვს გუშინდელი დღე და დიდი რწმე-
ნითა და იმედით შეჰყურებს ხვალინდელს. გუშინდელ და ხვალინდელ
დღეში ვგულისხმობ ტრადიციულისა და სიახლის შერწყმას. ერთი შეხე-
დვით შეუმჩნევლად, მაგრამ მსგავსი მოვლენა მაინც შეიმჩნევა ჩვენი სო-
ფლის ახალგაზრდობის ცხოვრებაში. ახალგაზრდა უარს ამბობს ღრომო-
ჭმულზე, მოძველებულზე, კრიტიკული თვალით აფასებს ძველი ცხოვ-
რების ტრადიციებს და მისგან ითვისებს მხოლოდ პროგრესულს.

მდივანი სამართლიანად შენიშნავს და თავის გულისტკივილს გამოხა-
ტავს იმის გამო, რომ ჩვენი ზოგიერთი მწერალი თუ უზრნალისტი გაზი-
ადებულად ხატავს ჩვენში რელიგიური თუ სხვა მავნე გადმონაშობის
არსებობას.

წარსულის მავნე გადმონაშობთან ბრძოლა თითოეული შეგნებული
მოქალაქის, საზოგადო მოღვაწე იქნება იგი თუ პარტიული მუშაკი, სისხ-
ლხორცეული საქმეა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ არ დავინახოთ
ის, რაც მოკლე დროში გაკეთდა. ამ 15-20 წლის წინათ ბევრს სათაქილოდ
მიაჩნდა ქალიშვილის სასწავლებლად ქალაქში გაგზავნა. ახლა კი... გუქიქ-
რობ მაგალითები საჭირო აღარ არის. რაიკომში ხშირად მოღიან ამ აბი-
ტურიენტთა მშობლები, რომლებიც აბარებდნენ უმაღლეს სასწავლებლე-
ბში და ჩაიჭრნენ მისაღებ გამოცდებზე, ან კონკურსში ვერ გაიშარჯვეს.
ისინი გვიჩივიან, რომ ინსტიტუტებსა თუ ტექნიკუმებში მისაღები გამოც-

დების წესები ირლვევა, რომ ჩაირიცხება ის, ვისაც „კაცი“ ჰყავს... მათ
საყველურებში ნაწილობრივ არის სიმართლე. მოდიან ნაღვარევიდან და
წყლისაყრიდან, ინწყირვეთიდან და ბრილიდან, ოლადაურიდან და ტბე-
თიდან, უჩამბიდან და შუბნიდან, მოდიან ახალგაზრდები და მათი მშო-
ბლები, თხოულობენ ლიმიტს, დახმარებას, რჩევა-დარბეგებას. ყოველივე
ეს იმაზე მეტყველებს, რომ ახალგაზრდობას სურს დაწაფოს ცოდნას,
ხოლო ცოდნა უარყოფს დრომოჭმულსა და ძველ ადათ-წესებს.

მიმდინარე წელს მოხდა კოლმეურნეობების გამსხვილება. თქვენი
აზრით რა შედეგს გამოიღებს და როგორი პერსპექტივა ექნება ამ საქმეს
მეთქი, ვეკითხები და ყურადღებით ვიწერ მდიღნის ნაამბობს.

— კოლმეურნეობათა ორგანიზაციულად განმტკიცება პირველხარის-
ხოვანი ამოცანაა, — ამბობს მდივანი. — ჩვენი რაიონის მოსახლეობა შე-
ადგენს ოცდაოთხიათას სულს. ამ პირობებში ორმოცდასამი კოლმეურნე-
ობა, ცხადია, არაეფექტურია. ზოგ კოლმეურნეობაში მხოლოდ 50-60 კო-
მლი იყო. ხელმძღვანელი ორგანოების დირექტივების საფუძველზე მოხდა
გამსხვილება. ახლა ორმოცდასამის ნაცვლად რაიონში თვრამეტი კოლმე-
ურნეობა გვაქვს. თუ რა შედეგს მოგვცემს ეს, ნათელი გახდება სამეურ-
ნეო წლის ბოლოს. ახლა მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ გამსხვი-
ლებულ კოლმეურნეობებში საგრძნობლად განმტკიცდა შრომის დისკიპ-
ლინა. ვფიქრობთ გამსხვილება განსაკუთრებით პერსპექტიული იქნება
მცირემიწიანი სოფლებისათვის. იგი ხელს შეუწყობს მეურნეობის ინტე-
სიფიკაციას. თქვენ ალბათ გაივლით კოლმეურნეობებში, თქვენი თვალით
ნახავთ და დარწმუნდებით როგორი გამოცოცხლება და შრომითი აღმავ-
ლობა გამოიწვია ამ ღონისძიებამ.

მე უკვე ვიყავი წყაროთის კოლმეურნეობაში, ვესაუბრე ჭალელ და
ახალდაბელ მევენახებს, მეთამბაქოებს, სოფლის თავკაცებს და ყველა
იმედით შეპყურებს კოლმეურნეობათა გამსხვილების ღონისძიებას მეოქი.
შემდეგ ჩემი დღევანდელი მარშრუტი გავაცანი.

* * *

პერანგას და კარას მთებზე მზე ვეებერთელა ნოხივით განფენილა და
სიყვითლეშეპარებულ შემოდგომურ გარემოს არაჩეულებრივ იერს აძ-
ლევს. დაბლა, ვიწრო ხეობაში ჭვანისწყალი ნელი ღუდუნით მიედინება
და ხიჭაურში უერთდება აჭარისწყალს. თაკარა მზეა, თანაც შემოდგომის
გრილი სუნთქვა იგრძნობა. გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მსხლის
და ვაშლის ხეები, თამბაქოს პლანტაციები, სიმინდის ყანები, საკარმიდამო-
ბალ-ბოსტნები ზედიზედ მისდევენ ერთმანეთს. ტაკიძეების ციხის მიდამო-
ებიდან, რომელსაც აქაურები „ციხიყელს“ ეძახიან, ხელისგულივით მო-

ჩანს ჭვანისწყალს გაღმა, მარჯვენა მხარეს, ფერდობზე ვაშენებული სოფელი ახალდაბა, რომლის ყოველი კუთხე-კუნტული ჩემთვის ნაცნობი და ახლობელია. მაგონდება პოეტის სიტყვები: „ახალდაბა ლაუგარდებში ქალს ჰგავს კაბა ამოკვალთულს, ვენაცვალე მის კალთებში შემონახულ ლამაზ ქართულს“.

მოჩანს ნაჭვარას და ჭიყალურის ჭალები, თივის ზვინები, ხშირი ტყე-ები მუჯნარებით და ნაძვნარებით. აქ ხარობს იშვიათი და ძვირფასი ჯიშის მცენარეები, მათ შორის კაკალი, წაბლი, ქართული მუხა, თელა, რცხილა, ნაძვი, ფიჭვი, კავკასიის სოჭი, ხურმა, ურთხმელა უხრავი, ძელქვა, უხვად ვხვდებით მოცვს; პანტას, ტყემალს, მაყალოს, მაყვალს და სხვა გარეულ ხეხილს. მდიდარმა ფლორისტულმა გარემომ ხელი შეუწყო ცხოველთა სამყაროს მრავალსახეობას. აქაურ ბუნებას იერს მატებს ძვირფასი გარეული ცხოველები — მგელი, დათვი, მელა, ტურა, გარეული კატა, აფთარი, ფოცხვერი, კვერნა, კურდლელი, შველი, ქურციკი, არჩვი, მთის ინდაური, კაკაბი, შაშვი, მწყერი და სხვა. ერთი სიტყვით, აქაური ბუნება მდიდარია ფლორა-ფაუნით.

სიჭაურიდან ჭვანამდე დაახლოებით შვიდი კილომეტრია, ჩვეულებრივად, ამ მანძილის ფეხით გავლის თითქმის ერთი საათი ყოფნის, მაგრამ გზადაგზა იმდენი ნაცნობი შემხვდა, რომ ორსაათნახევარი დამჭირდა. სოფელ ტაკიძეებში, იქ სადაც ყოფილი კანტორის შენობა დგას, გიორგი ჭაველი შემხვდა. გიორგი პროფესიით პედაგოგია. მეზობლებმა თავიანთ თავაცად აირჩიეს აგერ რამდენიმე წელია. ახლა, როცა ტაკიძეების კოლმეურნეობა ცხემლისის კოლმეურნეობასთან ერთად ჭვანის კოლმეურნეობას შეუერთდა, იგი კვლავ წამოაყენეს გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ტაკიძეებიდან ჭვანამდე საკმაო გზაა და ბევრი რამ საგულისხმო მიამბო, ვიდრე ჭვანაში მივაღწევდით.

როგორც შევატყვე საუბარში, თავმჯდომარე ქმაყოფილია კოლმეურნეობათა გამსხვილების შედეგად მოპოვებული წარმატებებით. ერთხელ კიდევ შეუმოწმებიათ და შეუზომავთ სამი სოფლის სავარგული ჭიწები: თამბაქო, ვენახი, სიმინდი, ხეხილი, სათიბები ზომიერად გაუნაწილებია ცალკეულ ბრიგადებზე და საიმედო მზრუნველი მიუჩენიათ.

ჩვენ უკვე ჭვანაში ვართ. მევენახეობის ბრიგადას ვეწვიეთ მოსავალს კარგი პირი უჩანს. ზოგან შეთვალული, ზოგან უკვე მწიფე მტევნებით დატვირთული ჭიგო წელში იხრება. სულ ცოტაც და გაანთავისუფლებენ მძიმე ტვირთისაგან.

— გეგმით 69 ტონა ყურძენი უნდა მივიტანოთ სახელმწიფო მარანში, ჩვენი ვალდებულებაა 80 ტონა მოვიწიოთ. ჩვენი მიზანია გადავაჭარბოთ ვალდებულებასაც, — გვეუბნება მთელს რესპუბლიკაში ცნობილი მევენახე ზაქრო ამაღლობელი. იგი შემდეგ თავმჯდომარეს მიუბრუნდა;

ტაკიძეების ზვრები უმთავრესად მზისპირზეა გაშენებული, გარდა ამისა, შიგადაშიგ ბლომადაა გაბნეული საადრეო ჯიშები, ასე რომ, ამ დღეებში კრეფას თუ არ შევუდეჭით, შემდეგ მოსავლის უდანაკარგოდ აღებაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებაო.

— თუ კი მწიფს, რატომ არ უნდა ვკრიფოთ! აი ახლა სწორედ ტაკიძეებში ვიყავი, დროა ზოგან ახლავე დავიწყოთ კრეფა, — უთხრა თავმჯდომარემ. — ჩვენს ზვრებს 23,2 ჰექტარი უჭირავს. შარშან, როცა კოლმეურნეობები ცალ-ცალკე იყო, ვერცერთმა ვერ შეასრულა ყურძნის წარმოების გეგმა. წელს, ვფიქრობთ, ვალდებულებაც გადაჭირდებით შესრულდება.

ზაქრო ამაღლობელმა ახალგაზრდა მევენახე ნათელა ამაღლობელი გამაცნო, ჩემი რძალია, კარგი მეოჯახეა და ასევე კარგი მევენახე დადგებაო. ოქვენს ცოდნა-გამოცდილებას, შრომის სიყვარულს და მინდობილი საქმისაღმი ერთგულების გრძნობას თუ ჩაუნერგავ, შეიძლება კიდეც გაჯობოს-მეთქი.

— ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასაო, — დაუმატა ჩემს ნათქვამს გიორგიმ.

ნათელა სოფელ ტაკიძეებიდანაა. ჭვანის საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, კოლმეურნეობაში მივიღა და ვენახის ფართობი ჩაიბარა მოსავლელად. თამბაქოსაც უვლიდა. მუყაითმა გოგონამ მალე მიიპყრო თანასოფლელთა ყურადღება. მისი ქება მეზობელ სოფელ ჭვანაშიც გაისმა.

ზაქრო ამაღლობელი სიხარულით ცას ეწია, როცა ერთ საღამოს მისმა ვაჟმა ოთარიმ გულისნადები გაუმხილა ოჯახს. ნათელასთანა სარძლოს სხვას სად იშოვნიო, თქვა და გადაწყვეტილება მოუწონა შვილს.

დაფრინავდნენ ჭვანიდან ტაკიძეებში მერცხლები და დაპქონდათ სიყვარულის ბარათები. მერე ღიღი ქორწილი გადაიხადეს და ახალგაზრდა წყვილს კარგი მომავალი უსურვეს.

მშობლების ოჯახში მიღებული შრომისმოყვარეობა, ცოდნა-გამოცდა-ლება ახლა ორმაგად გამოადგა ნათელას. მამამთილს მიპბაძა და ვენახის მოვლას მოკვიდა ხელი.

ახალგაზრდა მევენახეს ჭვანელებმა ნდობა გამოუცხადეს და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს...

ნათელას გვერდით ჭვანაში ბევრი მოწინავე კოლმეურნე ქალი შრომობს. სულთან ქარცივაძემ შარშან თამბაქოს უხვი მოსავალი მიიღო. მთავრობამ ღირსეულად დააფასა მისი შრომა; უმცროსმა ქალიშვილმა — გუგულიმ უმახარობლა საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოება, სკოლაში ახალი გაზეთები მოეტანათ და იქ გაეგო, მასწავლებელს ბოლო გაკვეთილიდან განთავისუფლება თხოვა, სახლში ადრე მივიღა და დედას სასიხარულო ამბავი აუწყა. ეს იყო შარშან. ორდენოსანი ქალი წელს გაო-

რკეცებული ენერგიით შრომობს, სურს უფრო მეტი მოსავალი მოიწიოს. ადამიანის გამრჩე ხელმა, მისმა გმირულმა შრომამ კვეთრად უცვალა სახე სოფელს. ამ 30 წლის წინათ სოფლის ცენტრში ოროთახიანი ფიც-არული სახლი იდგა, რომელშიც მუშაობდა თემსაბჭო. ახლა კოლმეურნეობის კეთილმოწყობილი კლუბ-კანტორა, სასოფლო საბჭოს აღმინისტრაციული შენობა, აქვე ბიბლიოთეკა და კულტურის სახლი, საშუალო სკოლის სამსახურულიანი კაპიტალური შენობა, სავაჭრო მაღაზია, ოცდათხუთმეტსაწოლიანი საავადმყოფო, სასადილო, ფოსტა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები მშრომელთა სამსახურშია.

სოფელს შესანიშნავი ინტელიგენცია ჰყავს. ჭვანელები დიდი მაღლიერებით იგონებენ პედაგოგთა ძველ თაობას, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს სოფლად სწავლა-აღზრდის საქმეს. სხვადასხვა ღროს აქ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ დ. სანიკიძე, უ. მახარაძე, ნ. ჩიხლაძე, ნ. ღლონტი, ნ. ორაგველიძე, ც. ანთიძე, ა. ფალავა, ნ. ქარცივაძე, ნ. დათუნიშვილი, რ. მეგრელიძე, გ. კაჭარავა; ნ. ბათმანიშვილი, ც. ნებიერიძე, ა. დავითაძე, ი. ნიუარაძე, მ. მურალოვა, შ. მუკუდაძე, დ. ჭურიძე, აწ განსვენებული მირიან ბერიძე და მრავალი სხვა. ა. მსახურაძე დღესაც ძველი ენერგიით მოღვაწეობს და თავის ნამოწაფარ ახალგაზრდა პედაგოგებს უზიარებს ცოდნა-გამოცდილებას.

სოფლის ცენტრში მოწინავეთა სტენდზე გაეცნობით მოწინავეთა სახელებს, სოფელს რომ აშენებენ და ამშვენებენ. იქვე ახლოს დღევანდელი ბეღნიერი დღის დასტურად აღმართულია მშრომელთა დიდი ბეღადის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

* * *

იქნებ გაგიკვირდეს, მკითხველო, მაგრამ გარწმუნებ, რომ ჭვანის ხელბაში ნამდვილად ცხოვრობს ხევისბერი. ომერ ტაკიძეზე მოგახსენებთ. მას ასაკით, ცხოვრების გამოცდილებით, ძველი ამბების ცოდნით ვერავინ გაუტოლდება. ამიტომაც სოფელმა სიყვარულით ხევისბერი შეარქვა. აი ახლა, მე მის ეზოში ჯორკოზე ვზივარ და ვესაუბრები. იგი მარჯვენა ფეხით წიფლის ჯირქს დაყრდნობია და ცხემლის ხისგან ცულის ტარს აკეთებს. თანაც საყვედლურობს ლევანს, კაცმა უმაღლესი დაამთავრა და წესიერად ცულის ხმარება არ იცის, უკვე მერამდენედ გამიტეხა ტარიო. ლევანი მისი შვილისშვილია. რამდენიმე წლის წინათ დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, ჯერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თავის სოფელში, ახლა პარტიულ სამუშაოზეა რაიონში. ბაბუასა და ბადიშს ერთმანეთთან თითქმის ნახევარი საუკუნე აშორებს. ისინი ხშირად კამათო-

ბენ ცხოვრებისეულ საკითხებზე.

— ჩემთვის რომ დაგეჭრა და დროზე დაქორწინებულიყავი, ახლა ბადიშის ბადიში მეყოლებოდა, — საყვედლურობს მოხუცი შვილის შვილს ლევანი ფარ-ხმალს ჰყრის, თვითონაც ნანობს, მაგრამ რაღა დროს?! „თავს სინანული სჯობია, ბოლო უამს დანანებასაო“ — იმეორებს თავის-თვის.

— კი, შვილო, თავს სინანული სჯობიაო, თქვა ბრძენმა. კარგია, რომ იცი ეს ყველაფერი, მაგრამ სიბრძნეს და ცოლნა-გამოცდილებას მაშინ აქვს ფასი, როცა მას ცხოვრებაში მოიხმარ. ისე, იგი მიწაში ჩაფლულ ოქროსავით უსარგებლოა.

მე დავინტერესდი, როგორ მიიღო მოხუცმა, სოფელმა რომ ხევისბერი შეარქვა, და შემპარავად ვკითხე — სოფლის კლუბში თუ დაღიხარ-მეთქი.

ომერი წუთით გაირინდა. რა თქმა უნდა, მიმიხვდა ჩანაფიქრს. ძალიან შორიდან დაიწყეო, — მითხა, — ალბათ გაინტერესებს ჩვენს სოფელში ხევისბერი გოხას კინო თუ გაუშვესო. ხევისბერი ჩვენ კინოშიც ვნახეთ და წიგნებშიც მიკითხავენ ბაღნები. ღმერთმა აცხონოს მაგისი დამწერი. ნამდვილი ბრძენი და მწერალი ეგ ყოფილა. სოფლის და ქვეყნის მოლალატის დანდობა მეორე ღალატია. სულ ერთია რამ ჩაადენინა ღალატი. ხევისბერის განაჩენი შვილის მიმართ სავსებით სამართლიანია და ასე მხოლოდ დიდი სულის ადამიანები. იქცევიან. ასე რომ არ ყოფილიყო, იმდენი მტერი ეხვია თავს ჩვენს მიწაწყალს, რომ ახლა ალბათ გაღაშეხებულიც კი ვიქენებოდითო.

შემდეგ მოხუცმა გიორგი სააკაძე ახსენა. ღიღი კაცი ყოფილა, მაგან დაიტრაბახოს კაცობაც და ხალხის შვილობაცო. კინოშიც ხომ შეუდარებელია, პირდაპირ შეგშურდება, იტყვი გულში ნეტავი. იგი ახლა მე ვიყოვო. ასეთი აღამიანი ხალხსაც შეგაყვარებს და ქვეყანასაც. რა ერქვა იმ ბიჭის? ჴო, პაატა! საწყალი ბიჭი! საწყალი კი არა, ბეღნიერი! მარად ცოცხალი დარჩა თავის მამულში. იგი კარგი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისათვის. მსგავსი ადამიანები ჩვენს დროშიც არიან.

სამშობლოსათვის თავისი ხელით განგმირა ხევისბერმა საკუთარი შვილი ონისე. საქმარისი იყო პატარა შეყოვნება და ხალხი აპატიებდა. კარგად იცოდა დიღმა მოურავმა, რა მოელოდა შაპ-აბასის კარზე პაატა. რომ მძევლად ტოვებდა, მაგრამ სამშობლოს ანაცვალა შვილი.

— ახლა, როცა საბჭოთა არმიაში ვაცილებთ ბაღნებს, — განაგრძობა მოხუცი, სულ ხევისბერი მაგონდება, მინდა ყველას დავუბარო, არ დაგავიწყდეს ვისი გორისაც ხარ მეთქი. რა დასამალავია და ზოგიერთები, უფრო მეტად „დიდი მამების“ შვილები თავს არიდებენ სამხედრო სამსახურს, მათი წყალობით ჩრდილში სხედან და თუთუნს აფუტებენ. მე რომ

შეითხონ, ამფერ ახალგაზრდებს არც კომევშირში მივიღებ და არც სამსა-
ჭურში. მათ მფარგელ „დიდ მამებს“ კი კიბის ბოლო საფეხურზე მივუჩე-
ნდი ადგილს.

თქვენ მთელი სოფელი ხევისბერს გეძახის მეთქი რომ ვუთხარი, წვე-
რზე ხელი ჩამოისვა და ჩაიქირქილა — პირში მთქმელი ვარ და ამიტომ.
ბევრისთვის მოურიდებლად მიხლია მწარე სიმართლე. ბოროტებას ჩასახ-
ვისთანავე უნდა ააჭრა ფეხსვები, თორემ მიწაში თუ გაერთხო, მერე მოგ-
ჭამა ჭირი, ძნელია მისი ამოძირვაო.

ჭვანელ ხევისბერს მაინცდამაიც არ უყვარს წარსულის გახსენება.
ხშირად აბეზრებენ თავს კითხვებით. „რამდენი წლისა ხარ?“ „ჯამეში თუ
გვილია?“ „ომში თუ ყოფილხარ?“ „როგორ ცხოვრობდით ძველად?“
„ხარ თუ არა ცხოვრების კმაყოფილი?“, „რომელი იყო ყველაზე ბედნი-
ერი წელიწადი თქვენს ცხოვრებაში?“, „ეწევით თუ არა თამბაქოს?“ და
სხვა ამგვარი ჭირვეული კითხვებით გულს უწყალებენ მოხუცს. ამას წი-
ნათ რომელიღაც გაზეთის-კორესპონდენტს უკითხავს კიდევ რამდენ ხანს
აპირებ სიცოცხლესო. ცოტა არ იყოს, სწყენია, მაგრამ არ შეუმჩნევია,
ჩემი ხნის რომ გახდები, მაშინ მოდი და გიბასუხებო, უთქვამს. შემდეგ
დაუმატებია, თუ თუთუნს და ლვინოს არ მიეძალები, ჩემი ხნის გახდები,
და თუ ფიზიკური მუშაობა არ გეზარება — ორი ჩემი ხნისაო. მე ასი
წლისა ვარ, ასე ამბობენ სოფელში, თუმცა ჩემი დაბადება ვინმეს არ
ახსოვს. ერთ ას წელიწადს კიდევ ვაპირებ ამ ქვეყანაზე ყოფნას, რას და-
ვუშლი ამ ლამაზ ცას და მიწას; ყანა-ბოსტანს მივწედავ, ბოჭინარში გავალ,
ტყეში შეშას დავამზადებ, ხინოში და უანივრში ვივლი, სკას მივხედავ.
ბევრი საქმეა გასაკეთებელი, ბევრი. ლევანი სულ სამსახურშია გასული.
ლეილაც სკოლაში ასწავლის, აგიტატორიც არის, სახლ-კარის პატრონიც
და მზრუნველიც. დღე-ღამ მისი მშობლების ლოცვაში ვარ, კეთილი და
მზრუნველი რძალი მყავს. ცოტა გვიან, მაგრამ კეთილად გაულიმა ბედმა
ჩემს ლევანს... ჰო, იმას ვამბობდი, ვიქნები და ვუყურებ ამ ლამაზ ქვეყა-
ნას მეთქი, ვუყურებ პერანგას და კარას მთებს, გაღმა ბოჭინარს და წყა-
როთას... თერნალს გაღმა რამდენი ხანია ლალუმებს აფეთქებენ, თურმე
ტელევიზორის ანტენას აკეთებენ... ჰოდა, მეც ვუყურებ ტელევიზორს და
ქვეყანას. ზაფხულში ბათუმში ვიყავი და იქ ვნახე, მთელი მაღრიბის და
მაშროყის ამბავი ილაპარაკა. აგერ ახლა იყო, რომ ბახმაროს დავდიოდით
დოლის საყურებლად. ახლა კა ოთახში, რბილ სკამზე მოკალათებული შე-
ვყურებ დოლსაც და მარულასაც, ძველებური ჭიდაობაც ვნახე... სულიკო
რომ იმღერეს, ცრემლები მომაღგა თვალებზე, აღარ ვიცოდი რა მექნა.
ჩემდაუნებურად მეც შევებანე, მარა მასპინძლის შემრცხვა და უმალ გავ-
ჩუმდი. ჩემი გაბზარული ხმა რაფერ მიეტოლებოდა იმათ ხავერდივით
ხმას. მაინც რა ტკბილად მღეროდნენ ის დალოცვილები. ჩემმა ნათესავმა

მასპინძელმა მითხრა რამდენიმე დღეს დარჩი და „ხასანბეგურასაც“ მოგასმენინებო. ხასანბეგურას გაგონება კი მინდოდა მარა, ბალნები მომენატრენ და დარჩენა ვერ შევძელი.

ჭვანელებს რომ ჰკითხოთ მათი „ხევისბერის“ ასაკი, ყველა დაგიდასტურებს — ასი წლისაა. ათი წლის წინ რომ გეკითხათ, მაშინაც ასე გიპასუხებდნენ, აღბათ მომავალშიც ასე იტყვიან. სინამდვილეში ომერ ტაკიძე ახლა ოთხმოცდაცამეტი წლისაა — ოთხმოცდაცამეტი ახალი წელი, ოთხმოცდაცამეტი გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი... ხუმრობა ხომ არ არის!?

როგორც ვთქვი, ომერს არ სიამოვნებს წარსულზე ლაპარაკი, მაგრამ დიდი ხალისით და გატაცებით გვიყვება ახალი ცხოვრების დამკვიდრების დღეებზე, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში რომ ეყრებოდა საფუძველი.

სოფელ ცივაძეებში მეფის მთავრობის დამხობის ამბავი რომ მოვიდა, ომერი მაშინ ორმოცს მიტანებული კაცი იყო. ისიც ახსოვს, როგორ დაეპატრონენ მენშვიკები საქართველოს, როგორ თარეშობდნენ ბათუმის ხელში ჩასაგდებად ოსმალო და ინგლისი. ახსოვს საქართველოში ახალი ხელისუფლების დამყარებაც და სოფლად ახალი კაცების გამოჩენაც. ომერი ერთ-ერთი პირველი იყო მისი სოფლიდან, ხიჭაურში რომ შეეგება გოდერძიდან მომავალ წითელ არმიას.

ვუსმენ ას წელს მიტანებულ ბერიკაცს და მსიამოვნებს მისი ძარღვიანი ქართული, ცალკეული ეპიზოდებისა და მოვლენების ოსტატური თხრობა.

ომერს ახარებს, რომ სოფელს კარგი აღამიანები ჰყავს, რომ უყვართ გარჩა. ერთ კაცს შეუძლია სოფლის ავსებაც და დაგვებაცო. ისეთებიც გვირევია, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, სახლში რა წაიღონ, სოფლის ჭირვარამს კი არად აგდებენ. აგერ, ჩვენი სიმონ ქარცივაძე რომაა, ყველა რომ მასავით ერთგული მშრომელი და მზრუნველი იყოს სოფლისათვის, ახლა ჩვენს ჭვანის თემს ვერცერთი თემი ვერ შეედრებოდათ. კარგად მახსოვს, ომი ახალდამთავრებული იყო, სოფლის საბჭოს არჩევნები რომ ტარდებოდა. ლომანას ბალანა საბჭოს თავმჯდომარედ რომ დასახელეს, ტაში დავუკარი, მარა გულში გავითიქრე, ამ პირტიტველა ბიჭმა რა უნდა ქნას, როგორ უნდა გალძლვეს ამხელა სოფელს და ამდენ ხალხს მეთქიმაგრამ ხალხი ბრძენია, არჩევანში იშვიათად შეცდება... გამართლა კიდეც ამ პირტიტველა ბიჭმა; გაიზარდა, გამოიწროთ, კარგი ვაჟკაცი დაღგა. ერთხანს ავადმყოფობამ შეუტია, მარა ვერ მოერია, სიკეთემ აჯობა. ახლა სიმონს მთელ რაიონში იცნობენ. თითქმის ოცდახუთ წელიწადს ემსახურა სოფელს, კარგი თავკაცი იყო, გამგები, შრომისმოყვარე, მომსმენი და მომთმენი. მოთმინება, შვილო, კარგი თვისებაა. ამიტომ უყვარდა იგი ხალხსაც და მთავრობასაც. ორდენებით დააჯილდოვეს და პენსიაზეც გაა-

ცილეს. ახლა სოფლის გზებს უვლის — ზოგან აფართოებს, ზოგან ახალი გაჰყავს. და განა მარტო ჩვენი სიმწინი, რომელი ერთი ჩამოგიოვალოთ?!

გუშინ რომ პატარა ჩანთებით სკოლაში დადიოდნენ, ახლა თუთუნის და ყურძნის, სიმინდის და კარტოფილის უხვი მოსავალი მოჰყავთ. მათ ამბავს გაზეთებში მიკითხავენ ბალნები. რამდენიმე მათგანის სურათიც იყო დანატული. ერთი სიტყვით, იშრომებ — კარგად იცხოვრებ, ხალხი დაგაფასებს, მთავრობა დაგაფასებს, დაგაჯილდოებს, ბოლოს პენსიის მოგცემს.

ზანტი და ზარმაცი არც ღმერთს უხარია და არც მთავრობას, არც სოფელს უყვარს და არც ოჯახს.

ამ საუბარში ვიყავით გართული, რომ თავს ასე 12-13 წლის წითელყელსახვევიანი გოგონა წამოგვადგა.

— ეს ჩემი ლევანის ციცაია, ლიანა ჰქვია, მეექვსე კლასში იარება, მასწავლებლები აქებენ, კაი ნიშნები აქვსო, — ამიხსნა მოხუცმა. მერე ლიანას ჰქითხა რამდენი გაკვეთილი გამოვიდა.

— დღეს ექვსი გაკვეთილი გვქონდა, — უპასუხა გოგონამ.

— კარგი ხანი გასულა, ალბათ თავი მოგაბეჭრე ლაპარაკითო, — თქვა და ორი საათის წინ დაწყებული საქმე განაგრძო.

მე რომ არ მოვსულიყავი, ახლა ეგ ცულის ტარი მზად გექნებოდა მე-თქი, ვუთხარი.

— არა უშავს, კიდევ მოესწრება, სათქმელი და სალაპარაკო ბევრი გვაქვს. ამელამ ჩვენთან დარჩი. საღამოს ლევანი დაბრუნდება და ზოგ რამეს ისიც მოგიყვება.

ჩვენ თქვენი საუბარი გვაინტერესებდა, თორემ რასაც ლევანი მოგვი-ყვება, ის ჩვენც კარგად ვიცით მეთქი. გამომშვიდობებისას ხევისბერს აღვუთქვი, ასი წლის რომ შესრულდები, შვილისშვილის შვილებთან — ლიანას, ვერიკოს და იაგოსთან ერთად სურათს გადაგიღებ და გაზეთში გამოვაქვეყნებ მეთქი.

— ჩემი არა და ბალნების სურათი რომ ვნახო გაზეთში, მართლა გამიხარდებაო, — თქვა და მშვიდობით მგზავრობა მისურვა.

* * *

რაიონის ცენტრში ტაქსი ვიხმე. ოლადაურში მივდივარ მეთქი.

მძღოლი ჭერ შეიშმუშნა, მხრები აიჩეჩა, ერთი ამხედ-დამხედა, ვგონებ უცხო კაცად შემიცნო.

— ახლახან რედაქციის ერთ მუშაქს უარი ვუთხარი, ოლადაურის გზებზე ხშირი აღმართებია, ჩემი მანქანით გამიჭირდება ასვლა მეთქი, მაგრამ ვცადოთ, იმ პირობით, თუ გამიჭირდა, დავბრუნდები.

ასე იყოს მეთქი და უკანა სავარექლში მოვიყალათე. ხუთი წუთის შემდეგ ვიწრო ხეობით შევუდექით მიხვეულ-მოხვეულ გზას.

ტაქსის მძღოლი ჩემი ვინაობით დაინტერესდა, გამომკითხა რა საქმე-

ზე მივდიოდი და ვისთან. ვუთხარი ოლადაურში ერთი ჩემი სტუდენტობის მეგობარი ცხოვრობს და ქორწილში მეპატიუება მეთქი. მძღოლის ცნობისმოყვარეობა უფრო შორს წაიდა. გამომკითხა, სად მუშაობო, ხელფასი რამდენი გაქვს და თუ გყოფნისო. მე დავაკმაყოფილე შისი ცხობისმოყვარეობა, ოლონდ ჩემი სამსახურის შესახებ კრინტი არ დამიძრავს. მერე მე ვკითხე ხელფასი რა გაქვს და რამდენს აკეთებ მეთქი. ადრე ქალაქში დავდიოდით და საკმაოდ კეთდებოდა ფული, ახლა გვიკრძალავენ, რაიონს უნდა მოემსახუროთო. ჯერ კარგი აზანდებია და კიდევ არაუშავს, ზამთარში სულ ხელფასზე ვრჩებითო.

მე კი ზამთარშიც და ზაფხულშიც ხელფასზე ვარ მეთქი, რომ ვუთხარი, ერთი უკან მომიხედა და გზა განაგრძო. ისე ავედით ოლადაურამდე, ხმა აღარ ამოუღია.

ოლადაური საქმაოდ დიდი მანძილითაა დაშორებული რაიონული ცენტრს, შორეულ მთებს შეჰვენია და ირგვლივ ღრმა ხეობებით დასერილი მაღალი მთები აკრავს. აქედან სულ ახლოსაა ალპური ზონა. როცა სამხრეთით მდებარე ღრმა ხეობიდან ახდავ, გეგონება ცის კალთებზეა გაშლილი ღრუბლებთან ერთადო.

პირველი შეხედვისთანავე სოფლის ცენტრი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ყველაფერს ატყვია ადამიანის ხელი. სოფელი განთქმულია უხემოსავლიანობით და გამრჩე ადამიანებით. კოლმეურნეობა ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყო.

ახალგაზრდა კაცია კოლმეურნეობის თავმჯდომარე იოსებ კაკელიძე. ბევრი გადაუდებელი საქმის მიუხედავად ბრიგადებში გამყვა და მეგზურობა გამიწია. ახალშემოერთებულ სოფლებში მაწყვალთასა და კარაპეტში წამიყვანა. ყველგან, ოლადაურშიც და მაწყვალთაშიც დახურულია სახლის კარები და ეზოს ჭიშკრები, დიდი და პატარა სამუშაოდაა ჯაკრეფილი.

— ეს ნათელა ფუტკარაძის ნაკვეთია. მუყაითი გოგონაა და კარგადაც უვლის. 800 კილოგრამი თამბაქოს მოყვანას გვპირდება. ეჭვი არ მეპარება, რომ გაანალდებს ვალდებულებას. მოწინავეები სხვებიც გვყავს. კოლმეურნეობები რომ შეერთდა, დამფუძნებელ კრებაზე მერი ქარცივაძე სიტყვით გამოვიდა. წელს გაორკეცებული ენერგიით უნდა ვიშრომოთ, წინა წლებში მოპოვებულ წარმატებათა ზღვარს თუ არ გავცდით, შეერთებას რაღა აზრი ექნებაო, იქვე გადიდებული ვალდებულება აიღო და სხვებსაც მოუწოდა. ჩვენი სოფლის შუქურები არიან ალი ფუტკარაძე და იღრის ნაკაიძე, ნაზიკო კეკელიძე და ლამარა ნაკაიძე, ეთერ მაკარაძე და მრავალი სხვა, — გვიამბობს თავმჯდომარე.

მისი ნამბობილან ზოგი რამ ბლოკნოტში ჩავინიშნე და რამდენიმე შეკითხვა მივეცი: მუშაობაში ხელს ხომ არ გიშლის რამე?

— მართალია, საგანგაშო არაფერია, მაგრამ ხელისშემშლელი პიროვნებიც არის. რომ არ ვთქვა, უბრალოდ თავს მოვიტყუუბდი და ის იქნებოდა. მაგალითად, ჩვენში ჯერ კიდევ შრომის მექანიზაციაზე ლაპარაკი ზედმეტია. რამდენიმე სატვირთო ავტომანქანა გვაქვს, მაგრამ ხშირად უმოძრაოდ დგანან. ხშირად არ გვაქვს საწვავი მასალა, სათადარიგო ნაწილებზე და საბურავებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მე და იოსები მაწყვალთიდან ოლადაურში გვიან საღამოს დავბრუნდით. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე შალვა ქარცივაძეც დაბრუნებულიყო რაიონიდან, კარტოფილით დატვირთული 30-მდე სატვირთო ავტომანქანა გავაცილეთ ქალაქისაკენო. აქეთ რომ მოვდიოდი, გზაზე მეც შევხვდი მეთქი, ვუთხარი. „სოფელი — ქალაქს“ — ასეთი ტრანსპარანტებით დაიძრა ბათუმისაკენ მანქანების კოლონა.

კარგი სოფელი გაქვთ მეთქი, ვუთხარი შალვას.

— ოთხი ათეული წლის წინ სოფელს სულ სხვა სახე ჰქონდა, — საუბარში ჩაგვერია მაწყვალთის საშუალო სკოლის დირექტორი აკაკი მაკარაძე, — ახლა რომ ორსართულიანი ოდა-სახლებია წამოჭიმული, ძველად მას გლეხი სიზმრადაც ვერ ნახავდა.

— სიზმარში ოდა-სახლი კი არა და ბროლის კოშკიც მინახავს, — ზუმრობს იოსებ ქეკელიძე.

საღამო უამს კანტორასთან თითო-ოროლა კაცი გამოჩნდა, ზოგს თავმჯდომარესთან ჰქონდა საქმე, ზოგიც ბიბლიოთეკაში მოვიდა წიგნების გამოსაწერად. აკაკი მაკარაძემ მხცოვანი პოეტის ნესტორ მალაზონიას ლექსი გაიხსენა, ოლადაურელები ხშირად ვმღერით, დავამუშავეთ და ჩვენი კულტურის სახლის თვითმოქმედი ანსამბლის რეპერტუარს წინ წავუმდოვარეთო.

მზე რა ხანია ხანჯლის პირივით ალესილ მთებს შორის ჩაესვენა. გამოვდივარ სოფლიდან და კიდევ ერთხელ გავყურებ შემოგარენს. საიდან დაც სიმღერის ხმა მომესმა. ნაცნობი სიტყვები იყო და სმენა ღავტაბე:

„ხევს გადივლი, მთებს გადივლი,

ნაძვებს ფიქრებს გაუშლი,

არც დალლილი, არც დახრილი,

შეხვალ ოლადაურში.

შეხვალ, მაგრამ ვერ გამოხვალ,

გული გეტყვის დარჩიო,

ასეთ სოფელს ვერსად ნახავ,

ათაცში რომ არჩიო.“

ტკბილი ქართული მელოდია და ნეონის შუქით გაჩირალდნებული ხოფელი მაღლა, ღრუბლებთან დარჩა. მე კი მიხვეულ-მოხვეული გზებით ქვემოთ, ღრმა ხეობისაკენ დავეშვი.



ჯემარ ნაკაშიძე

საქ. ალკე აჭარის საოლქო
კომიტეტის პირველი მდივანი

ქართველი მეთუზიაზმით

ჩვენი პარტიის 24-ე ყრილობის დოკუმენტებში შემდგომი განცითარება პარტია ლენინურმა იდეამ, რომ კომკავშირი მოვალეა კიდევ უფრო განამტკიცულს თეორიისა და პრაქტიკის კავშირი, აღზარდოს ახალგაზრდობა კომუნიზმის საქმისათვის თავდაღებულ მებრძოლად. „შრომისადმი პატივისცემისა და სიყვრულის სულისკვეთებით ჭაბუკთა და ქალიშვილთა აღზრდა, — თქვა ლ. ი. ბრეუნევმა საკავშირო ლენინური კომკავშირის მე-17 ყრილობაზე, — მუდამ იყო და არის კომუნისტური პარტიის უწიშვნელოვანების საზრუნავი და ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. ეს დიდი სახელმწიფო ძრობრივი საკითხია. მისი სწორი დაყენებით და გადაწყვეტით დაინტერესებულია ყველა შრომითი კოლექტივი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სკოლა და ოჯახი, იგი ეხება მილიონობით ადამიანთა ბეჭედს, უფრო მეტიც, ჩვენი წყობილების მომავალს.“

დღეს ახალგაზრდობის შრომითი აღზ-

რდა ითვალისწინებს საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამკიცებულების აღზრდას, ღრმა პატივისცემას ხალხისადმი, ქალიშვილებისა და ჭაბუკების ჩამდას პრაქტიკულ საქმიანობაში, დახმარებას ცხოვრებაში ადგილის ნახვისათვის, ახალგაზრდა მუშაյთა შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტიურობის ამაღლებას სახალხო-სამეცნიერო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებისათვის, შრომის ნაყოფიერებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის. შრომისადმი კომუნისტური დამკიცებულების აღზრდის საფუძველს წარმოადგენს ჭაბუკებისა და ქალიშვილების მონაწილეობა კომუნისტურ მშენებლობაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, მე-9 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში ენიშვნელოვანი

წვლილი მიუძღვით აჭარის სახელოვან
ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. ჩვენი რეს-
ტუბლიკის ახალგაზრდობა წეუძღლია იდ-
მაყოს, რომ პარტიის მიერ დასახულ ამ-
ოცანას იგი კარგად ართმევს თავს.

მოვიტან დამახასიათებელ მაგალი-
თებს.

ახლა აჭარის მრეწველობაში, მშენებ-
ლობასა და ტრანსპორტზე, მომსახურე-
ბის სფეროში დასაქმებულ მუშათა 45
პროცენტზე მეტი 30 წლამდე ახალგაზ-
რდობაა, 46 პროცენტი დასაქმებულია
უშუალოდ მატერიალური წარმოების
სფეროში, 20-ათასამდე ახალგაზრდა
შრომის სოფლის მეურნეობაში, მათ
წამყვანი აღგილი უკავიათ საკოლმეურ-
ნეო მინდვრებსა და მეცხოველეობის
ფერმებში.

1974 წლის გეგმა აჭარის 4.500-მდე
ქალიშვილმა და ჭაბუკმა ვადაზე ადრე
წესრულა, 1.550 ახალგაზრდა მე-10
ხუთწლედის ანგარიშში შრომიბდა, 57
კომერციულ-ახალგაზრდულმა კოლე-
ქტივმა უკვე უპატაკა სამშობლოს მე-9
ხუთწლიანი გეგმის მთლიანად შესრუ-
ლება.

არ შეიძლება სიამყისა და მადლიე-
რების გრძნობით არ განიმსჭვალო აჭა-
რის ახალგაზრდა მეჩაიერების მიმართ,
რომლებმაც შარშან სამშობლოს მისცეს
30 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“. მათ
არც მეციტრუსე ქალიშვილებმა და ჭა-
ბუკებმა დაუდეს ტოლი მ.თი თავდაწე-
ბული შრომის შედეგია ის, რომ რესპუ-
ბლიკამ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით
შეასრულა ციტრუსოვანთა ნაყოფის და-
შზადების სოციალისტური ვალდებულე-
ბა. ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდები
სახელოვნად აგრძელებენ საუკეთესო
შრომით ტრადიციებს და მხოლოდ სა-
ზოგადოებრივ შრომაში ხედავენ პარ ად
ბედნიერებას, თავიანთ მოქალაქეობრივ
მოვალეობას.

როდესაც ანალიზს ვუკეთებთ მიღწე-
ულ წარმატებებს, თვალნათლივ ვხე-
დავთ, რომ მისი მთავარი ბერკეტი, წა-
რმატებათა, საწინდარი სოციალისტური

შეჯიბრება იყო და არის.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების
გარიყრაზე ვ. ი. ლენინს კომუნისტურ
შაბათობებში დაინახა შრომისადმი ახა-
ლი დამოკიდებულების ყლორტები.
„ესაა შემობრუნების დასაწყისი, უფრო
ძნელი, უფრო არსებითი, უფრო საფუძ-
ვლიანი, უფრო გადაწყვეტი, ვიდრე
ბურჟუაზის დამარცხება. როცა ეს გა-
მარჯვება იქნება დამთავრებული და ახ-
ალი სოციალისტური დისკიპლინა იქნება
შექმნილი, კომუნიზმი მხოლოდ მაშინ
იქნება დაუმარცხებელი“.

ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში „საბ-
ჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანე-
ბი“ მცირდოდ აკავშირებდა სოციალის-
ტური შეჯიბრების ორგანიზაციას შრო-
მის ნაყოფიერების ზრდასთან, დისკიპ-
ლინის განმტკიცებასა და შრომის ორ-
განიზაციის გაუმჯობესებასთან.

სოციალისტური შეჯიბრების მონაცი-
ლეთა პირველ რიგებში ყოველთვის იდ-
გა საბჭოთა ახალგაზრდობა, მისი მოწი-
ნავე რაზმი ლენინური კომკავშირი. კო-
მკავშირი იყო არა ერთი და ორი პატრი-
ოტული წამოწევების ინიციატორი.

სოციალისტური შეჯიბრება ახალი სა-
ზოგადოების მშენებლობის მეთოდია,
იგი ემყარება ექსპლოატაციისაგან თვი-
სუფალ მუშაკთა ამხანაგურ თანამშრომ-
ლობას და ურთიერთდაცხმარებას. სოცი-
ალისტური შეჯიბრების გაშლის მთავარი
საფუძველია ლენინური პრინციპები: სა-
ზორობა, შედეგთა შედარება, მოწინა-
ვე გამოცდილების პრაქტიკულად გან-
მეორების შესაძლებლობა და მოწინავე
მაგალითების მსამარივად გავრცელება.
საჯარობა გულისხმობს თითოეული
მოწინავე მუშაკის მიღწევის გადაქცევას
საზოგადოების უვალა წევრის კუთვნი-
ლებად.

მოწინავე გამოცდილების პრაქტიკუ-
ლად განმეორების შესაძლებლობა და-
კავშირებულია ახალი ტექნიკის დანერ-
გვასა და ტექნოლოგიურ პროცესთა
სრულყოფასთან, საზოგადოებრივი წარ-
მოების ინტენსიფიკაციისთან და მისი
ეფექტურობის ამაღლებასთან, საწარ-

მოს შინაგანი რეზერვების გამოვლინებასთან. მოწინავე მაგალითების მასობრივად გავრცელება ნიშავს ჩამორჩენილთა აკვანას მოწინავეთა ღონებდე, შრომის ინტეგრაციას გონებრივი მუშაობის წილის ზრდის საფუძველზე, ახალ პროექტისათვის წარმოშობის, პროფესიის შინაგანის გამდიდრებასთან ერთად. სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის პრინციპები ერთმანეთისგან მოწყვეტით კი არ არსებობს, არამედ ერთ მთლიანობაშია და ურთიერთს განაპირობებს.

ახალგაზრდობის შემოქმედებითი აქტიურობა და ინიციატივა ვლინდება სოციალისტური შეჯიბრების საგადასხვა ფორმებში. სოციალისტური შეჯიბრება ქმნის მათი ფიზიკურა და სულიერი ძალების ყოველმხრივი განვითარებას ძირიბებს. იგი საბჭოთა ხალხის შრომითი აქტიურობის ზრდას უშრეტ წყაროს წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული: მშრომელთა მიერ იმის შეგნება, რომ ისინი მუშაობენ არა ექსპლოატატორებისათვის, არამედ თავიანთვის, თავიანთი საზოგადოებისათვის, წარმოშობს შრომით ენთუზიაზმს, ნოვატორობას, შემოქმედებით ინიციატივას, მასობრივ სოციალისტურ შეჯიბრებას. სოციალიზმი მშრომელი მასების ცოცხალი შემოქმედებაა. ახალი ცხოვრების მშენებლობაში ხალხის მასების აქტიურობის ზრდა სოციალიზმის ეპოქის კანონია.

სამეურნეო ხელმძღვანელობის სრულყოფამ, რომელიც ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მრგველობის ხელმძღვანელობის ახალ პრინციპებზე აგებამ, ეკონომიკური სტიმულირების უფრო ფართოდ გამოყენებამ, წახალისების ფარდების შექმნამ მძლავრი ბიძგი მისადასტური სოციალისტური შეჯიბრების: განვითარებას. ეკონომიკურმა გარდაქმნებამა დართო ასპარეზი გაშალა მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინე-

ბისათვის და თავის მხრივ მოითხოვა სოციალისტური შეჯიბრების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, პირველ რიგში კი მისდამი ხელმძღვანელობის უმდგრომი გაუმჯობესება.

კომუნისტური მშენებლობის პროცესში სოციალისტური შეჯიბრება ახალგაზრდობის აღზრდის შესანიშნავ სკოლად იქცა.

შრომითი კოლექტივი, ეს ის გარემოა, სადაც ყოველდღიურად მიმდინარეობს აქტიური, შეგნებული, კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდის პროცესი. ადამიანები ეწევიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, ცწავლობენ მის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას საზოგადოების წინაშე. ერთობლივ შრომაში მათ უმუშავდებათ ურთიერთდახმარებისა და მუგბობრიბის გრძნობა, ამხანაგების აზრისადმი ანგარიშის გაწევის უნარი. კოლექტიუმში ახალგაზრდას უმუშავდება შეგნებული დისკიპლინა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, ხდება მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებისა და პორალური თვისებების ფორმირება.

ახალგაზრდობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის მნიშვნელობა განისაზღვრება იმ როლითაც, რომელსაც კალივილები და ჭაპურები ასრულებენ სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში. ახალგაზრდობა ერთობლივი სამუშაო ძალის ზრდისა და აღწარმოების ბუნებრივი წყაროა. აპარის სახალხო მეურნეობაში ყოველწლიურად ათასობით ახალგაზრდა მოდის.

შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ ჩევნენს ჩესპუბლიკური სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების 55-60 პროცენტი ახალგაზრდობის ხელით იქმნება. ამის ნათელი დადასტურებაა სარეკორდო მოსავალი, რომელიც პარშან მეჩაიე და მეციტრუსე ქალ-ვაჟებმა მიიღეს.

კომერციულის აპარის საოლქო ორგანიზაციის 34-ე კონფერენციაზე მიღებული იქნა „კომერციული ორწლედი“. პარ-

ტირსა და საბჭოთა ხალხისადმი სკეპტიკულისტები კომიტეტის მიმართვის ცენტრალური სამიტეტის მიმართვის ცასუხად ხუთწლების დარჩენილი ორი წელი, 1974-1975 წლები, აქარის კომპანიის მშენებებისა და ახალგაზრდების გამოაცხადეს „კომპანიის მოწოდებული დამკერელურად“. ისინი მოწოდებული ყველა ახალგაზრდა მშრომელს, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მოძრაობაში: „ხუთწლებს ახალგაზრდობის დამკერელური შრომა, ისე ტატობა და ძიება!“ და „ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში!“ ამ მოძრაობაში ჩაება 30 ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშა და კოლმეურნე.

„კომპანიის მოწოდებული ორწლებით“ აჭარის ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა აიღეს ვალდებულება სახელმწიფოს ჩაბარონ 55 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 35 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნუკოფი, 2.600 ტონა თამბაქო, გადაჭარბებით გაანალიზონ ხორცის, რძის, კარტოფილისა და ბალჩული კულტურების დაშავების სახელმწიფო გეგმები.

კომპანიის მოწოდება არგანიზაციებმა ღრმულად დაიწყეს მზადება უხვი მოსავლის მისაღებად. აღრე გაჩაუკულზე, მარტის პირველი რიცხვებიდან კომპანიის კომიტეტების ხელმძღვანელობით ჩაის პლანტაციებში გაჩაღდა სოციალისტურა შევგებრება. საგზაფხულო სამუშაოების ვადაზე აღრე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებოდა 35 კომპანიის ახალგაზრდული ბრიგადა, ამდენივე ახალგაზრდული რგოლი, 3.500-ზე მეტი კომპანიის და ახალგაზრდა. კომპანიის კომიტეტებმა თავიდანვე განსაზღვრეს მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა საშუალებები, ახალგაზრდობას გააცნეს კომპანიის აჭარის საოლქო და რაიონული კომიტეტების მიერ დაწესებული ჯილდოები.

შეჯიბრებაში თავიდანვე დაწინაურდა კომიტეტის რაიონის წყავროვას კოლმეურნეობის კომპანიის მოწოდებული ბრიგადა, რომელსაც თებურ ქათამაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 10

აპრილისათვის მთლიანად გადაბარა მოსავლელად მიმაგრებული 30,5 ჰექტარი ფართობი და ნიადაგში შეიტანა 13 ტონა ორგანული და მინერალური სასუქის მიმდენი როგორც მოუკლი მიწას, მოსავალიც ისეთი იქნებაო. თუ არა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, ძნელია ამ ბრიგადას მოეკრიფა და სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა 796 ტონა „მწვანე ოქრო“, ნაცვლად ხუთწლებით გათვალისწინებული 641 ტონისა.

თ. ქათამაძის ბრიგადაშ დაიმსახურა რაიონული კომიტეტის მიერ დაწესებული სოციალისტური შრომის გმირის ემინე ზაქარიაძის სახელობის გარდამავალი პრიზი და ფასიანი საჩუქარი.

კომპანიის ახალგაზრდულ რეოლებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ქობულეთის რაიონში, გამარჯვებული გამოვიდა ციხესიმირის კოლმეურნეობის კომპანიის ახალგაზრდული რგოლი მზევინარ მანელიშვილის ხელმძღვანელობით, რომელსაც რაიონულ კომიტეტთან არსებული სოციალისტური შეჯიბრების კომისიის გადაწყვეტილებით გადაეცა სოციალისტური შრომის გმირის ქეთევან გოგიტიძის სახელობის გარდამავალი პრიზი და ფასიანი საჩუქარი.

სოციალისტური შეჯიბრების ფორმიბრომელიმე სოფლის ან რაიონის ფარგლებით როდი შემოიზღუდა. კარგა ხნის ისტორია აქვს ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის ი. ბ. სტალინის სახელობისა და ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნეობათა ახალგაზრდობის სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც ნამდვილ შრომით პაექრობაში გადაიზარდა. ხრამია დელებაციების გაცვლა შეჯიბრების შედეგების ცეკვების დროს. დაწესებულია სახელობითი ვიმბელები და სხვა ჯილდოები. აქ შეჯიბრება ნამდვილ ძალასა და ქმედობას იძენს, რაღაც თანმიმდევრულად ხორციელდება მისი თრგანიზაციის ლენინური პრინციპები.

მეჩაიეთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ქობულეთის რაიონის

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშამ, საქართველოს კომკავშირის 30-ე ყრილობის დელეგატმა უზუუნა თავდგირიძემ, ხელვაჩაურის რაიონის მახოს კოლმეურნეობის. წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ე. მალაუმაძემ, შრომის წითელი დროშის ორდენისანმა ახალშენელმა ნ. ჭინკაიძე, განთიადის კოლმეურნეობის მეჩაიემ, ღანინის არდენის კავალერმა ეთერ გამულაძემ, საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომიტის წევრმა, გონიოელმა ნარიკ ბარაშიძემ და სხვებმა.

კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დაისვა ამოცანა გაშლილიყო შეჯიბრება არა მარტო რაოდენობისათვის, არამედ ჩაის საუკეთესო ხარისხისათვისაც. ეს ამოცანა გამომდინარეობდა საკავშირო ლენინური კომკავშირის მე-17 ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეზნევის საპროგრამო სიტყვიდან: „ხარისხისათვის ბრძოლა უნდა მოიცავდეს ჩვენი საქმიანობის ყველა მხარეს... სადაც არ უნდა მუშაობდეს კაცი, იგი უნდა ამაყობდეს თავისი შრომის შედეგებით“.

ხარისხისათვის ბრძოლას პრობლემას, ამ ამოცანის წარმატებით უაღაჭრას დიდი ყურადღება დაუთმეს კომკავშირის ორგანიზაციებმა. ცნობილია, რომ პირველი ვეგეტაციის ჩაის ფოთოლი საუკეთესო ხარისხისა. ამიტომაც ახალგაზრდა მეჩაიეთა წინაშე დაისვა ამოცანა მისის-ივნისში სახელმწიფოსათვის ჩაეცარებინათ წლიური გეგმის 60-65 პროცენტი.

ჩვენი ახალგაზრდობის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრა. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მაქსიმალურად აამოქმედეს რეზერვები, გააჩაიეს ქმედითი სოციალისტური შეჯიბრება, განხერელად დაიცვეს შეჯიბრების ლენინური პრინციპები, რის შედეგადაც ორი თვის განმავლობაში სახელმწიფოს ჩაბარდა 15.635 ტონა ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთო-

ლი, წლიური ვალდებულების 64 პროცენტი. წარმატებით აღებული სტარტი შესანიშნავ გამარჯვებით დაგვირგვინდა. ზარშან მარტო ახალგაზრდობის ძალებით სახელმწიფოს ჩაბარდა 30 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“, აქედან 70 პროცენტამდე პირველი ხარისხისა იყო.

ნაკლებ ქებას როდი იმსახურებენ აჭარის ახალგაზრდა მეციტრუსები, რომლებმაც ღირსეული წვლილი შეიტანეს შარშანდელ სარეკორდო მოსავლის აღებაში, მათი ძალებით მოიკრიფა 50 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, „კომკავშირული ორწლედით“ გათვალისწინებულ ვალდებულებაზე 15 ათასი ტონით მეტი.

ახალგაზრდა მეციტრუსეთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ქობულეთის რაიონში საუკეთესო შედეგს მიაღწია და რაიონული კომიტეტის მიერ დაწესებული ფასიანი საჩუქარი მიიღო ჩაისუბნელმა ზურაბ მაკარაძემ. მან 0,35 ჰექტარზე მოიწია და სახელმწიფოს ჩაბარა 14 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, გეგმით გათვალისწინებული 8 ტონის ნაცვლად.

საკუთარი რეზერვებისა და ძალების გათვალისწინებით, სწორი დაგეგმვით, ეკონომიკურად ლასაბუთებული ვალდებულებების აღებით, მოწინავეთა გამოცდილებისა და სიახლეთა დანერგვით, წახალისების ფორმების ზომერად გამოყენებით წარმატებას მიაღწიეს ცალკეულმა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრტყადებმა, რეოლებმა, ცალკეულმა პირებმა, პარველადებმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

გამოიჩინევა ხელვაჩაურის რაიონის მახვილაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მეხუთე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელიც ყოველწლიურად ზრდის როგორც საერთო, ისე საშუალო საჟექტარო მოსავალს. 1972-73 წლებში ბრიგადას ზედიშედ გადაეცა საქ. ქ ბ ხელვაჩაურის რაიონში და ხელვაჩაურის რაიონში აღმსკომის გარდამაცალი, წითელი დროშა — რაიონში ბრიგადებს შორის გაშლილ სოცია-

ლისტურ შეჯიბრებაში მაღწეული ბალა-
რი მჩხვენებლებისათვის, მასვე გადაე-
ცა საქართველოს ოლქე ხელვაჩაურის
რაიონის გარდამავალი ვიმპელი და მი-
უნიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის
საპატიო სახელი.

ამ ბრიგადამ, რომლის ხელმძღვანელია
ანზორ დარჩია, სოციალისტური შეჯიბ-
რებისადმი სწორი ხელმძღვანელობით
თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. შრო-
მისადმი კომუნისტური დამოკიდებულე-
ბის ნამდვილ მაგალითებს იძლევიან კო-
მუშირელები: ნაზი და თამაზ ფუტკარა-
ძეები, ეთერ და ნაზი დუმბაძეები, მი-
ხეილ სურმანიძე, ლენა ლიასმიძე, უშა-
ნგი ჯგურენაია, რეზო ნაკაშიძე და სხვა.
ბრიგადის წევრები ფართოდ ნერგავენ
ვეტერანი მუშების ვ. ლიასამიძისა და
ვ. ბერნიკოვას მდიდარ ჯამოყილებას.

წარმატებას დიდად შეუწყო ხელი
გრიგადის ხელმძღვანელის შემოქმედე-
ბითმა ინიციატივამ. მუშებისათვის ურო-
ვი რომ გაეადვილებინათ, აქ დამორჩა-
უეს საბაგირო გზა. ამით ს. მანქანე გაი-
დან შორს მდებარე პლანტაციებში წე-
აქვთ ორგანული და მინერალური სასუ-
მები და გამოაქვთ ციტრუსოვანთა ნა-
ყოფი.

სუთი საშუალებები და გამოუყენებე-
ლი რეზერვები მრავალია. მათი ამოქმე-
დება მომავალი წარმატებების საწინდა-
რი გახდება.

ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის კოლ-
მეურნეობის ახალგაზრდები არმდენიმე
წლის წინ გამოვიდნენ შესანიშნავი ინი-
ციატივით — მოესპონ შეჩერიანობა
ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში.
ამ ინიციატივამ პირველ ხანებში დი-
დი გამოხმაურება პპოვა, მაგრამ სამწუ-
ხაროდ მალე დავიწყებას მიეცა.

1974 წლის დამდეგს ამ თაოსნობას
კიდევ ერთხელ დაუბრუნდა კომკავში-
რის აჭარის საოლქო კომიტეტი. მოეწყო
ხეხილის ბალების, ჩაისა და ციტრუსო-
ვანთა პლანტაციების დათვალიერება,
დაისახა კონკრეტული, მეცნიერულად
დასაბუთებული ღონისძიებები, დაწესდა
შეაცრი კონტროლი მათ შესრულებაზე.

დღეს ამაყად შეიძლება ითქვას, რომ მი-
ზანსწრაფულად, გეგმაზომიერად გატა-
რებულმა ღონისძიებებმა სასიხარულო
შედეგი გამოიღო. მეჩერერიანობა საგრ-
ძნობლად შემცირდა როგორც ჩაის, ასე-
ვე ციტრუსოვანთა პლანტაციებში. მაგ-
რამ მიღწეული საკმარისი არაა; ხელვა-
ჩაურისა და ქობულეთის რაიონების
მთელ რიც კოლმეურნეობებში მეჩერი-
ანობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია. კო-
მკავშირული ორგანიზაციების ბრძოლა
მეჩერიანობის სრული ლიკვიდაციისათ-
ვის, ამ მიმართებით სოციალისტური
წევრების ფართოდ გაშლა, ეს არის
დიდი რეზერვი, არმელიც უხევი მოსავ-
ლისათვის ბრძოლის სამსახურში უნდა
დადგეს.

დიად საქმეს — კომუნიზმის მშენებ-
ლობას, — ამბობს ლ. ი. ბრეუნევი, —
წინ ვერ წავწევთ, თუ ყოველმხრივ არ
განვავითარეთ თვითონ ადამიანი; ადამი-
ანთა კულტურის, განათლების, საზოგა-
დოებრივი შეგნების, შინაგანი სიმწიფის
მაღალი ღონის გარეშე კომუნიზმი შეუ-
ძლებელია, ისე როგორც შეუძლებელია
იგი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკუ-
რი, ბაზის გარეშე.

დიაბ, თვითონ ადამიანი უნდა განვით-
არდეს, მისი კულტურა უნდა ამაღლდეს,
მისი საზოგადოებრივი წევრება უნდა ამ-
აღლდეს. ადამიანი უნდა ჩასწოდეს სო-
ციალისტური შეჯიბრების არსს, უნდა
გაიგოს, რომ ის არის ცოცხალი საქმე
და ვერ იგუებს ფორმალიზმს, გულგრი-
ლობასა და არათერატიულობას.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმა-
ვლობა განუხერელად არის დაკავშირებუ-
ლი მიწების მელიორაციასთან. სამწუხა-
როდ, სამელიორაციო სამუშაოების ტე-
მპი ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამე-
დროვე მოთხოვნებს, კომკავშირული
ორგანიზაციები სუსტად იძრდებიან ამ დი-
დმნიშვნელოვანი საქმის წარმატებით გა-
ნხორციელებისათვის. აჭარის სოფლის
კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე
დგას გადაუდებელი ამოცანა — აქტი-
რი მონაწილეობა მიიღონ სამელიორა-
ციონ სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის,

თანამედროვე საინჟინრო სისტემის შექმნისათვის ბრძოლაში.

ასამშემდებარ ჩეზერვებს უნდა მივაკუთხოვთ აგრეთვე იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რომლებიც ჯერ კიდევ გააჩნიათ ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს. სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საქმეში. არ არის დასამალი, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრება ატარებს ფორმალურ ხასიათს, სოციალისტური ვალდებულებანი შედგენილია ზერელუდ, ეკონომიკური დასაბუთების გარეშე, უგულვებელყოფილია შეჯიბრების ლენინური პრინციპები. ყოველივე ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებაზე. კომკავშირის კომიტეტებმა სოციალისტური შეჯიბრება უნდა წარმართონ ისე, რომ მისი თითოეული მონაწილე, კველა ახალგაზრდული კოლექტივი დღეს მუშაობდეს უკეთ, ვიდრე გუშინ, ახალგაზრდობის სოციალისტური შეჯიბრება აიყვანონ იმ დონეზე, რომელსაც ჩვენგან მოითხოვს პარტიის 24-ე ყრილობა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენური, საქავშირო ლენინური კომკავშირის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებები.

კომკავშირულ ორგანიზაციებს თითქმის არ ჰქონიათ მიღებულ დადგენილებათა შესრულების კონტროლის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების ესოდენ მეცნიერული რეკომენდაციები, როგორიც დღეს აქვთ. ამ მხრივ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-14 პლენური მნიშვნელოვანი ნიშანსვერია არა მარტო რესპუბლიკის პარტიული, არამედ კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში. ჩვენს ხელთა კომკავშირული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფილად გამოყენების მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელმაც უნდა აამაღლოს. ჩვენი ახალგაზრდობის, ლენინური კომუნისტური კავშირის თი-

თოეული წევრის პასუხისმგებლობა, კომკავშირული წყობის თითოეული რეოლის ორგანიზაციულ-პოლიტიკური საქმიანობა.

კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას წომობს ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობას, მიღებული დადგენილებების შესრულებას, პარტიისა და მთავრობის დირექტივების განუხრელად განხორციელებას.

სისტემატური კონტროლი დავაწესეთ ზემდგომი 'პარტიული და კომკავშირული ორგანოები' დადგენილებების შესრულებაზე. კომკავშირის საოლქო კომიტეტის ყურადღების ცენტრში მუდამ დგას საკითხი, თუ როგორ სრულდება აღრე მიღებული დადგენილებები, რა ღონისძიები გატარდა საქალაქო და რაიონული კომიტეტების დადგენილებებში აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსაშორებლად.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მიღებული დადგენილებების შესრულების კონტროლის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების კონფერენციებზე, პლენურებსა და აქტივის წევრებებზე, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების საერთო კრებებზე გამოთქმული კრატიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეაგირების გეგმის შედგენა, მისი საფუძვლიანი განაპირება და სათანადო ორგანიზაციებში დაგზავნა. შესაბამისი განკოფილებები სისტემატიურად იღებენ ინფორმაციებს აღნიშნულ დადგენილებათა შესრულების თაობას.

სოფლის მეურნეობისა და საერთოდ ეკონომიკის აღმავლობისათვის ბრძოლა დღეს წარმოუდგენერელია შრომითი დისკიპლინის შემდგომი განმტკიცების გარეშე. გულისტკივილით ვალიარებთ, რომ ამ საქმეში რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები, ამ მიმართებით მუშაობა არ ატარებს სისტემატურ, მზანსწრაფულ ხასიათს. ამაზე ფაქტები მეტყველებენ. რესპუბლიკის სოფლის

მეურნეობაში დასაქმებულთაგან 400-მდე ახალგაზრდას შრომის სავალდებულო მინიმუმი არა აქვს გამომუშავებული, 120 კი საერთოდ თავს არიდებს სოფლიდ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, ცხოვრიბს სხვის ხარჯზე, არცვენს გურიობელი აღმიანის სახელს.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, „კომკავშირული პროექტორის შტაბებმა“ უნდა შექმნან შეუწყნარებლობის ატმასფერო უქნარების, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისადმი თავის ამრიდებლების, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვარც ჩირქს სცხებს მშრომელი აღმიანის მაღალსა და საპატიო სახელს.

რკინისებური დისტინციისა და ორგანიზებულობისათვის, ყველა ახალგაზრდა გურიობელის მიერ სოციალისტური შრომის დისკიპლინის განუხრელი დაცვისათვის ბრძოლა კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი რეზერვია, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების შემდგომ აღმავლობას.

ჩვენ ზემოთ განსაკუთრებული ყურადღება მივაკეთეთ ახალგაზრდა მეჩაიეთა და მეციტრუსეთ მიღწევებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სოფლის მერნეობის სხვა დარგებში დასაქმებულ ახალგაზრდებს არ ჰქონდეთ მნიშვნელოვანი წარმატებები.

ჩვენ გვემაყება ახალგაზრდა მევენახების, მეთამბაქოების, მეცხოველების, მებოსტნების, მეხილეების, მეაბრეშუმების შრომითი მიღწევები. აჭარის ახალგაზრდა მეცხოველეთა თავდადებულმა შრომაზ განაპირობა ის, რომ ხორცისა და რძის წარმოების წლიური გეგმა-ვალდებულება გადაჭარბებით შესრულდა. ჯერ კიდევ წლის დასაქმისში ქვედის, შუახევისა და ხულოს რაიონების პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეცხოველეობა გამოაცხადეს ახალგაზრდობის, კომკავშირის დაკვრელურ უბნად და მეცხოველეობის ფერმებში კომკავშირული საგურებელით გაიგზავნა ახალგაზრდა კადრები, რომელმაც გამართლეს ნდობა, გადაჭარბებით

შესარულეს ამ დარგში 1974 წლის ვებები.

შუახევის რაიონის სამოცმა ახალგაზრდა მეთამბაქოებ ორ წელიშადში შეასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმა. ამჟამად კი იმ ახალგაზრდათა რიცხვმა, რომელთა შრომით კალენდარზე მე-10 ხუთწლებით, 350 გადააჭარბა. მათმა მაღლიანმა მარჯვენამ მოიყვანა და სახელმწიფოს მიყიდა 460 ტონა ხმელი თამბაქო. რაიონის 35 კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ და რეკოლმა ისახელა თავი. 444 ქალიშვილი და ჭაბუკი კარგახანია 1976 წლის ანგარიშში მუშაობს, ხოლო 1978 წლის ზღუდეებს უტევს 39 ახალგაზრდა. შუახეველებს არც ხულოს რაიონის მეთამბაქოები ჩამორჩებიან, მათ 480 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 580 ტონა ხმელი თამბაქო. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჭარბობს „კომკავშირული ორწლედის“ პირველი წლის დავალებას. ქების ღირსნი არიან რიყეთელი, ყინჩაურელი, ოქტომბრელი, ფარჩეველი და კალოთელი ახალგაზრდები.

ეს მოწევები ცხადყოფს, რომ გამარჯვების საფუძველი, უხვი მოსავლის საწინაღო სოციალისტური შეჯიბრების მჩქეფარე, მამოძრავებელი ძალაა. მომავალ გამარჯვებებსაც უპირველეს ყოვლისა განაპირობებს რეზერვების ძიება, ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, შეჯიბრების უფრო მაღალ, სრულყოფილ საფეხურზე აყვანა.

მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის კომკავშირელთა ინიციატივის „ხუთწლედს — ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ძიება“ აჭარის 10 ათასზე მეტი ახალგაზრდა გამოეხმაურა. ეს იმას ნიშნავს, რომ 10 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს პარტიის 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, რომ ისინი ერთმანეთს უნაშებენ თავდადებულ შრომას, მაღალ პროფესიულ ოსტატობას, ნოვატორობას, ფრიადზე სწავლასა და მეცნიერულ-ტექნიკურ შემოქმედებას.

პარტია ახალგაზრდობას ჩაზმავს მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებისათვის, მსოფლიო სტანდარტებისათვის საბრძოლველად. ახლა მთავარია პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის მასობრივი მოძრაობის განვითარება. ხარისხისათვის, ეფექტურიანობის ამაღლებისათვის გრძოლით გამსჭვალული უნდა იყოს ჩვენი საქმიანობის ყველა მხარე.

როდესაც ვლაპარაკობთ აჭარის ახალგაზრდობის ჩოლზე სოციალისტურ შეჯიბრებაში, არ შეიძლება უყურადღებოდ დაეტოვოთ საქართველოს საზოგაო სანაოსნოს კომკავშირელთა შრომითი ენთუზიაზმი. ახალგაზრდა მეზოგაურებმა დიდი აღმართობით დაამთავრეს 1974 წელი.

დღეისთვის თითქმის ყველა ახალგაზრდა მეზოგაურს, სანაპირო ორგანიზაციების კომკავშირლებს გააჩინათ საკუთარი კომპლექსური გეგმები, აქტიურად მონაწილეობენ საკავშირო ლენინურ ჩათვლებში „სკპ 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებაზი — ცხოვრებაში“. ფართოდ გავრცელდა შეჯიბრება გემის ეკიპაჟთა წყვილებს შორის, სადაც ერთი ტიპის გემის ეკიპაჟის წევრები ურთიერთშორის არიან ჩაბმულნი სოციალისტურ რეგიბრებში. შედეგების შეჯამება ხდება ყოველ ცვარტალში. გამარჯვებული ეკიპაჟი ჯილდოვდება და საერთო შედეგები აღინიშნება სპეციალურ სტენდზე.

სანაოსნოს ახალგაზრდობა ფართოდ არის ჩაბმული მოძრაობაში კომუნისტური სახელის მოსაპოვებლად. ამ სახელს დღიესათვის ატარებს 400-ზე მეტი კომკავშირელი, ხოლო 600-ზე მეტი იბრძვის მის მოსაპოვებლად.

მისასალმებელია, რომ კომკავშირული დავალება აქვს სანაოსნოს 1.500 ახალგაზრდას, ლენინურ ჩათვლებში მონაწილეობს 1.750 კომკავშირელი, ახალგაზრდების ძალებით დაიზოგა 21.200 კილოგრატსათი ენერგია, 10.998 მანეთის საჭვავი, 21.400 მანეთის საცხი მასალები, შემოტანილია 93 რაციონალიზატორული წინადაღება.

სანაოსნოს კომკავშირის კომიტეტთან შექმნილი სოციალისტური შეჯიბრების კომისია და კომკავშირის კომიტეტის ბიურო დიდ ყურადღებას უთმობს. შეჯიბრების გაშლას კომკავშირულ-ახალგაზრდულ ეკავაკებს შორის. დღეისათვის კომკავშირულ-ახალგაზრდული ეკავაკების სახელს ატარებს 7 გემი: „გორი“, „კურჩენკო“, „ბუზოვნი“, „ქარელი“, „აქტაუ“, „ასპინძა“ და „გიორგი ლეონიძე“.

საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის კოლეგიამ განიხილეს საზღვაო სანაოსნოების კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1974 წლის მე-3 კვარტალის შედეგები და აღნიშნეს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კომკავშირის კომიტეტის კარგი მუშაობა.

სანაოსნოს კომკავშირულ ორგანიზაციებში ფართოდ გავრცელდა კონკურსი პროფესიაში საუკეთესო სახელის მოსაპოვებლად. კომკავშირელებმა ვ. კურჩენკოვამ და კ. კობალაძემ უკვე ორ-ორგერ მოიხვეჭეს გამარჯვებულის სახელი.

სანაოსნოს კომკავშირის კომიტეტი სათნადო მუშაობას ატარებს, რომ სწორად მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება ახალგაზრდებს შორის. ყველა გემსათუ სანაპირო ორგანიზაციაში დიდი ყურადღება ეთმობა საპატიო დაფების გაფორმებას, მათ დროულ შევსებას მოწინავეთა ფოტოებით, ახალგაზრდების დაჯილდოებას, მათ მორალურ და მატერიალურ წახალისებას. კომკავშირის კომიტეტი კარგად იყენებს გაზეთ „მარიაკ გრუზის“ ფურცელს, რომლებზეც რეგულარულად იძეპლება მასალები სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე, მოწინავე ახალგაზრდებზე.

1974 წელი ბევრი რამით იყო ღირსახესოვარი ბათუმელი ახალგაზრდებისათვის. მათ „კომკავშირული ორწლედით“ გათვალისწინებული ვალდებულებები ჯერ კიდევ 21 დეკემბრისათვის გაანდდეს. ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დასაქმე-

შული 10 ათასზე მეტი ახალგაზრდიდან 2.720 ატარებს კომუნისტური შრომის დამკავრელის საპატიო წოდებას, ხოლო 5.000 იბრძების ამ წოდებისათვის.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ოქროს სამკერდე ნიშნით „ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელი“ დაჯილდოვდნენ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ოთარ ხიბაია, ქარხანა „ელექტრონელსაწყოს“ მუშა ალექს გოგეშვილი და ხის დამამუშავებელი კომბინატის მუშა ამირან ბურძგულაშვილი.

შრომით კოლექტივებში იბადება ახალ-ახალი ინიციატივა და წამოწყებები, რომელთა მთავარი მიზანია ეკონომიკის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორის — შრომის ნაყოფიერების ზრდა. ახალგაზრდობის დიდი მხარდაჭერა პჰოვა ბათუმელ გემთმშენებელთა თაოსნობაში: „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით“. ამ პატრიოტულმა ინიციატივამ თავისი კეთილმყოფელი შედეგები მოგვცა.

ახლა აქარაში 300-ზე მეტი ტექნიკის დანერგვის შემოქმედებითი ბრიგადა, ტექნოლოგიური ბიურო, მომჭირნეობისა და კომკავშირული პროექტორის საგუშავო მოქმედებს. მიმდინარე ხუთწლედში რესპუბლიკის ახალგაზრდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა 800-ზე მეტი წინადაღების დანერგვით სამშობლოს ერთი მილიონ ორასი ათასი მანეთის ეკონომიკა მიეცა.

ამ მიმართებით საყურადღებო გამოცდილება აქვს შეძენილი ბათუმის მანქანათას შენი ქარხნის კომკავშირულ რაციონალიზაციას. კომკავშირის კომიტეტისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოს ინიციატივით ქარხანაში შექმნილია ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების სკოლები, წარმოებაში ახლა თითქმის ყოველი მეხუთე ახალგაზრდა რაციონალიზატორი და გამომგონებელია, ყოველი ახალგაზრდა მუშა აქტიურად მონაშილეობს ტექნიკური სიახლეების დანერგვაში,

მუშათა კლასის ღირსეული ცვლის მომზადებებში, უფროს თაობათა სახელოვან შრომით ტრადიციებზე ახალგაზრდობის აღზრდაში გამოირჩევიან მუშათა ძველი გვარდიის სახელოვანი წარმომადგენლები. ლ. ი. ბრენევმა კომენტირის მე-17 ყრილობაზე აღნიშნა: „დამრიცებლები... თავიანთი ნებით, გულის კარნაბით ასწავლიან ახალგაზრდობას შრომისმოყარეობას, სსტატობას, ზრდიან მას ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის გმირული ტრადიციებით!“

ლენინგრადელი ოსტატის სტეფანე ვიტენკოს მიმდევრებს ახლა ცველა კოლეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში, შევებლობებზე, ფაბრიკებსა თუ ქარხნებში შეხვდეათ. წარმოების მოწინავეთა მთელი პლეადე აღზარდეს ისეთმა გამოცდილმა იატატებმა, როგორიც არიან ვალერია ულენტი, სერგო ჩატლაძე, ივანე პონომარიოვა, კონსტანტინე შენგელია და მრავალი სხვა.

ახალგაზრდების თავდადებულმა შრომამ, ინიციატივამ, სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურმა მონაშილეობამ მნიშვნელოვანი როლი შესრულა რესუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების შრომით გამარჯვებაში.

საჭიროა, სოციალისტური შეჯიბრებისპირობები იყოს მოქნილი, მოძრავი, იცვლებოდეს საწარმოს ახალი ამოცანების შესაბამისად. უნდა უარყოფთ ისეთი პრაქტიკა, როცა შეჯიბრების პირობები უცვლელი ჩემბოდა წლობით და ჩამორჩებოდა ცხოვრების მოთხოვნებს.

ახალგაზრდობაში კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა მრავალ საკითხთან არის დაკავშირებული, ასევე ფართოა თითოეული კომკავშირელის მოქმედების დიაპაზონი, მაგრამ არ არის მიზანშეწონილი ყველა საქმეს ერთდროულად და ერთნაირი დატვირთვით მოვეკიდოთ.

საჭიროა გამოიყოს უპირველესი ამოცანა, რომლის გადადება, დაგვიანება არ შეიძლება. გამოვყოთ ამოცანა, ნიშნავს მობილიზაცია გავუკეთოთ და წარვმართოთ მის გადასაჭრელად ახალგაზრდო-

ბის ფართო მასები, განვუსაზღვროთ თითოეულ მათგანს ადგილი და როლი საერთო საქმიანობაში, დავეხმაროთ გამოიყენონ ამ მიმართებით ყველაზე ქმედითი საშუალებანი.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში სახელმძღვანელო დოკუმენტია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების უესახებ“. წარმოების ეფექტურობის ამაღლება, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა, ლოზუნგი — დაეწიე უკეთესებს, დაეხმარე ჩამორჩენილებს და მიაღწიე საერთო აღმაღლობას — აი, რა არის სოციალისტური შეჯიბრების აჩი თანამედროვე ეტაპზე. ეს უნდა ახსოვდეთ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორებს, აჭარის კომედიულ ორგანიზაციებს, ყველა ქალიშვილსა და კაბუკს.

სრ კავშირის მე-9 მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენურმა განიხილეს საჩალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმა და სრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი. პლენურმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეუნევმა. მის სიტყვაში ყოველმხრივ გაანალიზებულია მეცხრე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები, პარტიის, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური საქმიანობა, დასახულია მორიგი ამოცანები, წამოყენებულია მთელი რიგი ახალი დიდნიშვნელოვანი დებულებები, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვთ 1975 წლის გეგმის შესრულებისა და მთლიანად ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის.

მთელმა ჩვენმა პარტიამ, ყველა შრომელმა, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობამ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენურის დადგენილება აღიქვეს თავიანთი მოქმედების

სახელმძღვანელოდ.

საკავშირო ლენინური კომედიული ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გვდაწყვეტილებით 1975 წლის 14-დან 24-ის ნვრამდე კომედიულ ლრგანიზაციებში ჩატარდა საკავშირო კომედიულული კრებები დევიზით: „სამშობლოს, პარტიას — დამკვრელური შრომა, მუშაობის მაღლი ხარისხი, ფრიადზე სწავლა“.

კრებებზე კომედიულულმა ორგანიზაციებმა საფუძვლიანად განიხილეს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანები, განსაზღვრეს ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის გაუმჯობესების კონკრეტული გზები, დასახეს ქმედითი ღონისძიებანი სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის, აიღეს გაზრდილი, რეალური სოციალისტური ვალდებულებანი შრომის ნაყოფიერებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზრდისათვის, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კომუნისტებისა და კომედიულების მვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ შეჯიბრებას, იყვნენ მისი სულისხამდგელნი და მარგანიზებელნი, გვიჩვენებდნენ მაღალი შეგნებისა და შემოქმედებითი აქტიურობის მაგალითს საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი მოწოდებულია არიან კვლავაც აქტიურად ასრულებდნენ შრომითი კოლექტივების ავანგარდის როლს.

მეცხრე ხუთწლედის დამთავრებისათვის ბრძოლაში შრომითი კოლექტივების, თითოეული საბჭოთა ადამიანის წინაშე კონკრეტული ამოცანები დასა. უცილებელია ეს ამოცანები წყდებოდეს დროულად, კეთილსინდისიერად, საქმის ცოდნით. უნდა ვესწრაფოდეთ იმას, რომ თითოეული ახალგაზრდა ურომობდეს მუყითად, შემოქმედებითად, იცავდეს შრომისა და სახელმწიფო დისკიპლინას, იჩენდეს მაღალ მომთხოვნელობას საკუთარი თავისადმი, ამხანაგებისადმი. თითოეული ბრიგადა და საამქრო,

თითოეული საწარმო და მშენებლობა, თითოეული კოლმეურნეობა და სამჭოთა მეურნეობა უნდა მუშაობდეს ზუსტად და შეწყობილად, მთელ ენერგიასა და ძალონეს ახმარდეს დავალებების, შემხვედრი გეგმების, სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადჰქარდებით შესრულებას. ეს მთელი ჩვენი მუშაობის წარმატების აუცილებელი პირობაა.

დაიწყო ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, გავიღა რამდენიმე კვირა. ამ დროს უშედეგოდ არ ჩაუვლია. ლენინური კომკავშირის ღირსეულმა წევრე-

ბმა პარტიის მოწოდებას დამკარელური შრომით უპასუხეს, ახალი ვალდებულებები იყიდებული და უფრო მაღლა ასწიებ სოციალისტური ჟეგიბრების დროშა.

აჭარის კომკავშირული ორგანიზაციების მიერ დაგროვილი გამოცდილება, ახალგაზრდობის შრომითი ენთუზიაზმი და პოლიტიკური აქტიურობა იმის მტკიცე გარანტია, რომ ისინი წარმატებით დაძლევენ ყველა ჩლულებს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიას გარშემო და ღირსეულად შეხვდებიან პარტიის მომავალ 25-ე ყრილობას.

აპედ სეგნერატა

უცნობი ვურცლები

მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიის ჩრდილოეთი ნაწილი იყო ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობის მნიშვნელოვანი ცენტრი. სწორედ აქ ჩამოყალიბდა პირველი კომუნისტური პარტიზანული შენაერთები (მათ ჯუზეპე გარიბალდის სახელი ეწოდა), რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ფაშისტური დიქტატურისაგან ქვეყნის განთავისუფლებაში.

გარიბალდიულ ნაწილებში მრავლად იყვნენ ტყვეობიდან გაქცეული სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანები, მათ შორის ქართველებიც, რომლებმაც თავიანთი გმირობით შესანიშნავი ფურცლები ჩაწერეს იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მატიანეში. ფორე მოსულიშვილი და თედორე პოლეტაევი, ორადორი უცხოელია, რომლებიც იტალიის მთავრობამ, საბრძოლო დამსახუ-

რებათა გამო, ეროვნული გმირის ოქროს მედლებით დააჯილდოვა.

იტალიის ანტიფაშისტურ წინააღმდეგობის მოძრაობაში ქართველი პარტიზანების მონაწილეობა აღწერილია სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში, ნარკვევებსა თუ სტატიებში, მაგრამ მათი მამაცობის ამსახველი მრავალი ფაქტი ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. ამჯერად გვსურს მკითხველს გავაცნოთ ერთი საბჭოთა რაზმის სახელოვანი საბრძოლო თავგადასავალი, რომელიც დღემდე თითქმის უცნობია.

პიემონტში, კერძოდ კი ტურინის პროვინციაში, სუზა-ბუსოლენის უბანზე მოქმედებდა „ამაღეოტონანის“ მესამე გარიბალდიული დივიზიის „ვალტერ ფონტანის“ 42-ე ბრიგადა, რომლის მეთაური იყო ალესანდრო ჩამეი (ფალკო), კომისარი კი — ალა რაიმონდო (მონლინო). ბრიგადა გამოირჩეო-

და მამაცობითა და საბრძოლო და-
ვალებათა ზუსტი შესრულებით.
ამიტომაც დივიზიის სარდლობა
მაღალ შეფასებას აძლევდა მის
თავდადებას. ამით აიხსნება ისიც,
რომ აღნიშნული ბრიგადა ცეცხ-
ლის მოწინავე ხაზზე იმყოფებოდა
და მნიშვნელოვანი წვლილი შეპ-
ქონდა ქვეყნის განთავისუფლება-
ში.

42-ე ბრიგადაში, ცალკე რაზმის
სახით, შედიოდა სხვადასხვა
ეროვნების საბჭოთა აღამიანებით
დაკომპლექტებული რაზმი „რუ-
სეთის“ სახელწოდებით. რუსების,
უკრაინელების და შუა აზიის რე-
სპუბლიკების მკვიდრთა გვერდით
მასში იყო 25-მდე ქართველი. ამ
ინტერნაციონალურ რაზმს, იტა-
ლიელი ისტორიკოსის მ. გალენის
სიტყვით, მეთაურობდა 24 წლის
ვაჟკაცი გეგეჭკორიდან ვლადიმერ
(ვალოდია) არსენის ძე გაბისონია,
რომლის „გამბედაობას, ორგანი-
ზატორულ შესაძლებლობასა და
პატიოსნებას“, დივიზიის სარდ-
ლობა, სხვა მეომართათვის მისა-
ბაძად თვლიდა.¹ ალ. ჩამეი, რომე-
ლიც კარგად იცნობდა საბჭოთა
რაზმის საბრძოლო საქმიანობას,
იტალიის წინააღმდეგობის მოძრა-
ობაში ვლ. გაბისონიას დამსახუ-
რების შესახებ 1945 წლის 15 მა-
ისს შედგენილ დახასიათებაში აღ-
ნიშნავდა: „მოხალისე ვალოდია

¹ მ. გალენი, საბჭოთა პატიზანები
იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში,
რომი, 1967, გვ. 144 (იტალიურ ენაზე).

გაბისონია... ერთ-ერთი საუკეთე-
სო პარტიზანია, ძალიან კარგ მე-
თაურად ითვლება, თავის ამხანა-
გებში დისციპლინას იცავდა და
იტალიელ პარტიზანებთანაც თან-
ხმობრივი კავშირი ჰქონდა დამყა-
რებული“. ჩამოთვლიდა რა ვლ.
გაბისონიას მეთაურობით ჩატარე-
ბულ საბრძოლო ოპერაციებს (ბუ-
სოლენთან, ბალმაფოლთან, სტი-
მასთან და ა. შ.) თუ დივერსიულ
აქტებს (ნაცი-ფაშისტთა² მსტოვ-
რების დატყვევებას, ხიდებისა და
რკინიგზების აფეთქებას და სხვ.),
ალ. ჩამეი შემდეგ მიუთითებდა:
„როგორც მეთაური „რუსეთის“
ყოჩალი რაზმისა და როგორც მე-
ტად პატიოსანი ყმაწვილი, იგი
არასდროს არ იტოვებდა თავის-
თვის მტრის ნაღავლს, არამედ
ყოველთვის გადასცემდა შტაბს
და ამით ამჟღავნებდა მიზნისადმი
შეგნებულ დამოკიდებულებას“.³
კიდეც ამიტომ იგი არაერთხელ
იყო პრემირებული სარდლობის
მიერ,⁴ ხოლო შემდეგ გარიბალ-
დის ვარსკვლავითაც დააჯილდო-
ვეს. სიგელში, რომელსაც ხელს
აწერს იტალიის კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტ-
ის თავმჯდომარე ლუიზი ლონგო,
ნათქვამია: „გარიბალდის ვარსკვ-

² იტალიაში ნაცისტებს ეძახდნენ გე-
რმანელებს, ფაშისტებს კი მუსოლინის
შავხალათიანებს.

³ დოკუმენტი მოკვაწოდა ვლ. გაბი-
სონიამ

⁴ მ. გალენი, დასახ., ნაშრომი, გვ. 144

ლავი მამაცობისათვის ეძლევა სა-
ბჭოთა მოქალაქეს, საბჭოთა რაზ-
მის მეთაურს ვლადიმერ არსენის
ქე გაბისონიას ნიშნად იმ დიდი
მამაცობისა, რომელიც მან გამოი-
ჩინა მოიერიშე გარიბალდიული
ბრიგადის რიგებში ბრძოლისას...
თავისი და ჩვენი სამშობლოს თა-
ვისუფლებისათვის".⁵

ვ. გაბისონია და მისი თანამებ-
რძოლები 1942 წელს ტყვედ იგ-
დეს გერმანელებმა. სხვადასხვა
ბანაკში გამოცადეს მათ ტყვეობის
სიმწარე, აბუჩად აგდება, შიმში-
ლი. 1943 წელს ფაშისტებმა ისინი
ჩარეკეს ჩრდილოეთ იტალიაში
და ტურინის პროვინციაში, სან-
ანტონიოს დანგრეული რკინიგზის
ხიდის აღდგენაზე ამჟავებდნენ.
სწორედ აქ მომწიფდა გაქცევის
გეგმა. მალე ჩამოყალიბდა ხელმ-
ძღვანელი ჯგუფი, რომელშიც შე-
ვიდნენ ქართველები ვალოდია გა-
ბისონია და გრიგოლ პატაშური,
რუსები არქალი უუკოვი და ალექ-
სანდრე ფედორენკო, უკრაინელე-
ბი ივანე მანცური და ვალოდია
კლიმენკო, უზბეკი ისმაილ ამდა-
მოვიჩი და სხვ. ჯგუფის წევრები
დაუკავშირდნენ პატრიოტებს. იტ-
ალიელმა ქალიშვილებმა პერინა
კასტელომ, მარგარიტა ბრუნომ და
ჯულიეტა ჩეზარომ მათ იარაღი
მიაწოდეს. ტყვებმა ამონცეს
გერმანელი გუშაგები, ხელთ იგ-
დეს მსუბუქი ტყვიამფრქვევები,
ავტომატები და სოფელ პავალიო-

ნოსთან შეუერთდნენ ალ. ჩამეის
42-ე ბრიგადას. მომდევნო პერიო-
დში აქვე მოვიდნენ ტყვეობიდან
გამოქცეული სხვა საბჭოთა ადა-
მიანებიც. მაშინ ბრიგადის სარდ-
ლობამ მათგან შექმნა ცალკე რა-
ზმი, რომელსაც „რუსეთი“ უწო-
და. მასში 60-მდე კაცი ერთიან-
დებოდა. რაზმის მეთაურად ვლ.
გაბისონია დაინიშნა.⁶

ეს რაზმი, მ. გალენის ცნობით,
მონაწილეობდა ბრიგადის „ყველა
საბრძოლო ოპერაციაში“ და ამი-
ტომ მის მეომრებს „არ ჰქონდათ
შესვენება წუთითაც კი“.?⁷ კერ-
ძოდ, ვლ. გაბისონიას მეთაურო-
ბით რაზმმა განსაკუთრებით გამო-
იჩინა თავი ბუსოლენოს ბრძოლა-
ში 1944 წლის 20 ივნისს, სან-
ანტონიოს საგუშაგოზე თავდასხ-
მაში, სტიმასთან ბრწყინვალედ
ჩატარებულ ოპერაციაში, სადაც
დატყვევეს 168 ნაცისტი და
ხელთ იგდეს ორი მძიმე და 16
მსუბუქი ტყვიამფრქვევი, ერთი
ნალმეტყორცი, 45 ავტომატი, აგ-
რეთვე ბრძოლაში სადგურ ბრუ-
ცოლოსთან, სადაც მოწინააღმდე-
გემ დაჰკარგა 8 კაცი“.⁸

მ. გალენის სიტყვით „საბჭოთა
რაზმის წვლილი გადამწყვეტი ალ-
მოჩნდა ბალმაფოლთან ბრძოლა-
ში, რომელიც დაიწყო 1944 წლის
7 ივნისს და დასრულდა 26 აგვი-
სტოს“. აქ საბჭოთა და იტალიე-
ლმა პარტიზანებმა „მთელი რიგი

5 დაჯილდოების სიგელი ინახება ჩვე-
ნთან

6 მ. გალენი, დასახ., ნაშრომი, გვ. 138

7 იქვე, გვ. 140.

8 იქვე, გვ. 139.

შეტაკებების შემდეგ ხელთ იგდეს ორი მნიშვნელოვანი სიმაღლე“ ბუსოლენოსა და კიანოკის ზონაში. მაშინ „გერმანელების მსხვილმა შენაერთმა 8 ივლისს დაწყო სწრაფი შეტევა ბალმაფოლის მიმართულებით, რომ დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები და გაეფანტა პარტიზანთა ნაწილები. პირველი დარტყმები მიიღო „ლესკიერა-რისეროს“ რაზმმა და საბჭოთა რაზმმა. ბრძოლა გაგრძელდა ორ საათს. „გარიბალდიელმა არწივებმა“ როგორც მათ ეძახდა ალესანდრო ჩამეი, მოწინააღმდეგეს უკან დაახევინეს, თუმცა ამან მაინც ვერ გადაწყვიტა შეტაკების ბეჭი. ბრძოლა გამწვავდა პარტიზანთა განლაგების ცენტრში, რომელსაც უტევდა მტრის დიდი ძალა. გარიბალდიელთა პოზიციები იყო ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე მტრისა“. ამის მიუხედავად პარტიზანები არა თუ გაუმკლავდნენ მოწინააღმდეგეს, არამედ გააქციეს კიდეც-გერმანელებმა „ბრძოლის ველზე დასტოვეს მრავალი მოკლული და მძიმედ დაჭრილი. ბრძოლაში დაიღუპა 2 საბჭოთა პარტიზანი, 3 დაიჭრა“. დაღუპულთა შორის იყო შიო სართანია წყალტუბოს რაიონიდან.

მომდევნო პერიოდში გერმანელებმა მოიშველიეს „ესესელთა მსხვილი შენაერთი. თუმცა არსებით შედეგებს მაინც ვერ მიაღწიეს. დაკარგა რა „ვალტერ ფონტანის“ ბრიგადის წინააღმდეგობის

გატეხვის იმედი“, მტერმა 26 ავგვისტოს შეუტია გრანუე სივინეს-თან გამაგრებულ „სტელინას“ ალპელ მსროლელთა რაზმს. მართალია, იგი ექვემდებარებოდა მოქმედების პარტიის პარტიზანული შენაერთის („სამართლიანობა და თავისუფლება“) მე-4 დივიზიის სარდლობას, მაგრამ 42-ე ბრიგადის ხელმძღვანელობამ მას მაინც სასწრაფოდ მიაშველა სამი რაზმი. „ბრძოლის ზონაში შესვლისთანავე, საბჭოთა რაზმის მეთაური გაბისონია შეძახილით „რუსეთის“ ბატალიონო, შეტევაზე!“ თავს დაატყდა მტერს. მათი და იტალიელი პარტიზანების იერიში იმდენად მძაფრი იყო, რომ გერმანელები დანებლნენ. მოწინააღმდეგემ დაკარგა 30 მოკლული, დიდი რაოდენობის იარაღი, 150 ფაშისტი ტყვედ წამოიყვანეს. პატრიოტებს დაეღუპათ მამაცი მებრძოლი, წითელი არმიის ლეიტენანტი არკადი უუკოვი“⁹

ხელთ ჩაგდებული დოკუმენტებით პარტიზანებმა შეიტყვეს, რომ 42-ე ბრიგადის წინააღმდეგ, ლანცოს, იგივე ვიუს, დაბლობიდან, კერძოდ მარჩაუზიადან მოემართებოდა მტრის მეორე კოლონა. ამ ზონაში მოქმედებდა „ეუზებიო ჯამბონეს“ მე-19 ბრიგადა. მან მისცა განგაშის სიგნალი და მტერს იარაღით შეხვდა. გარიბალდიელებს მაშინვე მიეშველა 42-ე ბრიგადის ორი რაზმი. „მოწინააღ-

⁹ იქვე, გვ. 139-140.

მდეგა იძულებული გახდა გაქცე-
ულიყო".¹⁰

მ. გალენი არ აღნიშნავს, მაგრამ
საფიქრებელია, რომ ამ ორი რაზ-
მიდან ერთ-ერთი იყო სწორედ სა-
ბჭოთა რაზმი ვლ. გაბისონიას მე-
თაურობით. საქმე იმაშია, რომ
მე-19 ბრიგადაში ერთიანდებოდა
ქართველთა ბატალიონი (პალმი-
რო ტოლიატის ცნობით მასში
იყო 150-მდე მებრძოლი)¹¹ ნოე
კუბლაშვილის მეთაურობით. დას-
ტურდება, რომ იგი აქტიურად
მონაწილეობდა 1944 წლის ივნის-
აგვისტოს ბრძოლებში და „რუსე-
თის“ სახელობის რაზმთან ერთად,
ლანცოს დაბლობში, კერძოდ ბა-
ლმაფოლის ზონაში, მტრის წინაა-
ღმდეგ რამდენიმე ოპერაციაც გა-
ნახორციელა. ცხადია, მე-19 ბრი-
გადისათვის მაშველ რაზმს რომ
გზავნიდა, 42-ე ბრიგადის ხელმძ-
ღვანელობას ანგარიში უნდა გაე-
წია პარტიზანთა ეროვნული კუთ-
ვნილებისათვისაც, რადგან საბჭო-
თა ადამიანები, კერძოდ ქართვე-
ლები, თავგანწირვით იბრძოლებ-
დნენ თავისიანების, მათ შორის
თანამემამულების გამოხსნისათ-
ვის.

1944 წლის შემდგომაზე აღნიშ-
ნული რაზმის მებრძოლები სის-
ტემატურად მონაწილეობდნენ
დივერსიებში ტურინ - მოდენას
სტრატეგიულად მნიშვნელოვან

10 იქვე, გვ. 140.

11 ზ. მერკვილაძე, პალმირო ტოლია-
ტი წერს ნ. კუბლაშვილს. გაზ. „კომუნი-
სტია“, 20.8.1961

რეინიგზაზე. ჭერ-ჭერობით დო-
კუმენტურად დადასტურებულია
ორი ფაქტი. აი ისინიც:

1944 წლის 12 სექტემბერს
ამ ბრიგადის ამფეტამინითა
ჯგუფს დაევალა ტურინის მიმარ-
თულებით მიმავალი გერმანელთა
სამხედრო ეშელონის გადაჩეხვა.
განთიადისას პარტიზანები (მათ
შორის იყო შვილი ქართველი),
ჯოვანი პეიროლოს საერთო მეთა-
ურობით, მთიდან დაშვნენ და
კიანოკის მახლობლად დანაღმეს
რკინიგზის ლიანდაგი. ამ დროს,
მოულოდნელად, გზაზე გამოჩნდა
დიდი სიჩქარით მომავალი ორი
მსუბუქი მანქანა. ქ. პეიროლომ
ბრძანა ცეცხლი დაეშინათ მათთ-
ვის. პარტიზანებმა დაცხრილეს
მანქანები და დახოცეს შიგ მყო-
ფი 10-მდე გერმანელი, მათ შორ-
ის ვერმახტის სატანკო დივიზიის
გენერალი და პოლკოვნიკი. ერთი
მანქანა ალექსანდრე კობახიძე¹²
ათეთქა. მან „ელვისებურად
სტყორცნა გერმანული ხელყუმბა-
რა, რომელზეც დამაგრებული
იყო ხუთი პლასტიკური ამფეტამ-
ბელი (ამ ტიპის ყუმბარებს იგი
ამზადებდა ტანკებისა და ჯავშა-
ტრანსპორტიორების წინააღმ-
დებ)“. უძლიერესი ათეთქებისა-
გან მანქანა 25 მეტრზე გადავარ-
და. სწორედ ამ მომენტში გამოჩ-
ინიგზაზე და მომენტში გამოჩ-

12 ალ. კობახიძე, რომელიც მ. გალე-
ნის სიტყვით „მამაცურად მოქმედებდა
ამ და მომდევნო ოპერაციებში, დაიღუპა
ბორგონესთან ბრძოლაში ტყვიაშფრქვე-
ვის ჭერით“ (მისი, დასახ., ნაშრომი, გვ.
142).

ნდა ეშელონიც. სროლისა და აფეთქების ხმაზე მემანქანებმა ჭერშეაჩერეს მატარებელი, შემდეგ კი უკუსვლით წაიყვანეს იგი. მართალია, პარტიზანებმა მაინც ააფეთქეს რეინიგზის ხაზი, მაგრამ ეშელონის გადაჩეხვა უკვე ვეღარ შეძლეს.¹³

იმავე წლის 17 სექტემბერს 42-ე ბრიგადის მეორე რაზმა, ისევ კიანკის ზონაში, ააფეთქა ტურინ-მოდენას სარკინიგზო მაგისტრალი. რაზმში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბრიგადის მეთაურის მოადგილე მიქელე კუნეო, შედიოდნენ კომისარი ლუილიო ბორჯისი, მებრძოლები მარიო ვოტა, პასკუალე, ბრუნო და სხვები, სულ 16 კაცი. აქვე იყო „განუყრელი ავტომატით შეიარაღებული ქართველი გრიშა (გრიგოლ პატაშურა), ბრგე ახალგაზრდა, განსაკუთრებით ლონიერი და მოძრავი, ძალიან მამაცი და აუღელვებელი“.¹⁴ ის იყო ხაზი ააფეთქეს, რომ პარტიზანებმა შენიშნეს გერმანელებით სავსე ავტომანქანა და ყველა სახეობის იარაღიდან ცეცხლი გახსნეს. მალე პარტიზანები გაეცალნენ ბრძოლის ველს, რაღაც ზურგიდან მომავალი ჭავშანტრანსპორტიორითა და გერმანელთა დიდი რაზმით, რომელიც „4-5 მანქანაში იჭდა“, მათ ალყის საფრთხე დაემუქრათ. „და მაშინ, — იგონებს მ. კუნეო, — მომეცა შესაძლებლობა სწორად შემეტა-

სებინა ქართველი გრიშას მამაცობა და აუღელვებლობა. ელვი-სებური ნახტომით მან გადაინაცევლა ახალ ადგილზე და თავისი ავტომატის ჭერით მაშინვე დასცა ორი გერმანელი ოფიცერი, რომლებმაც მანქანიდან გაღმონედეს, შემდეგ კი ცეცხლი გადაიტანა სხვა მანქანებზეც. გრიშას სწრაფმა რეაქციამ და მის მიერ მტრებში გამოწვეულმა არეულობამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვეკავებინა რამდენადმე მოხერხებული პოზიცია საფრთხის მოგერიებისათვის“.¹⁵

ასეთ ვითარებაში პარტიზანებს ტყვია-წამალი შემოაკლდათ და იწყეს უკანდახევა, რომ ტყისთვის შეეფარებინათ თავი. ფაშისტებმა იგრძნეს მოწინააღმდეგის გასაჭირი და კვლავ სცადეს მათი ალყაში მოქცევა. მაშინ ბრიგადის სარდალმა ალ. ჩამეიმ, რომელიც მახლობელი გორაკიდან ადევნებდა თვალს ბრძოლის მსვლელობას, თავისი რაზმები დაძრა პარტიზანთა დასახმარებლად. „მათ შორის იყო საბჭოთა რაზმიც. მართალიც, გერმანელებს ზურგს უმაგრებდა რამდენიმე ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორიც, მაგრამ ამის მიუხედავად „საბჭოთა რაზმის შებრძოლები სხვა რაზმების მეომრებთან ერთად გაბედულად გადავიდნენ შეტევაზე. ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა და სულ უფრო მძაფრდებოდა. ძალთა სიჭარბის მიუხედავად გერმანელებმა დიდი ზა-

13 იქვე, გვ. 141-142

14 იქვე, გვ. 142.

15 იქვე, გვ. 142 : 13

რალი განიცადეს. მათ 20-ზე მეტი კაცი მოუკლეს, მრავალი კი— დაუჭრეს“. გამარჯვება პარტიზანებს დარჩათ. წარმატება მით უფრო თვალსაჩინო იყო, რომ გარიბალდიელებს მხოლოდ ოთხი მსუბუქად დაჭრილი თანამებრძოლი ჰყავდათ. „ამ დაუვიწყარ დღეს, — აღნიშნავდა მიქელე კუნეო, — ბრწყინვალედ წარმოჩნდა ერთიანობით გასხივოსნებული საბჭოთა და იტალიელ პარტიზანთა გმირობა“.¹⁶

ცხადია, „რუსეთის“ სახელობის საბჭოთა პარტიზანული რაზმის მოქმედების შესახებ აქ წარმოდ-

გენილი სურათი სრული არაა (ამას ერთ-ერთი მიზეზია სათანადო მასალის სიმცირეც). უნდა ვითქიქ-როთ, რომ მომავალში ცნობილი გახდება შორეული პენინის ნახევარკუნძულზე თანამემამულეთა მამაცობის ამსახველი მრავალი ფაქტი. ერთი კი უეჭველია, ვლა. გაბისონიამ და მისმა რაზმმა ღირსეულად მოიხადეს მოქალაქეობრივი ვალი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და საინტერესო ფურცლები ჩაწერეს საბჭოთა და იტალიელი ხალხების მხედრული თანამეგობრობის ისტორიაში.

აღექსანძრე მსხადაპც

ხალხური მუსიკალური სპეჩენები აჭარაში

საქართველო ოდითგანვე სიმღერის ქვეყანაა. ჩვენში ვოკალური და ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკის მაღალი კულტურა არსებობს. რაც შეეხება შმინვა საკრავიერ მუსიკას, ასამღე დასახელების ეროვნული და შემოსული ინსტრუმენტების მიუხედავად, მცირე ტექნიკურ შესაძლებლობათა გამო, საქართველოში იგი ისე ვერ განვითარდა და გაიფურჩქნა, როგორც ვოკალური ან ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკა.¹

ქართული ვოკალური მუსიკის პრიორიტეტი საკრავიერი მუსიკის წინაშე არ გვაძლევს უფლებას. ნაკლები ყურადღება დავუთმოთ ხალხურ ინსტრუმენტებსა და საკრავიერ მუსიკას, და არ გავიხდოთ იგი ჩვენი შესწავლის მიზად. ჩვენი ამჟამინდელი კვლევის ობიექტს აჭარაში გავრცელებუ-

ლი ხალხური მუსიკალური საკრავები წარმოადგენენ.²

აჭარაში არსებული ხალხური საკრავები ან საერთოქართულია და საქართველოს ბევრ სხვა კუთხეშიც გვხვდება, ანდა სხვა ქვეყნებიდან შემოსული და ეროვნულ მუსიკას მისადაგებული.

ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს შეადგენს აჭარაში გავრცელებული საკრავების დაჯგუფების, წარმოშობა-წარმომავლობის, დამზადების წესების, აღწერა - გაზომვის, ტრადიციის, რეპერტუარის საკითხების გარკვევა და ნაწილობრივ თვით ინსტრუმენტული მუსიკის ანალიზი. მასალად, სამეცნიერო ლიტერატურაში აღრე არსებულ ცნობებთან ერთად, ვიყენებთ და ვეყრდნა.

¹ გრ. ჩხიფაძე, ქართული ხალხური სიმღერა, ტომი I, თბ., 1960, გვ. 14-15

² ნაშრომში გვერდს ვუგლით ჭიბონს, რომელსაც მიეძღვნა სპეციალური მონოგრაფია (იხ. ა. მსხალაძე, ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1969)

ნობით ძირითადად ჩვენს მიერვე აჭარის რაიონებში სამეცნიერო შივლინებებისა და ექსპედიციების დროს მოპოვებულ მონაცემებს. აჭარაში გავრცელებული ბევრი საკრავი უკვე საქმაო ხანია ხმარებაში აღარაა და, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, მუზეუმის კუთვნილება გახდა. ნაშრომში თავისი აღვილი პოვეს აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცულმა ინსტრუმენტებმაც.

სიმებიანი საკრავები

აჭარაში სიმებიან საკრავთაგან გავრცელებული ყოფილა ჩონგური, საზი (ჩამოსაკრავთაგან), ჭიანური და ქემენჩა (ხემიანთაგან). საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ აჭარაში სწრაფად იწყო გავრცელება აღმოსავლურ-ქართულმა სამსიმიანმა ფანდურმა, რომელიც დღეს აჭარის უკიდურეს სოფლებშიცაა დამკვიდრებული და მასზე ოსტატურად უქრავენ არა მარტო მამაკაცები, არა-მედ აჭარელი ქალებიც.

საზი. აკად. ივ. ჯავახიშვილის მოწმობით, საზი საქართველოს კუთხეებს შორის მხოლოდ აჭარაშია შენარჩუნებული, მაგრამ გხხვდება ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებშიც. იგი წარმოშობით აღმოსავლური საკრავია. გავრცელებული ყოფილა უპირატესად თურქთა, ქურთთა, ბულგარელთა და ბოსნიელთა შორის. აღმოსავლურ საზი, რომელიც ყელტარ-მუცლიანი საკრავია,

მსხლისმაგვარი ხის მუცელი აქვს და ოთხსიმიანია. პირველი, მეორე და მესამე სიმი ფოლადისაა, ხოლო მეოთხე — თითბრისა.

რადგან თურქეთში საზი ასეთი პოპულარობით სარგებლობს, აჭარაში მისი შემოსვლა თურქეთის გზით ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ვისი საერთო წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით ყურადსაღებია ივ. ჯავახიშვილისავე მოსაზრება, რომ ტერმინი „საზანდარი“, რომელიც სპარსული სიტყვაა, საზის დამკვრელს ნიშნავს.³

თანამედროვე აჭარული საზი სამსიმიანია. სიმები მას მავთულისა უკეთდება და პლექტრით იკვრება (იყენებენ ბლის გამხმარენებს, თხელი ქარვის ნაჭერს და სხვ.). საყურადღებოა სტ. მენთე-შაშვილის ცნობები საზის შესახებ, რომლის მიხედვით, „აჭარაში სიმებიანი საკრავები ზედგამული ლარების რიცხვის მიხედვით ოთხ ჯგუფად იყოფა:

1) საზი სამძაფიანია. საზზე დასამღერებელი ყველა მიჰყვება;

2) არის ოთხაფიანიც. ოთხაფიანზე მეტი დაიმღერება, სამიანზე — ნაკლები;

3) ექვსძაფიანი (ხუთძაფიანი არ შეიძლება). ექვსიანზე შეიძლება ყველა საცეკურის დაბრუნება, დასამღერებელი — ნაკლებად.

3 ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 164

4) ცხრაძაფიანი ნაკლებად არის, უკრავენ საცეკურებს“.⁴

აჭარაში საზი, ზოგი მთქმელის განცხადებით, ბოშების შემოტანილი ჩანს. ხულოს რაიონის სოფ. ირემაძების მკვიდრი ოსმან ირემაძე გადმოვცემს: — „ბუღაურში ქონდნენ საზი ციგნებს. იყო ერთი, მეჯიდა ერქვა. იქიდან მომეწონა, ბოში ვიყავი, ჩემი ხელით გავაკეთე და დავიწყე დაკვრა. ჭიბონი იცოდა მამაჩემმა. რასაც უკრავდა, იგი გადევიღე საზხე. ზოგს საზზე ექვსი თელი (მავთული) ჰქონდა. ერთი ბიჭილა სოლომონიძეა, მის საზს ექვსი თელი აქვს“. ინფორმატორის მოწმობით, ბოშები იმ სოფლებში ცხოვრობდნენ 30-იანი წლების დასაწყისში. ჭვანელი (შუახევის რაიონი), მუსა მსახურაძის ცნობით კი „საზი იყო შავშეთში — აშილები იყვნენ და იქიდანაა გადმოსული, მერე ხულოში ჩამოვდა ეს საზი“.

აჭარაში საზი მზადდება ნაძვის ხისაგან. მისგან ამზადებენ „კოდს“ (ჩანა), ხოლო სატარე მასალად წიფლის ხეს იყენებენ. მოსაჭერ სათითებს „ჩიგი“ ჰქვია. საზი ფანდურის ზომისაა და სხვადასხვა ფორმისა მზადდება; ზოგი მინიატურულ გიტარასაც მოგვაგონებს.

საზი იწყობა მაღალ რეგისტრში. მასზე სიმღერის შესრულებისას აკომპანემენტი მთელი ოქტავით მაღლა უღერს. საზს გააჩნია

სამიღან 5 ფარდამდე, ასე რომ, მისი ტექნიკური შესაძლებლობანი აღმოსავლური საზისაგან განსხვავებით, რომელსაც 14-16 ფარდამდე აქვს, ძალიან შეზღუდულია. საზის წყობა ფანდურისა და ჩონგურის წყობის ასიმეტრიულია, თანაც ძალიან თავისებური: თუ პირველ სიმს დო-ს დავარქმევთ, შუა სიმი მი იქნება, ხოლო ზედა — რე. პირველი ფარდი ყელიღან ისეა მოშორებული, რომ წმინდა ქვარტას იძლევა, ხოლო დანარჩენები სეკუნდებით არიან ერთმანეთისაგან დაშორებული.

საზზე სრულდება საცეკვაო მელოდიები: „ცეკვა“ ანუ „ცეკური“, „ქალური“, „ყოლსამა“, „ხორუმი“ და სხვა. მაგრამ საზი ძირითადად სიმღერის სააკომპანემენტო მუსიკალურ ინსტრუმენტად გამოიყენება. საზზე უპირატესად სოლო სიმღერები სრულდება. ჩვეულებრივ, აკომპანია ტორითვითონვე უნდა იყოს მომღერალიც.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად, როცა საზი აჭარაში ფეხს იყიდებდა, მასზე წმინდა ბაიათურ-აშულური ტიპის სიმღერები სრულდებოდა. შეიძლება ასეთი სიმღერები აჭარაში დღესაც აქა-იქ გაისმოდეს. მაგრამ ერთ-ერთი აღინიშნომიერება აუცილებლად უნდა აღინიშნოს, და ეს ითქმის არა მარტო საზის, არამედ სხვა აღმოსავლური წარმოშობის საკრავების შესახებაც. საზი თანდათანობით ისე მიესადაგა ადგილობრივ ქართულ მუსიკალურ კულ-

ტურას, რომ მან შეიძინა ჩონგურის, ჭიბონისა და სხვ. რეპერტუარის, დაკვრის წესებისა და ტექნიკურ საშუალებათა ბევრი ნიშანთვისება. მესაზეებს ზოგჯერ საზოგე მთლიანად გადაჰქონდათ ცნობილ მეჩინგურეთა არა მარტო მელოდიები, არამედ ტექსტებიც კი. ჩვენ მიერ ხულოს რაიონის სოფ. ირემაძეების მცხოვრების ეზიზ ირემაძისაგან ჩაწერილ დასამღერებელს ჰქვია „ბაჯელიძის ყეიდე“.⁵ ამ ბუნებრივი პროცესის შედეგია სწორედ ის, რომ საზის რეპერტუარი დღეს უპირატესად ადგილობრივი კოლორიტით ხასიათდება.

ჩონგური. დასავლეთ საქართველოს პოპულარული მუსიკალური ინსტრუმენტის ჩონგურის შესახებ ბევრია დაწერილი და ამიტომ

5 იგულისხმება ბრმა მეჩინგურე ხუსია ბაჯელიძე, რომლის პოპულარობა, როგორც გაღმოგვცემენ, სცილდებოდა აჭარის ფარგლებს. ღოც. ჭ. ნოღაიძე-ლი 1940 წელს გამოცემულ „აჭარის ხალხურ სიტყვიერებაში“ წერდა: „ხუსია ბაჯელიძე ცნობილი სახალხო ბრმა მეჩინგურეა. ჩონგურზე ტკბილი ხმით ასრულებს მრავალ ძველსა და ახალ სიმღერებს. შეთხზული აქვს რამდენიმე საკუთრის ლექსი. უმთავრესად ხალხური პოეზიის დიდი მცოდნეა. მან ზეპირად იცის ასეული დიდი და მცირე ყალიბის ლექსი. ბაჯელიძე, როგორც კარგი ოსტატი, თითქმის საქართველოს ყველა კუთხშია ცნობილი. მოხუცზე გურულ ხალხურ პოეზიას დიდი გავლენა მოუხდებია. მისი საცხოვრებელი ადგილი ქობულეთის რაიონში სოფელ ხუცუბანია“ (ჭ. ნოღაიძე ლი, დასახ., წიგნი, გვ. 5)

მის ვრცლად განხილვას არც ვაპირებთ.

ჩონგურის გავრცელების არედ შეიძლება მთელი აჭარა მივიჩნიოთ. მაგრამ იგი უფრო ბარის აჭარაში, კერძოდ, ქობულეთშია ცნობილი. თუმცა ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, უკვე XX საუკუნის დასაწყისში და უფრო ადრეც, ზემო აჭარაშიც მრავლად იყვნენ საქმაოდ გაწაფული მეჩინგურები.

ჩონგურის ჩანა და ტარი მზადდება თუთის მთლიანი ხისაგან. ჩანას ზევიდან დაკრული აქვს ფიჭვის თხელი ფიცარი, რომელიც რამდენიმე ადგილასაა გახვრეტილი. ჩონგურის სიმებად, რომელიც სულ ოთხია, აბრეშუმის ძაფს იყენებენ. ოთხი ხის მოქლონიდან სამი ტარის ყელთანაა დამაგრებული, ხოლო ერთიც — ტარის შუაზე. ჩვეულებრივ მეოთხე სიმი, რომელსაც „ზილს“ ეძახიან, მოთავსებულია პირველ და მეორე სიმებს შორის. ჩონგურის ტარი ფარდებად არ იყოფა, ამიტომ მისი დამკვრელი უფრო მუსიკალური უნდა იყოს, ვიდრე, ვთქვათ მეფანდურე. დაკვრის დროს მეჩინგურე თითებით სიმებს საჭირო სიმაღლეს აძლევს, რაც მეოთხე სიმზე (ზილი) არ ვრცელდება, — იგი ყოველთვის ერთ სიმაღლეზე ჟღერს.

ჩონგურს რამდენიმე წყობა გააჩნია, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის მელოდია ან სიმღერა სრულდება მასზე. მისი წყობებია:

I წყობა: ფა, ლა, დო, ფა.

II წყობა: ფა, ლა, დო, მი.

III წყობა: ფა-დიეზ, ლა, დო-დიეზ, მი.⁶

ამ წყობებს ხალხში „მეგრულ“, „სიმონა დოლიძისა“ და „ხორუმის“ წყობებსაც უწოდებენ.

ჩონგურზე დაკვრისას იყენებენ როგორც ჩამოკვრასა და ამოკვრას, ასევე ე. წ. ჩქმეტასაც. ზოგჯერ დაკვრის დროს თითებს ისე სცემენ ჩანის სახურავს, რომ ჩონგური ამასთან ერთად დოლის სუსტ ბგერებსაც გამოსცემს.

აჭარაში, როგორც საერთოდ დასავლეთ საქართველოში, ჩონგურზე უკრავენ ქალებიცა და მამაკაცებიც. მასზე შეიძლება როგორც ერთხმიანი, ისე მრავალხმიანი სიმღერების შესრულებაც.

შიათვი. აჭარაში გავრცელებული ზოგიერთი ხალხური ინსტრუმენტის შესახებ ცნობებიდა შემონახულა. რაც შეეხება თვით ინსტრუმენტს, იგი დღეს ხალხში სავსებით აღარ გვხვდება. ამ კატეგორიის საქართველოს მიეკუთვნება ჭიათურიც, რომლის შესახებ დღეს ცნობების შეკრებაც კი ჭირს. ჭიათური ერთ დროს, ალბათ, მთელ აჭარაში იყო გავრცელებული, მაგრამ დღესდღეობით ცნობები ჩვენ მხოლოდ ქობულეთის რაიონიდან მოგვეპოვება. ცნობილი ხალხური მომღერალი და ლოტბარი ქამილ ტაკიძე მოგვითხრობს: „მა-

6. ვ. ახობაძე, ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები, ბათუმი, 1961, გვ. 36

მაჩემის გადმოცემით, ქობულეთის რაიონში გავრცელებული იყო ჭიათურიც. იგი კოშისაგან (მწარე კვახი) კეთდებოდა და ყელი ხისჭ ჰქონდა. სიმი აბრეშუმისა იყო. უკრავდენ ხემით — ცხენის ძუით: კოშზე ზევიდან გადაკრული იყო თხის ტყავი. ჭიათური სამსიმიანი საკრავი იყო“.

აჭად. ივ. ჭავახიშვილის დასკვნით, ჭიათური XVII საუკუნის მეორე ნახევარში ფართოდ ყოფილა საქართველოში გავრცელებული და შვილდაკიან საკრავთა ჯგუფიდან ყველაზე მეტად ყოფილა ხალხისათვის ცნობილი. მისივე მოსაზრებით, „ჭიათური არსებითად იგივე ჩაღანაა“.⁷

საქართველოში ორი სახის ჭიათური არსებულა: ერთი აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული და განსხვავდებოდა დასავლეთ საქართველოში არსებული ჭიათურისაგან. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს კუთხეთაგან ჭიათური უფრო გურიაში იყო გავრცელებული; ამიტომაა, რომ აკად. დ. არაყიშვილი და მასზე დაყრდნობით აკად. ი. ჯავახიშვილიც დასავლეთ საქართველოს ჭიათურს გურულს უწოდებენ.⁸ მაინც როგორი იყო გურული ჭიათური?

„ჩონგურს რომ მუცლის ანუ ჩანას ბოლო მოვჭრათ და მომრ-

7 ივ. ჭავახიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 168

8 დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, ქუთაისი, 1925, გვ. 35

გვალო მოყვანილობისად ვაქციოთ, თანაც ოთხი სიმის მაგიერ იქ სამი აბრეშუმის სიმი მივამაგროთ, გურული ჭიანური გამოვა. ამ საკრავის წყობაა დო-მი-სოლ. ამ ჭიანურსაც ძუის შვილდაკით უკრავენ“.⁹

ჩვენ დღესდღეობით არაფერი ვიცით აჭარული ჭიანურის წყობის შესახებ. სხვა მხრივ კი გურული და აჭარული ჭიანურის მსგავსება ეჭვს არ იწვევს. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული სიმებდაწყვეტილი ჭიანური კი, ბუნებრივია, ბევრს ვერაფერს მოგვეხმარება საკითხის გარევევაში.

მავრენა. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობები ქამანჩის შესახებ მხოლოდ XVII საუკუნიდან გვხვდება. თეიმურაზ პირველის „იოსებ ზილიხანიანში“ ნათქვამია: „ჩანგ-სეთაი, უდ-ქამანჩა, მუღნი ყანუშს შეეხმობის“. ეს საკრავი ხშირად გვხვდება ფეშანგი ფაშვიძერტყაძის „შავნავაზიანშიც“. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სულხან ორბელიანს თავის ლექსიკონში ამ საკრავის სახელი შეტანილი არა აქვს. ყოველივე ეს ბადებს ეჭვს: ეს ხალხური ინსტრუმენტი საქართველოში შეიძლება არც იყო ცნობილი და მხოლოდ აღმოსავლურიდან, კერძოდ, სპარსულიდან ნათარგმნ ან სპარსულ სიუჟეტებზე შექმნილ თხზულებებში გვხვდება. მაგრამ რა ვუყოთ იმ ფოლკლორულ მასალას, განსაკუთრებით კი

პოეზიის ნიმუშებს, რომლებში ხსენებული საკრავი ფიგურობარებს სხვა ქართულ საკრავებთან თაღ? მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

„ქართლელი ქალი შევირთე,
წამოვიყვანე ტივითა,
მერე მომიკვდა ჭირითა,
. . . დავმარხე,
ქამანჩითა და სტვირითა“.

ან სხვა ლექსი:

„მეც უკან მოგტუნტულებდე
ჩემი სტვირ-ქამანჩიანი,
საჩუქარი გმირმელოს,
ჯიბეს გაჰქონდეს ჩხრიალი“.

ცნობილია ხალხური გამოცანა რწყილზე:

„შვი არი შაშვივითა,
იკბინება ძალივითა.
პატრონს ღამით ათაშაშებს
ქამანჩა და სტვირივითა“.

„სოლალის ლექსის“ ერთ-ერთი ვარიანტი ასე მთავრდება:

„ეს მე გამოვთქვი ხორგაძე
სტვირსა და ქამანჩაზეა“.

მოტანილი მასალა აღასტურებს იმ გარემოებას, რომ ქართველ საზოგადოებას გარევეული წარმოდგენა ჰქონდა ქამანჩის, როგორც მუსიკალური საკრავის შესახებ. ამავე დროს ყურადღებამისაქცევია ის გარემოებაც, რომ ქართულ ფოლკლორულ წყაროებში ქამანჩა სტვირისაგან განუყრელია და მასთანაა შეწყვილებული.

აკად. ივ. ჭავახიშვილის გამოკვლევით, „ქამანჩა სპარსული სიტყვაა და... პატარა შვილდასა ნიშნავს“, ხოლო „ქამანჯე“ სპარსულად, საერთოდ, „ქამანიანი“,

ე. ი. შვილდაკიანი საკრავის ზოგადი სახელია და ჩვეულებრივ „ქამანჯე აჭუზი“ ე. ი. ძველი შვილდაკიანი საკრავი იგულისხმება, რომელსაც კოქოსის კაკლისაგან გატეობული მუცელი, გრძელი ყელი და ერთი ანდა ორი სიმი აბია“.¹⁰ გერმანელი მეცნიერის კურტ ზაქსის ნაშრომზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი ასევნის: „მხოლოდ რუმის ქამანჯას — ქამანჯე-რუმისა აქვს ოთხი, ანდა 6 ძალი და 4, ანდა 6 ხმამცემელი სიმი“.¹¹

დღესდღეობით ძალიან ძნელია ჩმის დადგენა, ვინ ან როლის შემოიტანა აღნიშნული მუსიკალური ინსტრუმენტი აჭარაში. ზალხში შეკრებილი მასალის მიხედვით მისი შემომტანი არიან უჯემები (სპარსელები), ბერძნები და სომხები (იგულისხმება თურქეთში მცხოვრები და შემდეგ გადამოსახლებული ბერძნები და სომხები). ზოგიერთი მასალის მიხედვით, ქემენჩა აჭარაში ლაზებს უნდა გაევრცელებინათ. ზეპირი ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს საკრავი აჭარაში მე-19 სუკუნის ბოლოდან ფიგურირებს. თუ ამ საკრავის აჭარაში გავრცელებულ სახელს დაკვირდებით (ქემენჩა და არა საქართველოს სხვა კუთხებში და ლიტერატურაში ცნობილი ქამანჩა), შეიძლება დავასკენათ, რომ ინსტ-

რუმენტი აჭარაში თურქეთის გზითაა შემოსული.¹²

ქემენჩა 20-30 წლის წინ აჭარაში ფრიად პოპულარული ინსტრუმენტი იყო და მას ყველგან შეხვდებოდით. ამჟამად კი იგი ძალიან ძნელი მისაკვლევია. შეიძლება მთელ აჭარაში დღეს სულ რამდენიმე ქემენჩა და მასზე დამკვრელი აღმოაჩინო.¹³

ქემენჩა 60 სმ-მდე სიგრძის მოგრძო ფორმის საკრავია. ჩანა და ყელი ერთიანი გამხმარი თუთის ხისაგან მზადდება. ჩანის სახურავად ნაძვის ხეს იყენებენ. აჭარაში გავრცელებულ ქემენჩას უკეთდება ლითონის სამი წვრილი სიმი. რეზონაციისათვის სახურავზე ორი ოვალური ამონაჭერი კეთდება, ხოლო ჩანას გვერდებზე დატანებული აქვს ოთხი ნახვრეტი.

ჩანის გარშემოწერილობა 28 სმ უდრის, სიმაღლე 5,5 სმ-ია, ხოლო სიფართე 9-10 სმ. ქემენჩაზე უკრავენ ცხენის ძუით, რომელიც გადაჭიმულია თხილის გამხმარებეზე.

ყელის დაყოლებით, ჩანის ზემოთ მოთავსებულია 16 სმ სიგრძისა და 4-5 სმ. სიფართოვის ენა. ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ქედქედის მცხ. აღემ ჯიგანაძის თქმით,

12 არაბულ-სპარსული, ენებიდან, თურქულში შესულ სიტყვებში, ფუძის ახმოვნის მიგივრად ეს ზენაცვლება ჩვეულებრივი მოვლენაა.

13 ჯერჯერობით ჩაწერილი გვაქვს მხოლოდ ერთი ქემენჩის რეპერტუარი, მისი დამზადების წესები და ნაწილების სახელები.

10 ივ. ჯავახიშვილი, დასახ., წიგნი, გვ. 166-167

11 ივ. გვ. 9

ეს სილამაზისათვის აქვს ქემენჩას
გაკეთებული.

ქემენჩის ნაწილების ადგილობ-
რივი სახელებია: ჭერა (ჩანის მნი-
შვნელობით), თელი (სიმები), ხი-
დი (ჯორავი), სახურავი, ჩივები
(მოქლონები), ენა, ყელი, თავი.
ხემს უბრალოდ ქემენჩის დასაკ-
რავს ან ძუას უწიდებენ.

ქემენჩას ფარდები არ გააჩნია
და მასზე დაკერა ვიოლინოზე და-
კვრას მოგვაგონებს, ოღონდ დამ-
კვრელს ინსტრუმენტი მუხლებს
შეუ აქვს მოთავსებული. ქემენჩა
წმინდა კვარტებით იწყობა და გა-
მოსცემს ნაზ ბგერას.

ქემენჩის რეპერტუარი მრავალ-
ფეროვანია. მასზე ასრულებენ
საცეკვაობებს: ხორუმს, ყოლსამას,
შალახოს, ლეკურს, ლაზხორომსა
და სხვ. იგი გამოიყენება ასევე
სიმღერის სააკომპანემენტო საკ-
რავადაც. მოხერხებული დამკვრე-
ლი სიმღერასაც თვითონვე ასრუ-
ლებს. უფრო კი სიმღერის შემს-
რულებლად მეორე პირი, უპირა-
ტესად დეფის დამკვრელი გვევ-
ლინება. მთქმელთა განცხადებით,
ქემენჩას არ შეიძლება ახლდეს
დოლი, რადგან დაფარავს მის შე-
დარებით სუსტ ხმას.

ჩასაგერი საპრავები

ჩასაგერ საკრავთაგან აჭარაში
გავრცელებულია სალამური, გუ-
ლის ჭიბონი და ზურნა.

სალამური. სალამური მსოფლი-
ოს ყველა ხალხშია ცნობილი. მას
მიიჩნევენ მწყემსის საყვარელ და

განუშორებელ ინსტრუმენტად.
ამასვე ადასტურებს არქეოლოგი-
ური გათხრებიც საქართველოში
და ქართული ეთნოგრაფიული სი-
ნამდვილე. აღმოსავლეთ საქართ-
ველის მთის კუთხეებში (ფშავში,
ხევსურეთში, თუშეთში, ხევსა თუ
მთიულეთში) მეცხვარე და სალა-
მური განუყოფელია, უერთმანე-
თოდ წარმოუდგენელია.

სალამური პოპულარული იყო
მესაქონლეობის ისეთ ტრადიცი-
ულ კუთხეშიც, როგორიც აჭარაა.
საკრავს აჭარაში „სალამურთან“
ერთად „ყავალსაც“ ეძახიან. აჭა-
რაში უფრო ენიანი სალამურია
ცნობილი, ხოლო რაც შეეხება
უენო სალამურს, იგი ნაკლებგავ-
რცელებული ჩანს. სალამურზე
დაახლოებით ის მელოდიები სრუ-
ლდება, რაც სხვა საკრავებისათ-
ვისაა დამახასიათებელი. ამ ბოლო
დროს მეტად პოპულარული. გახ-
და მესალამურთა ღუეტი ან მათი
ანსამბლი ფანდურის თანხლებით.
აჭარაში გავრცელებული სალამუ-
რი აღნაგობით თითქმის არაფრით
განსხვავდება სხვა კუთხეებში
ცნობილი საკრავისაგან.

ზურნა. ლიტერატურაში არსე-
ბული ცნობები საქართველოში
ზურნის გავრცელების შესახებ
XVII საუკუნეზე შორს არ მიდის.
აკად. ი. ჭივახიშვილის დასკვნით,
„პირველად როდის გაჩნდა იგი
ჩვენში, ჭერ კიდევ გამოსარკვე-
ვია; მხოლოდ ფეშანგის პოემით-
გან ჩანს, რომ XVII ს. დამლევს
უკვე ყოფილა ცნობილი, მაგრამ

უფრო ვითარცა სპარსული საკ-
რავი".¹⁴

ცხადია, აჭარაში ზურნა თურ-
ქეთის გზით შემოვიდა და პოპუ-
ლარული საკრავი გახდა. შეკრე-
ბილი ცნობების მიხედვით, XIX-
XX საუკუნეთა მიჯნაზეც იგი ზე-
მო და ქვემო აჭარაში თანაბრად
იყო მიღებული. მაგრამ ბოლო
დროს იგი ბარის აჭარისათვის, სა-
ხელდობრ, ქობულეთის ჩაიონის-
ათვისაა ნიშანდობლივი.

ზურნის მასალად იხმარება მა-
გარი და გამძლე ხე: ბზა, მსხალი,
ტყემალი. საკრავი რამდენიმე ნა-
წილისაგან შედგება. ჩასაბერ ნა-
წილს „კამიშს“ ეძახიან, მას დახ-
ვეული აქვს გასანთლული ტილო,
რომ პაერი არ გავიდეს. კამიშს სა-
ტუჩეზე წამოცმული აქვს სპილე-
ნის რგოლი, თვითონ კი ჩამაგ-
რებულია ფირცხალში. კამიშში
ჩაბერილი პაერი გაივლის ფირც-
ხალს და შემდეგ ნახვრეტებისა-
კენ მიემართება. ზურნას წინამხა-
რეს 7 ნახვრეტი აქვს, ხოლო უკ-
ანა მხარეს — ერთი (პირველ და
მეორე ნახვრეტებს შუა). ზურნის
ბოლო ნაწილი გაშლილ-გაფარ-
თოებულია.

ზურნის ნაწილთა ზომა საშუა-
ლოდ ასეთია: ზურნის სიგრძე —
42 სმ, კამიშის სიგრძე — 6 სმ,
მანძილი ¹ 1 და 7 ნახვრეტებს შო-
რის — 17 სმ, სატუჩის სიგრძე —
2 1/2 სმ, რგოლის დიამეტრი —
5 1/2 სმ, ზურნის ბოლო გაშლი-

ლი ნაწილის დიამეტრი — 13 სმ.

ზურნას უკრავენ უპირატესოდ
დიდ დავლთან ერთად. ზურნა არ-
ის შედარებით მოკლე და გრძე-
ლი. მისი სიგრძე მერყეობს 30-
დან 50 სმ-მდე. მოკლე ზურნა მა-
ღალ რეგისტრზეა აწყობილი,
გრძელი — დაბალზე. საერთოდ,
გრძელი ზურნა მოსასმენად გაცი-
ლებით სასიამოვნოა. ზურნა ძი-
რითადად გამოიყენებოდა ქოჩი-
ლსა და მგზავრობაში. ზურნისა
და დიდი დავლის ხმა რამდენიმე
კილომეტრზე სწვდებოდა. ზურ-
ნაზე საცეკვაო მელოდიებიც (მო-
რუმი, ოოფალოინი, ყოლაშა)
სრულდება.

ქორწილში ზურნისა და, ლავ-
ლის დაჭირავება ვაჟის მამის მო-
ვალეობას შეადგენდა. ხდებოდა
ისეც, რომ დაკვრის შემდეგ მო-
ცეკვავენი და მაყურებელნიც ხე-
დიდნენ ფულს, მაგრამ ბევრ
ოჯახს ეს სირცხვილად მიაჩნდა
და ამის ნებას არ იძლეოდა. მ-
უამად ქორწილში ზურნა და ლავ-
ლი იშვიათად გვხვდება.

ბარის აჭარაში, კერძოდ, ქო-
ბულეთის ჩაიონში, ზოგჯერ ზუ-
რნას ჭიბონს ეძახიან. ასევე ეთ-
მანეთის პარალელურად ხმარობს
ამ ტერმინებს დოც. ქ. ნოღაილე-
ლი. გამოდის, რომ ერთი მხრივ
არსებობს ჭიბონი, მეორე მხრივ
კი — გუდის ჭიბონი, ისევე რო-
გორც გუდასტვირი და უბრალოდ
სტვირი. აქ თითქოს გვეძლევა მი-
საძლებლობა, რომ აჭარაში არ-
ბული ზურნა — ჭიბონი მივიჩი-
ოთ ეროვნულ საკრავად (მას გარ-

¹⁴ ი. გ. ჭავახიშვილი, დასახ., წიგნი, გვ. 203.

თლაც აქვს ბევრი განმასხვავებელი ნიშანი კლასიური ზურნისა-გან, რომელთა შორის მთავარია ხმის სიღიღე და ტემბრალური სხვაობა). მაგრამ ამ საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია არა მარტო გარეგანი მსგავსება-განსხვავების დადგენა, არამედ უფრო დეტალური შედარებითი მუსიკალური ანალიზი, რაც მომავალი კვლევის საგანია.

დასარტულელი საპრავეზი

საქართველოში დასარტუმელ საკრავთაგან ცნობილი იყო ბობ-ლანი, სპილენძჭური, ნაღარა, დაფი, დაფდაფი, დუმბული, ტაბლა, ტაბლაკი, დიპლიპიტო. ამ საკრა-ვთა უმეტესობა დღეს ხმარებაში, უკვე არც არის და ისინი მხო-ლოდ ორიგინალური და თარგმ-ნილი ისტორიული თუ მხატვრუ-ლი ლიტერატურის ძეგლების მი-ხედვით დგინდება.

თუ საკითხს ტერმინოლოგიის კუთხიდან შევხედავთ, გაკვირვე-ბას იწვევს ის გარემოება, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი საკრავებს შორის არ ასახელებს დოლს. ამ ტერმინს იგი, მართალია; ერთ ად-გილას ხმარობს, როცა არქანჭე-ლო ლამბერტის ცნობას ეყრდ-ნობა საკრავის ტრადიციის შესა-ხებ სამეგრელოში, მაგრამ ამ ცნობას სარწმუნოდ ვერ მივი-ღებთ, რადგან ამჟამად ჩვენთვის ძნელი დასადგენია, თუ რა ტერ-მინი ფიგურირებს რეალურად ლა-მბერტის „სამეგრელოს აღწერის“ იტალიურ ტექსტში. ვფიქრობთ,

რომ მთარგმნელის მიერ შესაბა-მის ადგილას „დოლის“ ხმარება პირობითი უნდა იყოს.

„დოლი“ პრც ს. ორბეგლიანის აქვს შეტანილი თავის ლექსიკონ-ში საკრავის აღმნიშვნელ ტერმი-ნად. საკითხის ნათელსაყოფად მოვუსმინოთ ლექსიკოგრაფს; იგი დასარტყმელი საკრავების შესა-ხებ ამბობს: „დაფი — ესე არს გრკალი, ცალთა მხარეთა ეტრატი აკრავს საცემლად მრიკავთაფიის, რომელსა სპარსნი დაირას უწო-დებენ; ხოლო დაფდაფსა ორსავე მხარეს ეტრატი აქუს, რომელსა დაულს უწოდენ იგინივე“.¹⁵

ამ ამონაწერის მიხედვით, საბას დაფი თითქოს ეროვნულ ტერმი-ნად მიაჩნია და მას უპირისპი-რებს სპარსულ დაირას. ფაქტიუ-რად კი ორივე სახელწოდება არ-აბულიდან მომდინარეობს¹⁶ და შესული ჩანს თურქულსა და სპა-რსულში, ხოლო ამ გზით — ქარ-თულ ენაშიც. ტერმინი „დოლი“ ეტყობა ახალი წარმოშობისაა, სა-ბას ეპოქაში მის მაგივრად „დაფ-დაფი“ ან „დაბდაბი“ იხმარებო-და, რომელსაც აღმოსავლურ ენე-ბში „დაული“ შეესატყვისება. ჩვენ გვგონია, რომ „დოლი“ „და-ულის“, სახენაცვალი ფორმაა.

15 სულხან-ხაბა თრბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928

16. Магазаник, Тураецко - русский словарь, М., 1945

აჭარაში დასარტყმელ საკრავთაგან გვხვდება დოლი (დიდი და პატარა) და დაფი. საგულისხმოა, რომ აქ მოსახლეობა ხმარობს ამ ტერმინს მხოლოდ „დავლის“ ფორმით და „დოლს“, განსაკუთრებით ხანდაზმულებში, იშვიათად ვხვდებით.

ეს, რაც ტერმინს შეეხება. თვით დასარტყმელი საკრავები კი ჩვენს კუთხეში, ალბათ, უხსოვარი დროიდან არსებობდნენ. მათ თავისი ფუნქცია გააჩნდათ და გააჩნიათ დღესაც. დასარტყმელი საკრავები დიდ როლს ასრულებდნენ როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს. დოლი არა მარტო მტრის მოახლოებას ამცნობდა ხალხს, არამედ საქორწილო მაყრისაც. საცეკვაო რიტმს ხომ ძირითადად დასარტყმელი საკრავები ქმნიდნენ.

დავლს აჭარაში ცაცხვის ხისაგან ამზადებდნენ. ცაცხვის ხე მსუბუქია და ამიტომ უფრო მოსახერხებელიც, რადგან აქ დავლს უპირატესად დიდი მოცულობისას აკეთებენ. მოჭრილ მასალის უპირველეს ყოვლისა ახმობენ, შემდეგ სადავლე ხეს გამოჩირქნიან სატეხებით, სპეციალური დაზგა არა აქვთ. გადასაჭიმავად იხმარება თხის ან ხბოს ტყავი. ზედა ტყავი უფრო მაგარი და გამძლე უნდა იყოს, რადგან „კვერკვეტა“ (დასარტყმელი ჯოხი) მძიმეა და ამასთან ძლიერი დარტყმაა საჭირო. კვერკვეტას ამზადებენ

მსხლის ან წითლის ხისაგან; უნდა იყოს მძიმე და მაგარი, თანაც არ უნდა დასკდეს. ქვედა მხრიდან დასარტყმელ ჯოხს „წელეპი“ ჰქვია. წელეპი კეთდება ტყემლის ან ბზის ხისაგან. ქვედა მხარეს გადასაჭიმავად თხელი — ხბოს ან თკინის ტყავი იხმარება.

კვერკვეტა სიგრძით 30-35 სმია. მთავარი დარტყმა კვერკვეტათი სრულდება, ხოლო წკლეპი (20 სმ-მდე სიგრძისაა), ოდნავ ერტყმება ქვემოდან.

დავლის ხმა ძალიან შორს ისმის. მას უკრავდნენ. ქორწილის, ლაშქრობის, მგზავრობის დროს. ქორწილში უკრავდნენ პატარძლის გამოყვანის დროს, გზაში მგზავრულისა და მაყრულის ასაყოლებლად. დავლზე ასევე სრულდებოდა ცეკვებიც: ხორუმი, გადახვეული ხორუმი, თოფალოინი, ყოლსამა და სხვ.

დიდი ზომის დავლი უპირატესად ზურნასთან ერთად იკვრებობოდა. გუდის ჭიბონთან კი შედარებით მომცრო ზომის დავლს ხმარობდნენ, ხოლო ქემენქასთან დეფი გამოიყენებოდა. დეფს, განსაკუთრებით ქალები, სოლო საკრავადაც იყენებდნენ.

აჭარაში უპირატესად სადა ფორმის დეფი იყო გავრცელებული, ულარუნებიანი დეფისაგან განსხვავებით, რომელიც მომთაბარე ქურთებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ამ საუკუნის დასაწყისში აჭარაში გავრცელება დაიწყო. ისეთმა მუსიკალურმა ინსტრუმენტებმა,

როგორიცაა არღანი, გიტარა და
აზიური გარმონი. არღანი აქა-იქ
გვხვდებოდა და ნაკლებპულა-
რული იყო, ვიდრე გიტარა და გა-
რმონი. ალსანიშნავია, რომ ამ უკ-
ანასკნელთ საქმაო წარმატებით
იყენებდნენ აჭარელი ქალებიც.
დღესაც აჭარის უშორეს სოფ-
ლებში ხშირად გვხვდებიან გარ-
მონზე დამკვრელი საქმაოდ ხნიე-
რი ქალები, რომლებიც თავიანთი
ოსტატობით არ ჩამოუვარდებიან
აღმოსავლეთ საქართველოს მთია-
ნეთის ქალებს.

აზიური გარმონის რეპერტუა-
რი გაცილებით მრავალფეროვა-
ნია; მასზე სრულდება როგორც
საცეკვაო მელოდიები, ასევე ვო-
კალური მუსიკის აკომპანემენტი.
გარმონი თავისებურებას იჩენს
მხოლოდ აღგილობრივი რეპერტ-

უარის თვალსაზრისით.

ორმოცდათიანი წლებიდან აჭ-
არაში (უმეტესად ქორწილებსა და
სხვა საზოგადო თავშეყრის აღგი-
ლებში) გავრცელება იწყო კლა-
რნეტმა, ღუდუქმა, ვიოლინომ.
ნიშანდობლივია აღნიშნულ საქ-
რავთაგან შეღგენილი ანსამბლე-
ბი.

* * *

ნაშრომში წარმოდგენილი და-
ხასიათება აჭარაში გავრცელებუ-
ლი მუსიკალური, საკრავებისა,
ბუნებრივია, სრულყოფილი არ
შეიძლება იყოს. უცილობლად
ბევრი საინტერესო საკითხი წა-
მოიჭრება თვით ინსტრუმენტუ-
ლი მუსიკის ანალიზის დროს, რაც
მომავალი კვლევის ობიექტად
გვესახება.

პროფ. ი. სუგებაძე
დოც. ვ. გეგევაძი

კიბრილიული ნაშრომი

შარშან ბათუმში გამოცემული ზურაბ ჩიტაძის ნაშრომი „დამპყრობთა წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის ბრძოლის ისტორიიდან“ ეხება ფრიად მნიშვნელოვან საკითხს — ქართველი ხალხის ბრძოლას დამპყრობი ოსმალეთის წინააღმდეგ.

XV საუკუნეში საქართველოსათვის მეტად საშიში საგარეო ვითარება შეიქმნა. ამ დროიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალეთი დაუმეზობლდა. თურქისმალების წინაპრები შუა აზიდან მცირე აზიაში XIII საუკუნეში მოვიდნენ. XIV საუკუნის განმავლობაში ოსმალეთი უცხოევეყნების დაპყრობის მიზნით გამუდმებულ ბრძოლებს აწარმოებდა. ამ დროისათვის ბიზანტია

დაუძლურებული იყო და ოსმალეთმა მას ადვილად წართვა ტერიტორიები, 1453 წელს ბიზანტიის დედაქალაქიც აიღო. ბიზანტიის იმპერია დაეცა. თუ მანამდე საქართველოს მეზობელი კულტურული ტრადიციების მქონე ბიზანტიის სახელმწიფო იყო, ამიერიდან მას „გაუმეზობლდა უაღრესად აგრესიული, ძლიერი, კარგად შეიარაღებული, მაგრამ კულტურულად ჩამორჩენილი ოსმალეთის სახელმწიფო.¹ კ. მარქსის აზრით, ოსმალეთისათვის, როგორც აზიური სახელმწიფოსათვის, დამახასიათებელი იყო თა-

¹ საქართველოს ისტორია 1, 1958,
გვ. 258.

ვისი საკუთარი და მეზობელი ხა-
ლხების ძარცვა.²

სამხრეთ-დასავლეთ საქართვე-
ლოს ოსმალეთი უშუალოდ მოა-
დგა 1461 წელს, როცა ტრაპიზო-
ნის სამეფო დაიპყრო. XVI საუ-
კუნის დამდეგიდან ოსმალეთმა,
პირველ ყოვლისა, სამცხე-საათა-
ბაგოს შეუტია. პირველ ხანებში
ოსმალეთი სამცხე-საათაბაგოს მი-
მართ ყმაღნაფიცობას ჯერდებო-
და, რომ სამხრეთ-დასავლეთიდან
საქართველოს სხვა ნაწილებს შე-
სეოდა.

სარეცენზიო შრომაში მართე-
ბულად არის აღნიშნული, რომ
ტრაპიზონის აღებისა და ბალკა-
ნეთის ნახევარკუნძულის დაპყ-
რობის შემდეგ ოსმალებმა „ჩაქე-
ტეს შავი ზღვა. ამ ფაქტს საქა-
რთველოსათვის კატასტროფული
მნიშვნელობა ჰქონდა“, რამდე-
ნადაც საქართველო ეთიშებოდა
იმ დროის მოწინავე ევროპას.³

მოძალადე ოსმალეთს დასუს-
ტებული და დაქცემაცებული სა-
ქართველო ხვდებოდა. ფეოდა-
ლურ განკერძოებას, ფეოდალურ
დაქსაქსულობას ხელს უმართავ-
და ოსმალეთი, რომლის დამპყ-
რობი მიზნებისათვის ძლიერ სა-
სარგებლო იყო დანაწევრებული
საქართველო.

XVI საუკუნეში ოსმალეთის სა-

2. К. Маркс и Ф. Энгельс, соч.
т. IX стр. 147.

3 ზურაბ ჩიტაძე, დამპყრობთა წინაა-
ღმდეგ აჭარის მოსახლეობის ბრძოლის
ისტორიიდან, 1974, გვ. 9

ხელმწიფომ თავისი ძლიერების
მწვერვალს მიაღწია. 1543 წელს
22-ათასიანი ლაშქრით ის შემოი-
ჭრა სამცხე-საათაბაგოში. ასეთ-
ლები ძლიერ წინააღმდეგობას
წაწყდნენ და ამჯერად დამარცხ-
დნენ.⁴ ქართველი ხალხი თავგამო-
დებით იბრძოდა თვითმყოფობის
შესანარჩუნებლად, მაგრამ მტე-
რი ძლიერი იყო. 1545 წელს ქა-
რთველთა გაერთიანებული ჯარი
ისევ თავგამოდებით შეებრძოლა
ოსმალეთს, მაგრამ საქმე ღალა-
ტმა გადაწყვიტა, სიხოისტის ომი,
ბასიანის მახლობლად, ოსმალთა
გამარჯვებით დამთავრდა. მესხე-
თის ციხეებში ოსმალთა ჯარები
ჩაყენეს და ოსმალეთი მტკიცედ
შეუდგა დაპყრობილი ქვეყნის ინ-
კორპორაციას. სამცხე-საათაბაგო-
ში, რომელიც ძველთაგანვე საქა-
რთველოს კულტურული აღმავ-
ლობის კერა და გამოჩენილ ქარ-
თველ მოღვაწეთა სამშობლო იყო,
თურქებმა თავიანთი ხელისუფ-
ლება დამყარეს და მას „გურჯი-
სტანის ვილაიეთი“ უწოდეს.⁵ ათ-
აბაგმა განკერძოებისათვის ბრძო-
ლა საქართველოს მეფესთან მოი-
გო, მაგრამ სამცხე-საათაბაგო ოს-
მალეთთან წააგო.⁶

1550 წელს ოსმალეთმა დაიპყ-
რო ტაო, 1552 წელს არტანუჯი,
არტაანი. ირან-ოსმალეთის 1555
წლის ზავით საქართველო ორ
დამპყრობს შორის განაწილდა.

4 იქვე, გვ. 10-12

5 იქვე, გვ. 15

6 იქვე, გვ. 9

1590 წლის ირან-ოსმალეთის ზავით სამცხე-საათაბაგო და აჭარაც ოსმალეთს ერგო.

აჭარის მოსახლეობა, საქართველოს სხვა ნაწილებთან ერთად, სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა და-მპყრობი ოსმალეთის წინააღმდეგ.

ოსმალეთის შემოტევა გურია-აჭარის მიმართულებით განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებს XVII საუკუნის დასაწყისიდან. ბათუმი და მიმდგომი აღგილები ხან გურიელის ხელშია, /ხან კიდევ ოსმალეთის. 1726 წლიდან ოსმალეთის ხელში მოექცა ბათუმი, ჩაქვი და ციხისძირი, ხოლო უფრო გვიან, XVIII საუკუნის 70-იან წლებში ოსმალეთმა დაიპყრო ქობულეთის მხარე და ამრიგად მის ხელში აღმოჩნდა მთელი აჭარა.

ავტორს მოყავს მარქსიზმის კლასიკოსების სიტყვები იმის შესახებ, რომ ოსმალეთის ფეოდალიზმი იყო ყველაზე დაბალი და ბარბაროსული საფეხურის ფეოდალიზმი⁷ და ავითარებს იმ მართებულ მოსაზრებას, რომ სამცხე-საათაბაგოში, და კერძოდ აჭარაში, „თურქული მიწისმფლობელობის დანერგვა იყო ოსმალთა ბატონობის ჩეაქციული არსის ძირითადი“ გამოვლინება.⁸

ოსმალეთის ველური, დარეშის შედეგად გავერანდა სოფლის მეურნეობა, განადგურდა მევენახეობა, ბალვენახების და პურის ყა-

ნების აღგილები ტრამალებმა და ტყეებმა დაიჭირეს,⁹ ინტენსიური მეურნეობის აღგილი აჭარაში ექსტრენსიურმა მეურნეობამ დაიკავა.¹⁰

ოსმალეთის აგრარული პოლიტიკა მიზნად ისახავდა საქართველოს დაპყრობილ აღგილებში სრული კოლონიზაციისა და ინკორპორაციის განხორციელებას. ამასთან, ოსმალეთი ქართველთა გამაჰმადიანების, გზით მათ გათურებას შეუდგა.

ავტორი მართებულად აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ოსმალეთის ხანგრძლივი ბატონობის განმავლობაში აჭარაში არ გამოცემულა არც ერთი წიგნი, უურნალი, გაზეთი, არ დაარსებულა კულტურის არც ერთი კერა, სკოლა, აჭარას არ წარმოუშვია არც ერთი მწერალი, მხატვარი, მეცნიერი.¹¹

ჯამეებთან გასხნეს მედრესეები, რომლებშიც ხოჯები მუსლიმანური სასულიერო წიგნებით, არაბულ ენაზე აწავლიდნენ წერა-კითხებს. გამაჰმადიანება ერთ-ერთი ძლიერი საშუალება იყო ოსმალეთისათვის ქართველის გასათურქებლად. სამისოდ ოსმალეთი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა. მიწის საკუთრება ოსმალეთის მთავრობამ მაჰმადიანთა პრივილეგიად გამოაცხადა, ქრისტიანს არ ჰქონდა უფლება მესა-

9 იქვე, გვ. 21

10 იქვე, გვ. 22

11 იქვე, გვ. 24

კუთრე ყოფილიყო, თუ ის თავის რელიგიას არ უარყოფდა, მაჰმადიანობას არ მიიღებდა. ავტორი მართებულად იღნიშნავს, რომ საზოგადოების დაბალი ფენები, გლეხობა მტკიცედ იცავდა თავის ეროვნებას, თვითმყოფობას.¹²

მოძალადეების ბარბაროსობა იქამდე მიღიოდა, რომ გამაჰმადიანების მოწინააღმდეგებს სასტიკად აწამებდნენ, ჯერ ენას სჭრიდნენ, მერე კი თავს.¹³ ცოცხალს ტყავს ხდიდნენ, სარებზე აცვამდნენ, რომ ქრისტიანობაზე უარი ეთქმევინებიათ.¹⁴

საყურადღებოა ილინიშნოს, რომ ოსმალები მოღალატეებს მაღალ ფენებში ნახულობდნენ.¹⁵

ამასთან, მოძალადეები ყოველნაირად უწყობდნენ ხელს საქართველოდან ტყვეების გაყიდვას, აჭარელი ქალ-ვაუი მრავლად იყიდებოდა ოსმალეთის სხვადასხვა ქალაქის ბაზრებზე.¹⁶ აჭარიდან ყოველწლიურად მიყავდათ 10-12 ათასი ტყვე.¹⁷ აჭარის მოსახლეობა ფიზიკური გადაშენების საფრთხის წინაშე დადგა.¹⁸

დიდი უბედურება იყო აჭარლებისათვის ოსმალოს მოხელეებისა და სასულიერო პირების ღონისძიება აჭარის მცხოვრებთა ოსმალეთში გადასასახლებლად.

12 იქვე, გვ. 25-26

13 იქვე, გვ. 31

14 იქვე, გვ. 40-41

15 იქვე, გვ. 42

16 იქვე, გვ. 55

17 იქვე, გვ. 57

18 იქვე, გვ. 59

ოსმალეთის აგენტები სარგებლობდნენ აჭარლების უკიდურესი ეპონომიური მდგომარეობით, მათი კულტურული ჩამორჩენილობით და რელიგიის საშუალებით, მოტყუებით, მუქარით და ძალადობით ასახლებდნენ ოსმალეთში.¹⁹

თურქთა ბატონობის ხანაში აჭარა არაერთხელ გახვეულა აჯანყების ცეცხლში. ასეთ აჯანყებებს ადგილი ჰქონდა 1680, 1731, 1781, 1815, 1830, 1844, 1852 და 1875 წლებში.²⁰ კლასთა ბრძოლა და დამპყრობთა წინააღმდეგ აჯანყებანი ძლიერ გამწვავებულ ხასიათს ატარებდა. აჭარა იბრძოდა ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის.

XIX საუკუნის 50-იან წლებში აჯანყებული იყო აჭარის მთელი მოსახლეობა, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საყოველთაო, სახალხო ხასიათი მიიღო. აჯანყებულ ხალხს სათავეში ჩაუდგნენ ქართველი პატრიოტები — ხიმშიაშვილები. აჯანყება მიმართული იყო აჭარის საქართველოსთან შესაერთებლად.

აჭარის ბრძოლას მხარს უჭერდა ქართველი ხალხი, მისი მოწინავე ნაწილი. აჭარის ხანგრძლივ და უთანასწორო ბრძოლას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, ამ ბრძოლამ დაასუსტა დამპყრობის ძალა და მებრძოლ აჭარას დაუსახა დედა-სამშობლოსთან შეერთების პეტიცივები.

19 იქვე, გვ. 59-60

20 იქვე, გვ. 64

სარეცენზიონი ნაშრომის ავტორი აღნიშნავს იმ პროგრესულ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას. ქართველ ხალხს დიდი ხანია რუსეთისაკენ ეჭირა თვალი. მას ოსმალეთისა და ირანისგან განთავისუფლების იმედი მართებულად რუსეთის დახმარებით ესახებოდა. ავტორს მოყავს საქართველოს შესახებ პეტრე I-ის შემდეგი სიტყვები მისი ანდერძიდან: „საქართველო უბედურია, დაიცავით ის სარწმუნოებისათვის, გაგზავნეთ ჯარი ჩემი ხაზინის ხარჯზე“.²¹ რასაკვირველია, ცარიზმს თავისი ინტერესი ჰქონდა ამიერკავკასიაში, მაგრამ ამიერკავკასიაში რუსეთის შემოქრამ გადაარჩინა ქართველი ხალხი განადგურებას. ქართველი ხალხის პროგრესული ნაწილის შეხედულებით რუსეთი იყო ერთადერთი ძალა, რომელიც გამოიყვანდა. ქართველ ხალხს მტრული გარემოცვდან.

ილია ჭავჭავაძე მართებულად აღნიშნავდა, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ დამშვიდდა ქვეყანა, საქართველო დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან.²² ი. სტალინის მოსაზრებით რუსეთთან საქართველოს შეერთება ნიშნავდა, ქართველი ხალხის დაკავშირებას პლეხანოვისა და ლენინის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკისი და ჩაიკოვსკის, გორკისა და

ჩეხოვის, სეჩენოვისა და პავლოვის, რეპინისა და სურიკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის რუსებითის კულტურასთან.²³

საქართველო შეუერთდა ქვეყანას, აღნიშნავს ავტორი, რომელიც მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის ცენტრი შეიქნა.²⁴ ამასთან, ავტორმა კარგად იცის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის არსი, მაგრამ მისი მართებული მოსაზრებით, ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ რუსი და ქართველი ხალხების მოწინავე ადამიანები.

ავტორი ყურადღებას, აქცევს იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ ერეკლე II, როდესაც მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთთან საქართველოს დაკავშირების შესახებ, გამოთქვამდა იმედს, რომ რუსეთი დაეხმარებოდა საქართველოს ირანისა და ოსმალეთის მიერ მიტაცებული აღგილების უკან დაბრუნებაში.²⁵ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან აჭარის განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. ამ საქმის სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩადგა. ავტორს მოყავს ილიას სიტყვები იმის შესახებ, რომ აჭარის განთავისუფლების საქმე დადებითადუნდა გადაწყდეს, უსამართლობა

23 იქვე, გვ. 73

24 იქვე, გვ. 76

25 იქვე, გვ. 76-77

უნდა დაითრგუნოს და აჭარის
მოსახლეობა დაუბრუხდეს დედა-
სამშობლოს.²⁶

ავტორი სამართლიანად მიუთი-
ოვბს, რომ აჭარის განთავისუფ-
ლებისათვის ბრძოლის საქმეში
დიდ ილიას მხარს უმშვენებლენ
დღიდი აკაკი, ნ. ნიკოლაძე, დ. ბაქ-
რაძე, ჩ. ერისთავი, შ. არაგვის-
პირელი, ა. ყაზბეგი, გ. ორბელი-
ანი, ზ. ჭიჭინაძე და სხვა მრავა-
ლი.²⁷ ქართველი ხალხი, აჭარის
მოსახლეობა სათუთად ინახავს ამ
კეთილშობილ პატრიოტთა სახე-
ლებს. რუსეთის დახმარებით აჭა-
რა განთავისუფლდა ოსმალეთის
უღლისაგან. ავტორი თავის შრო-
მას ასე ამთავრებს: სამი საუკუნე
გაგრძელდა აჭარის მოსახლეობის
ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა
წინააღმდეგ, ამ ხანგრძლივი გა-
მოსახლეობის გზაზე აჭარამ აუტანე-
ლი გაჭირვება გადაიტანა და ამ
ბრძოლის ცეცხლში ის მუდამ ურ-
ყევი იმედით სულდგმულობდა,
რომ თავის დედა-სამშობლოს და-
უბრუნდებოდა.²⁸

ეს იმედიც აღსრულდა. და
დღეს აჭარის მოსახლეობა, მთელ
ქართველ ხალხთან ერთად, საბჭო-
თა კავშირის სხვა ხალხებთან მჭი-
დრო კავშირში, აქტიური მონაწილეა
სოციალისტური მშენებლო-
ბისა, რომელსაც მსოფლიო ისტო-

რიაში უდიდესი მნიშვნელობა
აქვს.

ამასთან ნაშრომი იწვევს შენი-
შვნებს:

1 ავტორს საუბარი აქვს X-XI
საუკუნეებში თურქების შემოსე-
ვაზე საქართველოში (გვ. 3-4), მა-
გრამ ისინი იყვნენ თურქ-სელჩუ-
კები და არა თურქ-ოსმალები,
როგორც ეს ავტორს ჰგონია
(გვ. 3). თურქ-ოსმალები უფრო
გვიან გამოვიდნენ ასპარეზზე.

2 ავტორის აზრით „თურქების
არმია და მისი მესვეურები არა-
სოდეს ომის წარმოების არავი-
თარ კანონებს არ ემორჩილებო-
დნენ“, და „საქართველოს ტე-
რიტორიაზე წარმოებულ ომში
ბძროლების სასტიკი და უხეში
ფორმების გამოყენებას თვით სუ-
ლთან სულეიმანიც არ უარყოფ-
და. ის საფრანგეთის მეფის ფრა-
ნცისკო პირველისადმი მიწერილ
წერილში ტრაბახით ჩამოთვლი-
და მთელ რიგ ჭვეყნებს, რომლე-
ბიც მან და მისმა წინააღმა და-
იპყრეს: „...დაპყრობილი იქნენ
ჩემი კეთილშობილი და სახელო-
ვანი წინაპართა ხმლით... და აგ-
რეთვე მოპოვებული არიან ჩემი
უავგუსტესი დიდებულების ძლე-
ვამოსილი ცეცხლითა და მახვი-
ლით“ (გვ. 20). ოსმალები რომ
ბარბაროსული მეთოდებით აწარ-
მოებდნენ ხალხების დაპყრობას,
ეს ცხადია, ამის შესახებ თვითონ

26 იქვე, გვ. 77-78

27 იქვე, გვ. 79

28 იქვე

ავტორსაც ქვემოთ მოაქვს სათანადო დასაბუთება, მაგრამ ავტორის მიერ მოყვანილი სულთანის სიტყვები არაფრერს ამბობს ამის შესახებ, „ხმლით“ დაპყრობა ფიგურალური გამოთქმაა, ასევე ითქმის „ცეცხლით და მახვილით“ ომზე. ამასთან სულთნის სიტყვაში საქართველო არც არის ნახსენები.

3 ოსმალეთი რომ 'ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, ეს ფაქტია, მაგრამ სოფლის მეურნეობა რომ იქ „იმავე საფეხურზე იმყოფებოდა, რომელზედაც ორი ათასი წლის წინათ იყო“ (გვ. 21), ეს კი დაუჭერებელია. ორი ათასი წლის წინათ შუა აზიაში ოსმალთა წინაპრები გვაროვნულ საფეხურზე ხდგნენ. მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და უმთავრესად მოპოვებით მეურნეობას მისდევდნენ.

4 ზემოთ მოყვანილ სიტყვებს, რომ ოსმალეთი სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ იმავე საფეხურზე იდგა, როგორც ორი ათასი წლის წინათ, ავტორის შემდეგი წინადადება მოსდევს: „ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ აჭარის ეკონომიკური და კულტურული განვითარება თურქეთის ბატონობის პერიოდში კიდევ უფრო დაბალი იყო, ვიდრე თვით თურქეთში“ (გვ. 21-22).

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს ოსმალების მიერ საქართველოში მეურნეობის განადგურებაზე, თურქული მიწისმფლობელობის შე-

მოღებაზე, რომელთან შედარებით, ავტორის სიტყვებით, ქართული „უფრო პროგრესული“ იყო (გვ. 22), რომ ქართული „ინტენსიური მეურნეობის ადგილი“ თურქულმა „პრიმიტიულმა ექსტენსიურმა მეურნეობამ დაიკავა და ეს იყო ძირითადი, მთავარი ორაქციული შედეგი, რაც ოსმალურ საქართველოს, კერძოდ აჭარას თურქთა ბატონობამ მოუტანა“ (გვ. 23). ეს მართალია, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ის, რაც თქვა ავტორმა დასაწყისში, — რომ საქართველოს ეკონომიური და კულტურული განვითარება უფრო დაბალი იყო, ვიდრე თურქეთისო.

5. ავტორი უპირისპირებს ერთმანეთს საგვარეულო, სამექვიდრეო და კერძო საკუთრებას (გვ. 23). თუ ფეოდალურ წყობილებაზეა საუბარი, ფეოდალის საგვარეულო საკუთრება მემკვიდრეობითიც არის და კერძოც.

6. ენობრივად ნაშრომი ზოგჯერ გაუმართავია (გვ. 32, 59 და სხვა).

7 ავტორის თემა მეტად ფართოა, პატარა შრომაში მისი მოთავსება ძნელია. ამიტომაც ნაშრომის სხვადასხვა ადგილები ერთმანეთთან დაუკავშირებლობის ჰთაბეჭდოლებას ტოვებს, თემის აბა თუ იმ მხრეების შესახებ ავტორის თხრობა დაუმთავრებელი

ფრაგმენტების სახუთ არის ძო-
ცეშული. ის მსრცე წაშრომი ძლი-
ეთ მოიკოჭლება. ბაგრამ ავტორის
ოქმა აქტუალურია, ის ნაკლებად
არის დამუშავებული და ძნელი
დასაბლევიც არის. რამდენადაც
ამა თუ იმ კუთხის ისტორია მეც-
ნიერული დამუშავების მხრივ

ყოველთვის ძნელად შესასრულე-
ბელია.

ავტორის სწრაფვა მისისალმე-
ბელია, მისი მოსაზრებანი გამსჭ-
ვალულია ჭეშმარიტი პატრიოტი-
ზმით და სავსებით მართებულად
ეხმაურება სადღეისო ამოცანებს.
ამ მხრივ ნაშრომი ყოველმხრივ
მისასალმებელია.

СОЮЗ СОВЕТСКИХ
ЗАЩИТИТЕЛЕЙ

6135735

35660 40 553.

**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

„ЧОРОХИ“

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ**

ИНДЕКС 76118